გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ
პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

პროფესიული უნარები

თბილისი 2008

კრებული მომზადებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის
კვლევის დეპარტამენტის მიერ

როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

პროფესიული უნარები

საკონსულტაციო საბჭო:
ნათელა იმედაძე, იათამზე კოტეტიშვილი, დალი ფარჯანაძე, თამარ კერძაია, რამაზ საყვარელიძე, ქეთევან მაყაშვილი, სიმონ ჯანაშია, ნინო გორდელაძე, სოფიო გორგოძე, ნათია ნაცვლიშვილი, ქეთევან ჩიქოვანი

რედაქტორი: *თამარ ოთხმეზური*

ძვირფასო მასწავლებლებო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, დღეს საქართველოში პედაგოგიური განათლება რეგულირებად დარგად არის გამოცხადებული სახელმწიფოს მიერ. ამ დარგის სპეციალისტმა, კანონით დადგენილი წესის თანახმად, უნდა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები და მოიპოვოს მოწმობა, რომელიც პროფესიით მუშაობის უფლებას მიანიჭებს. სახელმწიფოს ამგვარი მიდგომა მასწავლებლის პროფესიისადმი ხაზს უსვამს ამ დარგის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყნისათვის. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ საგანმანათლებლო რეფორმის საყრდენს მასწავლებელი წარმოადგენს. მასწავლებელი თავისი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი საქმიანობით ზრდის ქვეყნის მომავალს. ამიტომ მასწავლებლის მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი ნებისმიერი ქვეყნის უპირველესი საზრუნავია, მაგრამ ვერც ერთი სახელმწიფო უწყება, ვერანაირი კანონი ამ მხრივ ვერაფერს მიაღწევს, თუ თავად მასწავლებელმა არ მოინდომა და არ იზრუნა საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივ ზრდასა და დახვეწაზე. რეალობა მუდმივად იცვლება და ახალ მოთხოვნებს გვიყენებს, რაც ჩვენგან ახალი პედაგოგიური მიდგომების ათვისებასა და საკუთარ პროფესიულ განათლებაზე მუდმივ ზრუნვას მოითხოვს.

სასერტიფიკაციო გამოცდის მიზანს მასწავლებლის ცოდნისა და პროფესიონალიზმის გამოვლენა და აღიარება წარმოადგენს. თქვენი გამოცდილება დაგეხმარებათ, წარმატებით გაართვათ თავი ამ თეორიულ გამოცდას, მით უფრო, რომ ყოველდღიურ პრაქტიკაში ამაზე რთული და მოულოდნელი „გამოცდების" ჩაბარება გიხდებათ.

მასწავლებლის სასერტიფიკაციო ტესტებს პროფესიული სტანდარტის მიხედვით ამზადებს გამოცდების ეროვნული ცენტრი. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ პედაგოგებთან – საქართველოს ყველა რეგიონში ტარდება საცდელი ტესტირებები, შეხვედრები სასერტიფიკაციო გამოცდების თაობაზე, პედაგოგთათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათი მოსაზრებების შესწავლის მიზნით. პედაგოგთა რეკომენდაციები არის ძირითადი ორიენტირი ჩვენს მუშაობაში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სპეციალურად თქვენთვის შედგენილი ეს კრებული მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას ***პროფესიული უნარების ტესტის*** შესახებ, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობა ნებაყოფილობითია, თუმცა სკოლა ვალდებულია, უპირატესობა მიანიჭოს სერტიფიცირებულ მასწავლებლებს. თქვენ შესაძლებლობა გეძლევათ, იყოთ პირველები.

გისურვებთ წარმატებას!

შინაარსი

I თავი **გვ**

მასწავლებელთა სერტიფიცირება — 7

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და სასერტიფიკაციო გამოცდები — 8

სასერტიფიკაციო გამოცდების უცხოური მოდელები — 10

მასწავლებელთა სერტიფიცირება საქართველოში — 15

პროფესიული უნარების ტესტი. როგორ უნდა მოვემზადოთ ტესტირებისათვის — 17

II თავი

ტესტურ დავალებათა ტიპები — 19

1. დავალებები არჩევითი პასუხით — 20

რეკომენდაციები არჩევითპასუხიანი დავალებების შესასრულებლად — 25

2. შესაბამისობის დავალებები — 26

რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებების შესასრულებლად — 27

3. დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“ — 28

რეკომენდაციები „ჭეშმარიტია/მცდარია” ტიპის დავალებების შესასრულებლად 29

4. დავალებები ღია დაბოლოებით — 30

რეკომენდაციები ღია დავალებების შესასრულებლად — 31

III თავი

პროფესიული უნარების ტესტურ დავალებათა შეფასების ნიმუშები — 33

დანართი №1

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი — 79

დანართი № 2

განვითარებისა და სწავლის თეორიები — 86

ჟან პიაჟე — 87

აბრაჰამ მასლოუ — 93

დევიდ პერკინსი — 96

ჰოვარდ გარდნერი — 99

ლორენს კოლბერგი — 102

ბერას ფრედერიკ სკინერი — 105

ალბერტ ბანდურა — 111

ლევ ვიგოტსკი — 116
ჯონ დიუი — 119
ჯერომ ბრუნერი — 121
კარლ როჯერსი — 125
დიმიტრი უზნაძე — 128
ბენჯამენ ბლუმი — 131
მარია მონტესორი — 137

გამოყენებული ლიტერატურა — 141

I თავი

მასწავლებელთა სერტიფიცირება

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მიზანი სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა. ამ ცვლილებების კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა სერტიფიცირების სისტემას, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა გახდეს.

სკოლაში სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვა და სწავლების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მასწავლებელთა მომზადებისა და სერტიფიცირების ეფექტურ სისტემასთან. კვალიფიციური მასწავლებელი არის კარგი განათლებისა და მოსწავლის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარი გარანტია.

მრავალი კვლევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სერტიფიცირებული მასწავლებლის მოსწავლეებს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ მოსწავლეებთან შედარებით, ვისაც არასერტიფიცირებული მასწავლებელი ასწავლის[1]. განსაკუთრებით ეფექტურია იმ მასწავლებელთა მუშაობის შედეგები, ვისაც სტანდარტულ სერტიფიცირებამდე ინტენსიური ტრენინგისა თუ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა აქვს გავლილი[2]. *ამიტომ სასკოლო განათლების სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნივერსიტეტის შემდგომი მომზადების პროგრამებს.*

საქართველოში პროფესიული სერტიფიცირების სისტემის დანერგვა ეფექტური საშუალება იქნება საშუალო განათლების სისტემაში სწავლების მაღალი ხარისხის მისაღწევად. ის ხელს შეუწყობს მასწავლებელთა დასაქმებასა და შეფასების პოლიტიკის რაციონალიზაციას, სკოლებში მაღალი კლასის პროფესიონალთა ნაკადის ზრდასა და პროფესიონალთა გადინების შეჩერებას, მასწავლებელთა პროფესიული სრულყოფის პროგრამების შემუშავების სტიმულირებასა და პროფესიულ განვითარებას, მასწავლებლის ავტორიტეტის ზრდასა და სკოლების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას[3].

---

[1] ამგვარ კვლევებში, ჩვეულებრივ, გათვალისწინებულია მასწავლებლის გამოცდილება და აკადემიური ხარისხი (L. Darling-Hammond, 2000; L. Darling-Hammond, D. Holtzman et al., 2002; F. Masci, E. Stotko, 2008).
[2] L. Darling-Hammond, D. Holtzman et al., 2003.
[3] სერტიფიცირება დაუკავშირდება ხელფასის მნიშვნელოვან ზრდას.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და სასერტიფიკაციო გამოცდები

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტს საფუძვლად უდევს ***მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი***, რომელიც შეიქმნა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებთან, ასევე განათლების სპეციალისტებთან მჭიდრო და ხანგრძლივი თანამშრომლობით. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი წარმოადგენს პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარების, ძირითადი ღირებულებების ერთობლიობას, რომელსაც უნდა ფლობდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალკვალიფიციური მასწავლებელი.

სტანდარტი ორი ნაწილისაგან შედგება – **ზოგადი პროფესიული და საგნობრივი.**

საგნობრივი ცოდნა

საგნობრივ ნაწილში გაერთიანებულია ცალკეული საგნისა და საგნის სწავლების მეთოდიკის საკითხები. შესაბამისად, **საგნობრივი ცოდნის ტესტი** აფასებს ცოდნას იმ საგანში, რომელსაც თქვენ ასწავლით ან გსურთ, რომ ასწავლოთ. **საგნის სწავლების მეთოდიკის** ნაწილით კი ფასდება, რამდენად ფლობთ მოსწავლეებისთვის საგნობრივი ცოდნის გადაცემის სხვადასხვა ეფექტურ მეთოდებს.

ზოგადი პროფესიული უნარები

პროფესიული უნარების ტესტით იზომება კომპლექსური უნარები, რომელებიც მნიშვნელოვანია პედაგოგური საქმიანობისათვის.

პროფესიული (პედაგოგიური) უნარების შესაფასებელი ტესტის შინაარსი მთლიანად ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

პროფესიული უნარების ტესტირება იმის წინაპირობაა, რომ საშუალო სკოლაში იმუშაონ ისეთმა პედაგოგებმა, რომლებსაც არა მარტო შესაბამისი საგნის საფუძვლიანი ცოდნა ექნებათ, არამედ ***ეცოდინებათ,*** როგორ უნდა ასწავლონ, როგორ შეუწყონ ხელი ბავშვებს, თავად გამოიკვლიონ პრობლემები და მოიძიონ მათი გადაჭრის გზები; რომლებსაც ***შეეძლებათ*** მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მათი სწავლის წახალისება და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა; რომლებიც ***ხელს შეუწყობენ*** მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების და კლასში ეთიკური ღირებულებების დამკვიდრებას; ***დაამყარებენ*** პოზიტიურ და თანამშრომლობით ურთიერთობებს სკოლას, ოჯახსა და საზოგადოებას შორის.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი მასწავლებლის კომპეტენციებისა და ცოდნის დეტალური აღწერაა. მასში ასახულია, თუ რას მოველით კარგი მასწავლებლისგან. მასწავლებლები ამ დოკუმენტის საფუძველზე ეცნობიან საკუთარი პროფესიის ძირითად და მნიშვნელოვან მოთხოვნებს.

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები, ჩვეულებრივ, ეფუძნება სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორიცაა:

- ზრუნვა მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე;
- საგნისა და საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნა;
- პასუხისმგებლობა მოსწავლის სწავლის ორგანიზებასა და მონიტორინგზე;
- ზრუნვა საკუთარ პროფესიულ ზრდასა და გამოცდილების მიღებაზე;
- აქტიურობა სასკოლო საზოგადოებაში[4].

აუცილებელი პედაგოგიური უნარები აღწერილია მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის სამ (II, III და IV) ნაწილში:

განვითარებისა და სწავლის თეორიები

განვითარებისა და სწავლის თეორიების ნაწილი ასახავს ბავშვის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებსა და სწავლის თეორიებს, რომელთა ცოდნა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის არის აუცილებელი.

სწავლება და შეფასება

სწავლებისა და შეფასების ნაწილი აღწერს პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც ეფექტური სწავლისა და სწავლებისთვის არის აუცილებელი.

პროფესიული გარემო

პროფესიული გარემოს ნაწილი ასახავს პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, რომლებიც მასწავლებელს ეხმარება კოლეგებთან ურთიერთობაში, საკუთარი პრაქტიკის დახვეწასა და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევაში.

ამ სახელმძღვანელოს დანართის სახით ერთვის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის პროექტი. ყურადღებით გაეცანით სტანდარტს. მასში ასახულია პედაგოგის პროფესიის ძირითადი და მნიშვნელოვანი მოთხოვნები, რომელიც ქართველი პედაგოგებისა და განათლების ექსპერტების მონაწილეობით არის განსაზღვრული.

მზადება პროფესიული უნარების სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის დაიწყეთ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესწავლით (დანართი 1). პირველ რიგში ყურადღებით გაეცანით პროექტში მოცემულ თითოეულ საკითხს და შემდეგ ტესტური დავალებების ნიმუშებს, რომლებიც ამ სტანდარტის მიხედვით მომზადდა.

[4] *National Board for Professional Teaching Standards "What Teachers Should Know and Be Able to Do" –Five core propositions (www. nbpts.org) (აშშ).*

სასერტიფიკაციო გამოცდების უცხოური მოდელები

სერტიფიცირების პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. განსხვავებულობას განაპირობებს განათლების სხვადასხვა სისტემაში დამკვიდრებული შეხედულებები იმის შესახებ, თუ რა უნარები და ცოდნა უნდა ჰქონდეს „კარგ მასწავლებელს". ამ მიზნით გამოიყენება მასწავლებელთა ლიცენზირებისა და სერტიფიცირების სისტემები. ლიცენზირება გულისხმობს მინიმალური, საბაზისო სტანდარტის დაკმაყოფილებით **მასწავლებლობის უფლების** მოპოვებას. უმეტეს შემთხვევაში ლიცენზია იგივეა, რაც მასწავლებლის უმაღლესი განათლების დიპლომი. სერტიფიცირება კი გულისხმობს მასწავლებლის მაღალი კვალიფიკაციის დადასტურებას. მაგალითად, კანადასა და საფრანგეთში სასერტიფიკაციო გამოცდის გარეშე მასწავლებელს არა აქვს უფლება ასწავლოს დაწყებით და საშუალო სკოლაში. სხვადასხვა ქვეყანაში მასწავლებელთა პროფესიული დონის შეფასებისადმი განსხვავებული მიდგომებია, კერძოდ, ზოგიერთი აფასებს მხოლოდ საგნის და საგნის სწავლების მეთოდოლოგიის საფუძვლიან ცოდნას, ზოგიერთი კი ამასთან ერთად – პედაგოგიურ უნარებსაც.

თქვენთვის ალბათ საინტერესოა, როგორ ტარდება სასერტიფიკაციო გამოცდები სხვა ქვეყნებში, რა განსხვავება და მსგავსებაა სასერტიფიკაციო გამოცდების უცხოურ და ქართულ მოდელებს შორის. ერთი რამ ცხადია, მასწავლებელთა სერტიფიცირება ყველგან სწავლების და სწავლის პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ამერიკის შეერთებული შტატები

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელშიც პედაგოგად მუშაობის უფლების მოსაპოვებლად შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება გახდა აუცილებელი, ამერიკის შეერთებული შტატებია. სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის ტესტს პროფესიონალური ორგანიზაციები ამზადებენ. ესა თუ ის შტატი თავად განსაზღვრავს, თუ რომელი ორგანიზაციის მიერ მომზადებული ტესტის ჩაბარება მოუწევს აპლიკანტს მასწავლებლად მუშაობის უფლების მოსაპოვებლად. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორგანიზაცია, რომლის მიერ მომზადებულ ტესტებსაც შტატების დიდი ნაწილი ირჩევს როგორც აუცილებელ სასერტიფიკაციო გამოცდას, არის ETS (Educational Testing Servises –

საგანმანათლებო ტესტირების სამსახური). ETS-ის მიერ მომზადებული ტესტები პირობითად იყოფა სამ ნაწილად – PRAXIS 1, PRAXIS 2 და PRAXIS 3.

მაგალითისათვის განვიხილოთ PRAXIS–ის სერიის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტები.

- **PRAXIS 1** - შედგება სამი - კითხვის, წერის და მათემატიკის ქვეტესტისაგან. იგი ითვლება სასერტიფიკაციო ტესტის ყველაზე მარტივ ნაწილად, ვინაიდან მისი მეშვეობით იზომება ელემენტარული უნარები და ცოდნა, რომელსაც თითოეული მოქალაქე იღებს ზოგადი განათლების პროცესში.
- **PRAXIS 2** - მოიცავს პედაგოგის საქმიანობასთან დაკავშირებულ ასპექტებს: საგნის და მისი სწავლების მეთოდოლოგიის ცოდნასა და ზოგადი პროფესიული უნარების შეფასებას.

ე. წ. პროფესიული უნარების კომპონენტი ამერიკის სხვადასხვა შტატში ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

– ***სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები, სწავლების საფუძვლები*** *(განათლების ფსიქოლოგია, ბავშვის განვითარების თავისებურებები, კლასის მართვა, ინფორმაციის მიწოდების ტექნოლოგიები, შეფასება და სხვ.).*

ზოგადი პედაგოგიური უნარები ფასდება ოთხი ძირითადი საფეხურის მიხედვით:

- სკოლამდელი (ადრეული განათლების საფეხური),
- 1-6 კლასები
- 5-9 კლასები
- 7-12 კლასები

შესაბამისად, PRAXIS 2-ის შინაარსი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელ კატეგორიაში სურს აპლიკანტს პედაგოგად მუშაობა.

- **PRAXIS 3** მოიცავს პედაგოგის სამუშაო პროცესზე უშუალო დაკვირვებას და ორ ფორმალურ ინტერვიუს (გასაუბრებას) პედაგოგთან, პირველი ტარდება სამუშაო პროცესზე დაკვირვების დაწყებამდე, ხოლო მეორე – დაკვირვების შემდგეგ.

ინგლისი

მასწავლებლად მუშაობის უფლების მოსაპოვებლად ინგლისში რამდენიმე პროგრამაა შემუშავებული. მათგან ყველაზე გავრცელებულია ტესტირება და სპეციალიზებული ტრენინგები.

სპეციალიზებული ტრენინგის მიზანია, აპლიკანტებს მაქსიმალურად განუვითაროს ყველა ის უნარი, რომლებიც მნიშვნელოვანია პედაგოგიური პრაქტიკისთვის. ასეთი ტრენინგ-პროგრამები, როგორც წესი, მოიცავს როგორც თეორიულ სწავლებას, ისე კლასში პრაქტიკულ მუშაობას. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ტრენინგებს გადიან ადამიანები, რომლებსაც უმაღლესი **პედაგოგიური განათლება** აქვთ მიღებული, თუმცა პროგრამა, შესაძლოა, მოდიფიცირებულ იქნას სხვა რელევანტური სპეციალობის ადამიანებისთვის, აგრეთვე უკვე მომუშავე პედაგოგებისა და მათთვის, ვისაც უცხო ქვეყნებში აქვთ პედაგოგიური განათლება მიღებული.

ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში აპლიკანტები ეცნობიან შემდეგ საკითხებს:

- *ეროვნული სასწავლო გეგმა;*
- *გაკვეთილის დაგეგმვა და სასწავლო მიზნების დასახვა;*
- *კლასის მართვა;*
- *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება;*
- *მასწავლებლის პროფესიული ღირებულებები, ქცევის ნორმები, დამოკიდებულებები და ურთიერთობები* (კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან).

მხოლოდ ტრენინგის წარმატებით გავლა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აპლიკანტმა პედაგოგად მუშაობის უფლება მოიპოვოს. ინგლისშიც, ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, სტანდარტისადმი შესატყვისობის დადგენისთვის, ტრენინგის გავლის შემდეგ, აპლიკანტმა უნდა გაიაროს ტესტირება წერითი მეტყველებისა და წაკითხულის გააზრების, მათემატიკური აზროვნების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარებში. ეს ტესტი თავისი ფორმით შეესაბამება ამერიკაში გამოყენებული PRAXIS 1-ის ტესტს.

უნარები, რომელიც ტესტით მოწმდება, მჭიდროდ არის დაკავშირებული პედაგოგის საქმიანობასთან. ტესტი არ ამოწმებს სპეციფიკურ საგნობრივ ცოდნას (მაგ. მათემატიკაში, ინფორმატიკაში და ა. შ.). ის ზოგადია და აერთიანებს ნებისმიერი საგნის პედაგოგისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს.

საგნისა და მისი სწავლების მეთოდოლოგიის ცოდნა ტესტების საშუალებით არ მოწმდება (საკმარისია, აპლიკანტს ჰქონდეს შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობა).

გერმანია

გერმანიაში პედაგოგად მუშაობის უფლების მოსაპოვებლად ორი ეტაპის გავლაა აუცილებელი.

I ეტაპი

უმაღლესი პედაგოგიური უნივერსიტეტის დამთავრებისას მომავალი აპლიკანტი აბარებს პირველ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდას, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ➔ წერილობითი გამოცდა იმ საგანში, რომლის სწავლების სურვილი აქვს კანდიდატს;
- ➔ წერილობითი გამოცდა განათლების საკითხებზე;
- ➔ წერილობითი და ზეპირი გამოცდა ყველა იმ საგანში, რომელსაც კანდიდატი სწავლობდა როგორც ძირითადს (Major) უნივერსიტეტში სწავლის დროს, მათ შორის არის ზოგადი პედაგოგიკა, საგნის სწავლების მეთოდიკა და განათლების ისტორია;
- ➔ ზეპირი გამოცდა ზოგიერთ არაძირითად (Minor) საგანში;
- ➔ პრაქტიკული მუშაობის შეფასება.

II ეტაპი

პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ სტუდენტმა უნდა გაიაროს მეორე ეტაპი - უშუალო სწავლება ანუ პრაქტიკა. ორი წლის განმავლობაში პედაგოგობის მსურველს შესაძლებლობა ეძლევა ხელმძღვანლის მეთვალყურეობითა და დახმარებით სკოლაში იმუშაოს. მუშაობის პარალელურად გათვალისწინებულია თეორიული მეცადინეობებიც (სემინარები, სესიები და ა. შ.).

პრაქტიკული მუშაობის პერიოდის დასრულების შემდეგ პედაგოგად მუშაობის უფლების მიღების მსურველთათვის სავალდებულოა **მეორე ეტაპის გამოცდის ჩაბარება (მეორე სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა).** მხოლოდ ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ იღებს აპლიკანტი მასწავლებლის სერტიფიკატს (ანუ დამოუკიდებლად მუშაობის უფლებას). მეორე სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდას იბარებს სპეციალური საგამოცდო კომისია[5]. მასწავლებლის სერტიფიკატის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი ოთხი ძირითადი კრიტერიუმით:

1. წინა საგამოცდო შეფასება, რომელშიც გაერთიანებულია აპლიკანტის მენტორის (ხელმძღვანლის) და სკოლის სხვა პედაგოგების, მათ შორის თეორიული

[5] კომისია 6 წევრისგან შედგება: აპლიკანტის მუშაობის დამკვირვებლები, იმ სკოლის დირექციის წარმომადგენლები, სადაც აპლიკანტმა გაიარა მეორე ეტაპი, იმავე სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და ერთი პედაგოგი, რომელსაც თავად კონკურსანტი ირჩევს. კომისიას ხელმძღვანელობს განათლების სამინისტროს ოფიციალური პირი.

კურსის ლექტორების შეფასებები და ანგარიშები აპლიკანტის მიერ მეორე ფაზის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ;

2. მეორე ფაზაში აპლიკანტისთვის სავალდებულოა თავის საგანში სპეციალური თეზისის მომზადება, რომელშიც უნდა აისახოს ინფორმაცია მეორე ფაზის განმავლობაში მის მიერ მომზადებული გაკვეთილების შესახებ (საკითხები, მათი მიწოდების თანმიმდევრობა, მეთოდოლოგია და ა. შ). თეზისის შეფასება ხდება ამავე საგნის სპეციალისტის მიერ.

3. აპლიკანტი ზეპირ გამოცდას აბარებს ზოგადი პედაგოგიკის, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო დისციპლინის, აგრეთვე, განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, პედაგოგის პროფესიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და სკოლის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ცოდნის დონის დასადგენად.

4. პრაქტიკული მუშაობის (გაკვეთილის) შეფასება. გაკვეთილის ჩატარებამდე აპლიკანტი აწვდის დამკვირვებელს მის მიერ მომზადებულ გეგმას და გაკვეთილის მიზნებს. დამკვირვებლების ამოცანაა, დააკვირდნენ საგაკვეთილო პროცესს და შეაფასონ აპლიკანტის მიერ გაწეული სამუშაო მის მიერ მომზადებულ გეგმასთან მიმართებაში.

მიღებული განათლების, გავლილი ტრენინგებისა და ჩაბარებული გამოცდების მიხედვით, გერმანიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მასწავლებელთა შემდეგ კატეგორიებს:

- დაწყებითი საფეხურის (1 – 4 კლასები) მასწავლებელი;
- საბაზო საფეხურის (5 – 10 კლასები) მასწავლებელი;
- საშუალო საფეხურის (11 – 13 კლასები) კონკრეტული საგნის მასწავლებელი;
- საშუალო პროფესიული განათლების (კონკრეტული საგნის) (11 – 13 კლასები) მასწავლებელი;
- სპეციალური (სპეციალიზებული სკოლების ყველა საფეხურზე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მომუშავე) მასწავლებელი.

გარდა ზემოთ აღწერილი ეტაპებისა, გერმანიაში პედაგოგები ყოველ 4 – 6 წელიწადში ერთხელ გადიან სპეციალურ შუალედურ შეფასებას. ეს შეფასება, წინა გამოცდებისგან განსხვავებით, ძირითადად, პრაქტიკულ მუშაობას ეფუძნება. ინსპექტორი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს, ეცნობა გაკვეთილის ჩატარების გეგმას და შედეგებს, აგრეთვე აფასებს პედაგოგის ურთიერთობებს კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მის სხვა პროფესიულ უნარებს. პედაგოგის პირადი საქმე მოიცავს ამ შუალედურ შეფასებებს და წარმოადგენს პედაგოგის დაწინაურების, ან მისთვის რაიმე სახის ფინანსური წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

მასწავლებელთა სერტიფიცირება საქართველოში

საქართველოში განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში მრავალი ცვლილება განხორციელდა. შეიცვალა მასწავლებლად მუშაობის უფლების მოპოვების წესიც: ნებისმიერ ადამიანს, ვისაც სურვილი აქვს იმუშაოს პედაგოგად, აუცილებლად უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება. სწავლების თითოეული საფეხურისთვის განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაგროვებელი კრედიტების განსხვავებული რაოდენობა. ასე მაგალითად, სკოლამდელი განათლების და დაწყებითი განათლების საფეხურზე სამუშაოდ საკმარისია ბაკალავრის ხარისხი. საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლობის მსურველები კი უნდა ფლობდნენ ბაკალავრის ხარისხს კონკრეტული სპეციალობით (მაგ: ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო ან თუნდაც დაწყებითი კლასების მასწავლებლის), ამასთანავე მათ უნდა გაიარონ მაგისტრატურის კურსი განათლებაში. ეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის აუცილებელი გარდამავალ პერიოდში. გარდამავალი პერიოდი გრძელდება სერტიცირების დაწყებიდან ოთხი წლის განმავლობაში.

მასწავლებლის პროფესიული მომზადებისა და განვითარების ახალ სქემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სასერტიფიკაციო გამოცდას. მასწავლებლობის მსურველმა შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების და სკოლაში ერთი წლის მუშაობის შემდეგ უნდა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა და ამ გზით დაადასტუროს საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის და მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან.

სერტიფიცირების პროცესში ჩართულია რამდენიმე ორგანიზაცია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი დარგის ექსპერტებთან ერთად განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი – საგნობრივ სტანდარტებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმებთან. ამ სტანდარტების საფუძველზე კი გამოცდების ეროვნული ცენტრი ამზადებს შესაბამის ტესტებს და პასუხისმგებელია სასერტიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების პროცედურაზეც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასერტიფიკაციო გამოცდა მოიცავს ორი ტიპის ტესტს, რომელთა ჩაბარება სავალდებულოა მასწავლებლად მუშაობის ნებისმიერი მსურველისთვის. ეს ტესტებია:

<u>ზოგადი პროფესიული უნარების ტესტი</u> ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ბავშვის განვითარებისა და სწავლის თეორიები, ეფექტური სწავლისა და სწავლების მეთოდები და მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებები და ღირებულებები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის.

<u>საგნობრივი ტესტი</u> ამოწმებს კონკრეტული საგნის ან საგნობრივი ჯგუფის სწავლებისათვის საჭირო და ამ საგნის/საგანთა ჯგუფის სწავლების სპეციფიკური მეთოდიკის ცოდნას. საგნობრივი ტესტირება ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანში.

სასერტიფიკაციო გამოცდა ზოგად პროფესიულ უნარებში ერთნაირი იქნება ყველა საგნისა და საფეხურის მასწავლებლებისათვის. რაც შეეხება გამოცდას კონკრეტულ საგანსა თუ საგანთა ჯგუფში, იგი ჩატარდება ცალკე საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლებისათვის და ცალკე – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის.

სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება, ანუ სერტიფიკატის მოპოვება თავისთავად არ ნიშნავს მასწავლებლობის უფლების მოპოვებას მთელი ცხოვრების მანძილზე. სერტიფიკატის განახლება რვა წელიწადში ერთხელ სავალდებულოა ყველა მასწავლებლისთვის.

სერტიფიკატის განახლება შესაძლებელია სხვადასხვა აკრედიტებული ტრენინგ - პროგრამების გავლის თუ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობით. ამ გზით დაგროვებული ქულების (კრედიტების) რაოდენობა ჯამდება და გამოარჩევს სერტიფიცირებულ პედაგოგებს კოლეგებისაგან, რაც ზრდის მათი შემდგომი დასაქმების, დაწინაურების თუ უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას. სერტიფიკატის განახლება შესაძლებელია სასერტიფიკაციო გამოცდის ხელახალი ჩაბარებით.

პროფესიული უნარების ტესტი

როგორ უნდა მოვემზადოთ ტესტირებისათვის?

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა სპეციალურად თქვენთვის მოამზადა ეს კრებული, რომელიც ტიპურ ტესტურ დავალებებს შეიცავს. მოცემულ ტესტური დავალებების ნიმუშებს ახლავს სწორი პასუხები და შეფასების სქემები. პროფესიული უნარების კრებულში ტესტური დავალებების გარდა დანართის სახით წარმოდგენილია სტანდარტით განსაზღვრული სწავლებისა და განვითარების თეორიების ძირითადი დებულებები და ინფორმაცია იმ ავტორთა შესახებ, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროში. კრებულზე მუშაობისას დანართში მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ, უკეთ გაერკვეთ ტესტურ დავალებათა ზოგიერთ ნიმუშში.

კრებულში მოცემულია ასევე შესრულებული დავალებების ნიმუშები საცდელი ტესტირებიდან, რომელთა საფუძველზეც გაეცნობით, თუ რა პრინციპით ფასდება ესა თუ ის დავალება. აქ მოყვანილია ტესტური დავალებების ტიპური ნიმუშები და მათი გადაწყვეტის სტრატეგიები, რეკომენდაციები, როგორ უნდა ვიმუშაოთ ე. წ. "ღია" ან "დახურულ" კითხვებზე, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ დავალებებში, რომლებიც მსჯელობებისა და დებულებების *ჭეშმარიტობა/მცდარობის* მიხედვით შეფასებას მოითხოვს და ა. შ.

ყურადღებით გაეცანით მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ამ ბუკლეტში დანართი 1-ის სახით არის მოცემული. შეაფასეთ, რამდენად კარგად იცით სტანდარტში მოცემული საკითხები. ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემაში თქვენი პრაქტიკული გამოცდილება დაგეხმარებათ; ამასთან ერთად, შეაგროვეთ თქვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა.

ბუნებრივია, თქვენ უფრო მეტ დროს დაუთმობთ პროფესიულ თვითგანვითარებას, ვიდრე კონკრეტული ტესტისთვის მზადებას. ყურადღებით წაიკითხეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ლიტერატურა, გაეცანით სწავლების ახალ მიდგომებსა და მოდელებს, გადახედეთ თქვენთვის ხელმისაწვდომ სხვა პროფესიულ ლიტერატურას. პროფესიულ თვითგანვითარებაზე ორიენტირებული ამგვარი მიდგომა პროფესიული უნარების ტესტის წარმატებით ჩაბარების წინაპირობა იქნება.

სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში, ამ კრებულთან ერთად, დიდ დახმარებას გაგიწევთ სპეციალურად თქვენთვის მომზადებული ლიტერატურა:

1. დამხმარე სახელმძღვანელო - I განვითარებისა და სწავლის თეორიები
II სწავლება და შეფასება
III სასწავლო და პროფესიული გარემო
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008
2. „ეფექტური სწავლება“ (Effective teaching. Daniel Muijs and David Reynolds. ადაპტირებული თარგმანი, Sage Publications 2005),
3. ს. ჯანაშია, et. al., „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007.
4. ს. ჯანაშია, et. al., „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2008.
5. თ. პაჭკორია (რედ.), „ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2008.
6. ს. ჯანაშია, et. al., „განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის", ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007.
7. „სასარგებლო რესურსები მასწავლებლებისთვის”, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007.
8. ფილმები (DVD – „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება”), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007.
9. ფილმები (CD – „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007.
10. ფილმები (Video – „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება”), ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007.

II თავი

ტესტურ დავალებათა ტიპები

ამ თავში აღწერილია ტესტურ დავალებათა სხვადასხვა ტიპი, საილუსტრაციოდ წარმოდგენილია თითოეული ტიპის დავალების ნიმუში და ***ზოგადი*** რეკომნდაციები მათზე სამუშაოდ. აქ განხილული ტესტური დავალებების სწორი პასუხები და შეფასების პრინციპები დეტალურად განხილულია III თავში. გვ. 33.

პროფესიული უნარების ტესტში შეგხვდებათ ოთხი ტიპის ტესტური დავალება:

1. **დავალება არჩევითი პასუხით**
2. **შესაბამისობის დავალება**
3. **დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია"**
4. **დავალება ღია დაბოლოებით.**

1. დავალებები არჩევითი პასუხით

დავალებები არჩევითი პასუხით შედგება მოცემულობის, პირობის ან კითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან. პროფესიული უნარების ტესტში ამგვარ დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, სადაც ***სწორია მხოლოდ ერთი პასუხი.*** ეს დავალებები ფასდება 1 ქულით.

არსებობს არჩევითპასუხიანი დავალების რამდენიმე სახე:

- *სიტუაცია-სტიმული*
- *კითხვის ფორმით მოცემული დავალება*
- *არასრული მოცემულობა*
- *ილუსტრირებული მოცემულობა*
- *რამდენიმე პასუხის მოთხოვნა*
- *ნეგატიურად ფორმულირებული დავალება*
- *მიზანი და მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები.*

1.1. სიტუაცია-სტიმული. პირობაში აღწერილია სიტუაცია, ან მოყვანილია ფაქტები, რომლის გაცნობის შემდეგაც უნდა უპასუხოთ კითხვას.

ნიმუში

ლევანი ჰიპერაქტიული მოსწავლეა. გაკვეთილზე შეიძლება წამოხტეს, თანაკლასელების ნივთები აიღოს და იატაკზე დაყაროს, რის გამოც გაკვეთილის მსვლელობა სერიოზულად ფერხდება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის *ყველაზე ადეკვატური* ქმედება ასეთი ჰიპერაქტიური მოსწავლის ქცევის მართვისათვის:

ა) მოსწავლის ქცევის იგნორირება და გაკვეთილის გაგრძელება.

ბ) შეხსენება იმისა, რომ მოსწავლებმა უნდა დაიცვან წესი და მშვიდად ისხდნენ.

გ) მოსწავლესთან მისვლა და მკაფიო მითითების მიცემა, კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს.

დ) გაკვეთილის შემდეგ მოსწავლესთან გასაუბრება თხოვნით, რომ ხელი არ შეუშალოს სხვა მოსწავლეებს.

1.2. კითხვის ფორმით მოცემული დავალება. დავალების ეს ფორმა მარტივია, შეკითხვა პირდაპირაა დასმული და ადვილად გასაგებია.

ნიმუში

ზოგადი განათლების შესახებ კანონის ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო. რა პერიოდით ირჩევენ პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეს?

ა) 1 წლით
ბ) 2 წლით
გ) 3 წლით
დ) 4 წლით

1.3. არასრული მოცემულობა. ასეთ დავალებაში კითხვა ცალკე გამოყოფილი არ არის. პირობაში მოცემულია მსჯელობა, რომელიც უნდა დაასრულოთ სავარაუდო პასუხებიდან ერთ-ერთის არჩევით.

ნიმუში

სწავლების ბიჰევიორისტული მოდელის მიხედვით, სასწავლო პროცესში

ა) მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ირჩევს სასწავლო აქტივობებს და მათი შესრულების ტემპს.
ბ) მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ირჩევს სასწავლო აქტივობებს, ხოლო მათი შესრულების ტემპი წინასწარაა განსაზღვრული მასწავლებლის მიერ.
გ) მოსწავლე თვითონ ირჩევს სასწავლო აქტივობების განხორციელების ტემპს, ხოლო აქტივობები წინასწარ არის განსაზღვრული მასწავლებლის მიერ.
დ) სასწავლო აქტივობები და მათი განხორციელების ტემპი წინასწარ განსაზღვრულია მასწავლებლის მიერ.

1.4. ილუსტრირებული მოცემულობა. დავალება მოითხოვს პრობლემის გადაწყვეტას ილუსტრირებული მოცემულობის გააზრების საფუძველზე.

ნიმუში

მათემატიკის მასწავლებელი ამჩნევს, რომ სიბეჯითის მიუხედავად, თამუნას უჭირს წილადებზე ამოცანების გადაწყვეტა.

ქვემოთ მოცემული ოთხი დავალებიდან რომელი ორი უნდა მისცეს თავდაპირველად პედაგოგმა თამუნას, რომ მას წილადების გაგება გაუადვილდეს?

დავალება N1

ნახატზე გამოხატულია 12 ყვავილი. შემოხაზე ყვავილების 2/3 ნაწილი.



დავალება N2

გაყავი წრე სამ ტოლ ნაწილად.



გააფერადე წრის 1/3 ნაწილი.

დავალება N3

გიამ ნამცხვრის 1/2 ნაწილი შეჭამა, დათომ კი ნამცხვრის 1/4 ნაწილი. რა ნაწილი დარჩა ნამცხვრიდან?

დავალება N4

კვადრატის ერთ-ერთი ნახევარი მისი *1/2 ნაწილია.*

გააფერადე კვადრატის ნახევარი.

ა) ჯერ დავალება N 4, შემდეგ დავალება N 2;

ბ) ჯერ დავალება N 1, შემდეგ დავალება N 3;

გ) ჯერ დავალება N 3, შემდეგ დავალება N 2;

დ) ჯერ დავალება N 1, შემდეგ დავალება N 4.

1.5. რამდენიმე პასუხის მოთხოვნა (*ჩამონათვალი რომაული ციფრებით*). ასეთი ფორმატის დავალებები იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ჩამონათვალში ერთი ან ერთზე მეტი სწორი პასუხია. ასეთი ტიპის დავალებებში სავარაუდო პასუხები ასე შეიძლება იყოს ფორმულირებული: მაგ. სწორია I და II, სწორია II და III და ა. შ.

ნიმუში

კოლბერგის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ორი ფაქტორი უდევს საფუძვლად ადამიანის მორალურ განვითარებას:

I. მისი გენეტიკა – თანდაყოლილი უნარები და განვითარებისადმი მზაობა.
II. სოციალური გარემო, რომელშიც ის ვითარდება და კანონმორჩილება.
III. აზროვნება და განსჯა სხვადასხვა მორალურ საკითხებზე.
IV. დასჯა – დაჯილდოების სახით მიღებული უკუკავშირი.

ა) I და II.
ბ) III და IV.
გ) II და III.
დ) I და IV.

1.6. ნეგატიურად ფორმულირებული არჩევითკითხვიანი დავალება. (დავალებები, სადაც კითხვაში ფიგურირებს სიტყვები: ***არ არის შესაძლებელი, არ გამომდინარეობს, არ შეესაბამება*** და ა. შ.).

ნიმუში

ჩამოთვლილთაგან საკლასო მენეჯმენტის რომელი სტრატეგია <u>არ შეესაბამება</u> როჯერსის ჰუმანისტურ მოდელს?

ა) მოსწავლეთა მიერ საკუთარი ქცევის და წარმატების შეფასება.
ბ) მოსწავლეებში თვითაქტუალიზაციის განვითარების ხელშეწყობა.
გ) მოსწავლეებში სხვადასხვა წარმატებული ქცევის განმტკიცება გარეგან ფაქტორებზე დაყრდნობით.
დ) მოსწავლეების უპირობო მხარდაჭერა, მათი აზრის პატივისცემა.

1.7. **მიზანი-აქტივობა.** ტესტში ასევე შეიძლება შეგხვდეთ არჩევითპასუხიანი დავალება, რომელშიც აღწერილია **მიზანი და მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები.** აპლიკანტმა უნდა გაანალიზოს, რითი უწყობს ან არ უწყობს ხელს აღწერილი აქტივობა დასახული მიზნის მიღწევას.

ნიმუში

ქვემოთ მოცემულია გაკვეთილის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

დაწყებითი კლასის მასწავლებელმა შენიშნა, რომ რამდენიმე პირველ კლასელის აზრით, *„საგანი რაც უფრო დიდია, მით უფრო მძიმეა.”*

მიზანი: მოსწავლეებისათვის საგნის მოცულობასა და წონას შორის მიმართების ახსნა.

აქტივობა: მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა მაგიდაზე მოცულობის კლების მიხედვით მოთავსებული საგნების (როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები) დალაგება წონის ზრდის მიხედვით.



აღწერილი აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად

ა) ადეკვატურია, რადგან ამ ასაკში ბავშვებს შეუძლიათ გაიაზრონ და გადაჭრან ჰიპოთეტური პრობლემები.

ბ) არ არის ადეკვატური, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს თვალსაჩინოების მიუხედავად მაინც გაუჭირდება მოცულობასა და წონას შორის მიმართებების დადგენა.

გ) ადეკვატურია, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს შეუძლია თვალსაჩინოების დახმარებით ცოდნა საკუთარი აღმოჩენების საფუძველზე ააგოს.

დ) არ არის ადეკვატური, რადგან ამ ასაკში ბავშვს შეუძლია განზოგადებული ცნებებით ოპერირება და თუ მიმართებებს კარგად ახსნის, პედაგოგი მიზანს ისედაც მიაღწევს.

რეკომენდაციები არჩევითპასუხიანი დავალებების შესასრულებლად:

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების **პირობა**.
- მონიშნეთ საკვანძო სიტყვები და ფრაზები დავალებაში.
- ყურადღებით წაიკითხეთ **შეკითხვა.**
- უპასუხეთ შეკითხვას მანამ, სანამ სავარაუდო პასუხებს წაიკითხავთ. ეს დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ დაბნეულობა.
- დავალებებს უპასუხეთ მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემულია პირობაში.
- აუცილებლად წაიკითხეთ **პასუხის ყველა ვარიანტი,** ვიდრე სწორ ვარიანტს შეარჩევდეთ. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი მსგავსი ვარიანტი, მაგრამ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთია სწორი.
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან გახაზულია.. მაგ: „ჩამოთვლილთაგან რომელი ***<u>არ არის</u>”, <u>„ყველაზე ადეკვატური”</u>*** და ა. შ.
- თუ პასუხი არ იცით, თავი აარიდეთ იმ სავარაუდო პასუხებზე ფიქრს, რომლებიც იცით, ან ვარაუდობთ, რომ მცდარია. ამით თქვენ გადაწყვეტილების მიღება გაგიმარტივდებათ.

მიაქციეთ ყურადღება:

- ➔ პასუხების **<u>არასწორი</u>** ვარიანტები **<u>ძალიან ხშირად</u>** შეიცავს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: ყოველთვის, არასდროს, ყველა, არც ერთი.
- ➔ პასუხების **<u>სწორი</u>** ვარიანტები **<u>ძალიან ხშირად</u>** შეიცავს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: უმეტესად, იშვიათად, ხანდახან, ხშირად.

- როდესაც ერთ-ერთ სავარაუდო პასუხად წერია „სწორია ყველა ზემოთჩამოთვლილი“ და ოთხი შესაძლო ვარიანტიდან იცით, რომ ორი სწორია, ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ პასუხი „ყველა ზემოთჩამოთვლილი“ იყოს სწორი.
- შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: „ **<u>ყველაზე ნაკლებად, გარდა, ან არ</u>**”, „გვაიძულებს”, ისეთი პასუხი ვიპოვნოთ, რომელიც არ არის სწორი. ასეთი შეკითხვები მაშინ დაისმება, როცა ჩამონათვალში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

გაითვალისწინეთ, რომ რეკომენდაციები 1-3 ზოგადი ხასიათისაა, ისინი სხვა ტიპის ტესტურ დავალებებზე მუშაობის დროსაც გამოგადგებათ.

2. შესაბამისობის დავალებები

შესაბამისობის დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა (მოვლენები, ფრაზები...), მეორე სვეტში სავარაუდო პასუხები (ტერმინები, ცნებები, ავტორები...). აპლიკანტს ევალება სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს შეუსაბამოს.

ასეთი ტიპის დავალებებში დასაშვებია:

- მეორე (პასუხების) სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთ-ერთი **პასუხი იყოს სწორი** პირველ სვეტში მოცემული ორი პირობისათვის (ორი პირობა, ერთი სწორი პასუხი)
- ალტერნატივებიდან რომელიმე სავარაუდო პასუხი არ შეესაბამებოდეს არც ერთ მსჯელობას I სვეტიდან.
- ერთ-ერთი სვეტში ჩამონათვალი იყოს ერთიით ნაკლები.

გაითვალისწინეთ, რომ შესაბამისობის დავალებებს შესაძლოა ჰქონდეს თანაბარი ან არათანაბარი ვარიანტები თითოეულ სვეტში.

მაგალითისათვის განვიხილოთ უფრო რთული ვარიანტი: შესაბამისობის დავალება – არათანაბარი სვეტებით.

შესაბამისობის დავალებები – არათანაბარი სვეტები

ნიმუში

მოსწავლეებს სწავლის განსხვავებული სტილი აქვთ. ზოგი უკეთესად იგებს და იმახსოვრებს ვიზუალურად მიწოდებულ ინფორმაციას, ზოგი წერის დროს უკეთესად იგებს და იაზრებს ახალ მასალას და ა. შ. ყურადღებით წაიკითხეთ მარცხენა სვეტში მოსწავლეების შესახებ მოცემული ინფორმაცია და შეუსაბამეთ მარჯვენა სვეტში მოცემულ სწავლის სტილს.

ინფორმაცია მოსწავლის შესახებ	სწავლის სტილი
(I) გიორგიმ მასწავლებელს საკმაოდ კარგად უპასუხა, მაგრამ შედარებით დაბალი შეფასება მიიღო. მასწავლებელმა ეს ასე აუხსნა: „სახლში არ წაგიკითხავს, რაც აქ მოისმინე – ის მოყევი“. გიორგი: „რა ვქნა, მასწ, თქვენ ისე კარგად ყვებით, მაშინვე მამახსოვრდება...“	ა. სწავლა შეხებით
	ბ. სწავლა კეთებით
(II) მარის აკადემიური მიღწევები ბოლო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა და მშობელთა კრებაზე კლასის დამრიგებელმა ხაზგასმით აღნიშნა ეს ამბავი. მარის დედამ კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: „ვურჩიე, მეცადინეობისას მნიშვნელოვანი საკითხები ამოეწერა და დამიჯერა...“	გ. სწავლა კითხვით
(III) დათოს ძალიან უჭირს მოქმედებები წილადებსა და ათწილადებზე. ამის გამო საკონტროლოში ორიანი მიიღო. გიგამ ქურთუკის ჯიბიდან მანდარინი ამოიღო და დათოს მიაწოდა. „ეს არის ერთი მანდარინი. დაანაწილე ლებნებად. აი, შეხედე, 16 ლებანია. ე.ი. ერთი ლებანი მანდარინის 1/16-ია. 8 ცალი რომ ავიღოთ, მანდარინის ნახევარი გამოვა“. სახლში დაბრუნებულმა დათომ თავისუფლად ამოხსნა დავალება წილადებზე.	დ. სწავლა მოსმენით
	ე. სწავლა წერით

ა) (I) -ს შეესაბამება ა. ბ. გ. დ. ე.
ბ) (II) -ს შეესაბამება ა. ბ. გ. დ. ე.
გ) (III) -ს შეესაბამება ა. ბ. გ. დ. ე.

რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებების შესასრულებლად:

- ყურადღებით წაიკითხეთ I სვეტში მოცემული მსჯელობები.
- მონიშნეთ ის მსჯელობა/ფაქტი, რომელიც თქვენთვის ნაცნობია.
- ყურადღებით წაიკითხეთ II სვეტში მოცემული სავარაუდო პასუხის ალტერნატივები.
- პირველ რიგში მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეიძლება გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნავად). საბოლოოდ, სწორი პასუხი უნდა შემოიხაზოს პასუხების ვარიანტებში.
- აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. არ დაგავიწყდეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.
- თუ შესაბამისობის დადგენა გიჭირთ, თავი აარიდეთ იმ სავარაუდო პასუხებზე ფიქრს, რომლებიც იცით, ან ვარაუდობთ, რომ მცდარია. ამით თქვენ გადაწყვეტილების მიღება გაგიმარტივდებათ.

3. დავალებები პასუხით "ჭეშმარიტია-მცდარია"

ამ ტიპის დავალება აპლიკანტისაგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის განსაზღვრას/დადგენას.

ნიმუში

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ აღწერილ სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების სისწორის შესახებ. თუ ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, ქვემოთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ სწორი პასუხი.

ერთ-ერთ სჯარო სკოლაში საკმაოდ დაძაბული ფსიქოლოგიური კლიმატი შეიქმნა. კოლექტივის ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დირექტორის ზოგიერთი გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, რის გამოც ხშირი იყო კონფლიქტი როგორც კოლექტივის წევრებსა და დირექტორს შორის, ისე დირექტორის მხარდამჭერ და მათთან დაპირისპირებულ პედაგოგებს შორის. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ დაპირისპირებულმა პედაგოგებმა მოაწყვეს გაფიცვა, ამის გამო სკოლაში სასწავლო პროცესი ფაქტობრივად მოიშალა. გაფიცულმა პედაგოგებმა შეიტყვეს, რომ დირექტორმა მათ ხელფასიდან დაუქვითა გაფიცვის გამო გაცდენილი დღეების ანაზღაურება და რომ ყველა დათხოვნილია სამსახურიდან სასწავლო პროცესის ჩაშლისა და უკანონო გაფიცვის გამო.

1.1 დირექტორის ქმედება (ხელფასის დაქვითვა) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო ხელფასის დაქვითვა გაფიცვის პროცესში შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

1.2 დირექტორის ქმედება (მასწავლებლების დათხოვნა სამსახურიდან) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო სამსახურიდან დათხოვნის მუქარა, ან თავად ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

1.3 განთავისუფლებულ პედაგოგებს დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

არ დაგავიწყდეთ, რომ ინსტრუქციის მიხედვით, თქვენ გევალებათ თქვენს მიერ მცდარად შეფასებული მსჯელობა **ჩაწეროთ სწორი ფორმით.**

რეკომენდაციები „ჭეშმარიტია/მცდარია" ტიპის დავალებების შესასრულებლად:

- ყურადღებით წაიკითხეთ დებულებები, რომელთა ჭეშმარიტობა/მცდარობაც უნდა შეაფასოთ.
- დააკვირდით სავარაუდო პასუხებში მოცემულ სიტყვებს. *ყველა, მხოლოდ, არასოდეს* და *ყოველთვის* – ამ ტიპის დავალებები უმეტესად მცდარია. *როგორც წესი, ხშირად, ჩვეულებრივ,* და *ხანდახან* – უმეტეს შემთხვევაში ჭეშმარიტია.
- ჭეშმარიტი მსჯელობის ყველა ფრაზა ჭეშმარიტი უნდა იყოს.
- თუ დებულების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ მთლიანი დებულებაც მცდარია. თუ წინადადების რომელიმე ნაწილი მცდარია, მაშინ ის მთლიანად მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწილი ჭეშმარიტია.
- თუ დებულება მცდარია, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ის უნდა ჩაიწეროს კორექტული ფორმით.
- თუ დებულება მცდარია და აპლიკანტი ადეკვატურად მოიუთითებს პასუხს *„მცდარია",* მაგრამ არ ჩაწერს იმას, თუ რა ფორმით იქნებოდა დებულება ჭეშმარიტი, იგი ვერ მიიღებს ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას.

4. დავალებები ღია დაბოლოებით

ამ ტიპის დავალებებში შეკითხვას სავარაუდო პასუხები არ ახლავს. პასუხი თქვენ უნდა დაწეროთ, იმსჯელოთ, დაასაბუთოთ და ა.შ. ასეთი დავალებები ტესტში შედარებით ცოტაა.

ნიმუში

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, რაც უფრო ნიჭიერია ბავშვი, მით უფრო ადვილია მასთან სასწავლო პროცესის წარმართვა. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ პედაგოგებს უჭირთ ისეთი კლასის მართვა, სადაც განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები არიან.

დაასახელეთ ორი სირთულე, რომლებმაც შეიძლება იჩინოს თავი, როცა კლასში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეა და აღწერეთ თითოეული მათგანის დაძლევის გზა.

ჩაწერეთ:

1. სირთულე: _____

_____

_____

დაძლევის გზა: _____

_____

_____

2. სირთულე: _____

_____

დაძლევის გზა: _____

_____

_____

რეკომენდაციები ღია დავალებების შესასრულებლად:

ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

- ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, დააკვირდით, რა ფაქტები ან პრობლემებია მოცემული დავალებაში, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა უპასუხოთ კითხვას.
- მონიშნეთ საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომ თვალსაჩინოდ დაინახოთ, რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება პასუხის გაცემის დროს.
- ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა, *უპასუხეთ იმას, რასაც გეკითხებიან.* მაგ თუ კითხვა ასეთია: „რა განსხვავებაა X-სა და Y-ს შორის?" – უნდა უპასუხოთ, რა განსხვავებაა და არა რა მსგავსებაა X-სა და Y-ს შორის. მსგავსების აღწერის შემთხვევაში აპლიკანტი ქულას ვერ მიიღებს.
- ნუ გაცდებით დავალების პირობას, ან კითხვაში მოცემულ საკითხს. ქულა იწერება კონკრეტულ პასუხებში და არა ზოგად მსჯელობაში.
- გახსოვდეთ, თუ გთხოვენ დაასახელოთ და დაასაბუთოთ მაგ. პრობლემის გადაჭრის ორი გზა, შეფასდება თქვენს მიერ დაწერილი პირველი ორი პასუხი. მესამე ან მეტი გზის მოყვანის შემთხვევაში დამატებითი ქულები არ იწერება.
- უპასუხეთ შეკითხვის ყველა ნაწილს.
- ყურადღება მიაქციეთ, რამდენი საკითხის განხილვას ითხოვს თქვენგან დავალება.
- წერეთ მკაფიოდ.
- სასურველია, თქვენმა ნაწერმა შეავსოს პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.[6]
- დაზოგეთ დრო, რათა გქონდეთ საშუალება, გადახედოთ თქვენს ნაწერს.

[6] ცხადია, შეიძლება თქვენ ძალიან მოკლედ, მაგრამ ადეკვატურად უპასუხოთ კითხვას. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ყურადღება არ ექცევა, შევსებულია თუ არა პასუხისათვის გათვალისწინებული ადგილი. აპლიკანტი მიიღებს დამსახურებულ ქულას. უბრალოდ გაითვალისწინეთ, რომ პასუხისთვის გამოყოფილი ადგილი ოპტიმალურია არგუმენტირებული სწორი პასუხისათვის.

III თავი

პროფესიული უნარების ტესტურ დავალებათა შეფასების ნიმუშები

ამ თავში თქვენ გაეცნობით პროფესიული უნარების ტესტის დავალებათა შეფასების ნიმუშებს. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა არაერთი საცდელი ტესტირება ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და თუ თქვენ საცდელ ტესტირებებში მონაწილეობდით, ზოგიერთი დავალება შეიძლება თქვენთვის ნაცნობიც აღმოჩნდეს. თანდართული კომენტარები დაგეხმარებათ, უკეთ გაერკვეთ დავალების არსში, სწორი და არასწორი პასუხების ინტერპრეტაციაში. იმისათვის, რომ თქვენ გაეცნოთ ღია დავალებების შეფასების კრიტერიუმებს, ამ თავში საცდელი ტესტირებებიდან აღებული შესრულებული დავალებების ნიმუშებსაც გთავაზობთ.

დავალებათა ცალკეულ ჯგუფს წინ უძღვის ამონარიდი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესატყვისი თავიდან, ასევე განსაზღვრულია, რის შემოწმებას ემსახურება დავალება. მოცემულია ტესტური დავალების ანალიზი და შეფასების სქემა (სწორი პასუხები).

ნიმუში N 1

კოლბერგის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი ორი ფაქტორი უდევს საფუძვლად ადამიანის მორალურ განვითარებას:

I. მისი გენეტიკა – თანდაყოლილი უნარები და განვითარებისადმი მზაობა.
II. სოციალური გარემო, რომელშიც იგი ვითარდება და კანონმორჩილება.
III. ფიქრი და მსჯელობა სხვადასხვა მორალურ საკითხზე.
IV. დასჯა – დაჯილდოების სახით მიღებული უკუკავშირი.

ა) I და II.
ბ) III და IV.
გ) II და III.
დ) I და IV.

მიზანი: ბავშვის მორალური განვითარების თეორიის ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი II. მუხლი 5. საკითხი 1. დანართი N2, 2. განვითარებისა და სწავლის თეორიების ავტორები, (3) ლორენს კოლბერგი.

სწორი პასუხი: (გ)

რომაული ციფრებით აღნიშნულია ოთხი სხვადასხვა ფაქტორი, რომელთაგან უნდა აირჩიოთ ის ორი, რომელიც, კოლბერგის თეორიის მიხედვით, საფუძვლად უდევს ადამიანის მორალურ განვითარებას. მოცემულია ამ ფაქტორებისგან შემდგარი ოთხი სავარაუდო წყვილი, ანუ ოთხი სავარაუდო პასუხი – (ა), (ბ), (გ), (დ), რომელთაგანაც უნდა შეარჩიოთ სწორი პასუხი.

კომენტარი

კოლბერგის თეორიის მიხედვით (იხ. დანართი №2, ლ. კოლბერგი გვ. 102), ადამიანის მორალურ განვითარებას განაპირობებს ის სოციალური გარემო, რომელშიც იგი ვითარდება და მისი კანონისადმი დამოკიდებულება, კანონმორჩილება (II), აგრეთვე აზროვნება და განსჯა სხვადასხვა მორალურ საკითხებზე (III). შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან უნდა შეირჩეს ის ვარიანტი, სადაც დაწყვილებულია II და III ფაქტორები. ასეთია (გ) ვარიანტი.

ნიმუში N 2

სწავლების ბიჰევიორისტული მოდელის მიხედვით, სასწავლო პროცესში:

ა) მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ირჩევს სასწავლო აქტივობებს და მათი შესრულების ტემპს.
ბ) მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ირჩევს სასწავლო აქტივობებს, ხოლო მათი შესრულების ტემპი წინასწარაა განსაზღვრული მასწავლებლის მიერ.
გ) მოსწავლე თვითონ ირჩევს სასწავლო აქტივობების განხორციელების ტემპს, ხოლო აქტივობები წინასწარ არის განსაზღვრული მასწავლებლის მიერ.
დ) სასწავლო აქტივობები და მათი განხორციელების ტემპი წინასწარ განსაზღვრულია მასწავლებლის მიერ.

მიზანი: სწავლების თეორიის ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი II. მუხლი 5. საკითხი 1. დანართი N2, 1. განვითარებისა და სწავლის თეორიები, (1) ბიჰევიორიზმი.

სწორი პასუხი: (დ)

კომენტარი

სწავლების სხვადასხვა მოდელი ეყრდნობა სხვადასხვა თეორიულ საფუძველს. სწავლების ბიჰევიორისტული მოდელი გულისხმობს, რომ მასწავლებელი თავად განსაზღვრავს სწავლების პროცესს, მართავს მოსწავლის ქცევას და მოსწავლე ძირითადად მასწავლებლის ინსტრუქციების, მითითებების შემსრულებლის როლშია. შესაბამისად, სწორი პასუხია **(დ).**

(ა), (ბ) და (გ) პასუხები არ არის სწორი, რადგან, ამ პასუხების მიხედვით, სწავლის პროცესის დაგეგმვაში მონაწილეობს მოსწავლის აქტივობაც, რასაც გამორიცხავს ბიჰევიორისტული სწავლების მოდელი.

ნიმუში N 3

ისტორიის მასწავლებელმა მე-6 კლასის მოსწავლეები ექსკურსიაზე წაიყვანა. გზად ბავშვებმა ავტობუსის ფანჯრიდან ნანგრევი შენიშნეს და მასწავლებელს ჰკითხეს:

– აქ ეკლესია იყო?

– ამის გარკვევა თქვენთვის მომინდია, – უპასუხა მან.

მასწავლებელმა მოსწავლეებს ნანგრევის სურათები გადააღებინა, სოფლის სახელი ჩააწერინა და მისცა დავალება: ორი კვირის ვადაში თქვენ უნდა მოამზადოთ ნარკვევი ამ ისტორიული ძეგლის შესახებ. შეგიძლიათ, ისარგებლოთ სკოლის ბიბლიოთეკითა და უფროსების დახმარებით.

ორი კვირის შემდეგ ყველა მოსწავლემ კლასში წარმოადგინა დასურათებული ნაშრომი, რომელშიც ძეგლის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია იყო მოცემული. მოსწავლეები კმაყოფილები იყვნენ როგორც თავიანთი ნამუშევრით, ასევე მასწავლებლის შეფასებით.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მეცნიერის თეორია შეესაბამება ~~ყველაზე მეტად~~ სწავლების პროცესში ისტორიის მასწავლებლის მიერ გამოყენებულ მეთოდს:

ა) უზნაძის;
ბ) სკინერის;
გ) ბრუნერის;
დ) როჯერსის.

მიზანი: ბრუნერის თეორიის ძირითადი დებულების ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი II. მუხლი 5. საკითხი 1. დანართი N2, 2. განვითარებისა და სწავლის თეორიები, (10) ჯერომ ბრუნერი.

სწორი პასუხი: (გ)

კომენტარი

ბრუნერის თეორია (იხ. დანართი №2, ჯ. ბრუნერი გვ. 121) გულისხმობს სწავლას აღმოჩენების გზით, როდესაც მოსწავლეებს მასალა დაუსრულებელი სახით მიეწოდებათ, რაც მათში აღძრავს სურვილს, თვითონ აღმოაჩინონ ურთიერთკავშირები ინფორმაციის ელემენტებს შორის და მიღებულ ცოდნას მისცენ ორგანიზებული ფორმა.

დავალებაში მოყვანილია სწავლების მაგალითი აღმოჩენების გზით, ამიტომ (გ) სწორი პასუხია.

ნიმუში N 4

მათემატიკის მასწავლებელი ამჩნევს, რომ სიბეჯითის მიუხედავად, თამუნას უჭირს წილადებზე ამოცანების გადაწყვეტა.

ქვემოთ მოცემული ოთხი დავალებიდან რომელი ორი უნდა მისცეს თავდაპირველად პედაგოგმა თამუნას, რომ მას წილადების გაგება გაუადვილდეს?

დავალება N1

ნახატზე გამოსახულია 12 ყვავილი. შემოხაზე ყვავილების 2/3 ნაწილი.



დავალება N2

გაყავი წრე სამ ტოლ ნაწილად.



გააფერადე წრის 1/3 ნაწილი.

დავალება N3

გიამ ნამცხვრის 1/2 ნაწილი შეჭამა, დათომ კი ნამცხვრის 1/4 ნაწილი. რა ნაწილი დარჩა ნამცხვრიდან?

დავალება N4

კვადრატის ერთ-ერთი ნახევარი მისი *1/2 ნაწილია.*

გააფერადე კვადრატის ნახევარი.



ა) ჯერ დავალება N 4, შემდეგ დავალება N 2;
ბ) ჯერ დავალება N 1, შემდეგ დავალება N 3;
გ) ჯერ დავალება N 3, შემდეგ დავალება N 2;
დ) ჯერ დავალება N 1, შემდეგ დავალება N 4.

მიზანი: პიაჟეს თეორიის პრაქტიკაში გამოყენება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი II. მუხლი 5. საკითხი 1. დანართი N2, 2. განვითარებისა და სწავლის თეორიები, (1) ჟან პიაჟე.

სწორი პასუხია ა).

კომენტარი

დავალების პირობა მოითხოვს ბავშვის კოგნიტური განვითარების ზოგადი კანონზომიერების ცოდნას. კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ ამავე სახელმძღვანელოს დანართში მოცემული პიაჟეს თეორიის მოკლე აღწერა (იხ. დანართი №2, ჟ. პიაჟე გვ.87). თუმცა პედაგოგი პრაქტიკული გამოცდილებითაც მარტივად უპასუხებს ამგვარ კითხვას.

ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარების ზოგადი კანონზომიერება, პიაჟეს მიხედვით, შემდეგია: ბავშვი ჯერ კონკრეტულ მოქმედებაში ახერხებს პრობლემის გადაწყვეტას (ინტელექტის განვითარების სენსო-მოტორული სტადია); შემდეგ ეტაპზე ბავშვს ახასიათებს თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება, შესაბამისად, უკვე შეუძლია თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით ამოცანის გადაწყვეტა (ინტელექტის განვითარების ოპერაციამდელი სტადია); მომდევნო ეტაპზე ბავშვისათვის უკვე მისაწვდომია ამოცანის თვალსაჩინო საყრდენის გარეშე გადაწყვეტა, თუმცა კონკრეტული მოქმედებების განხორციელებით (ინტელექტის განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადია). მხოლოდ შემდგომ ეტაპზე, მოზარდობის ხანაშია შესაძლებელი განზოგადებული, აბსტრაქტული ინფორმაციის გაგება და ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რასაც ლოგიკური ოპერაციების განხორციელება ესაჭიროება (ინტელექტის განვითარების ფორმალური ოპერაციების სტადია).

როდესაც ბავშვს უჭირს წილადების გაგება, აღექვატურია სწავლების პროცესში შევუქმნათ თვალსაჩინო მოქმედებითი საფუძველი. სწორედ ამიტომ მასწავლებელმა ბავშვს პირველად ისეთი დავალებები უნდა მისცეს (დავალება №4 და დავალება №2), რომლებშიც მას ევალება ობიექტზე კონკრეტული მოქმედების შესრულება. ასე დაეხმარება პირველ ეტაპზე პედაგოგი მოსწავლეს ნაწილის და მთელის მიმართების გაგებაში.

რაც შეეხება სხვა დავალებებს: პირველი დავალებაც კონკრეტულ მოქმედებაში მოითხოვს პრობლემის გადწყვეტას, თუმცა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მე-3 და მე-4 დავალება. მესამე დავალება მოითხოვს წილადებზე არათვალსაჩინოდ მოცემული ინფორმაციის გაანალიზებას, რაც მოსწავლისთვის, რომელსაც უჭირს წილადებზე მარტივი ამოცანების გადაწყვეტაც, სწავლების საწყის ეტაპზე არაადეკვატურ დავალებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ნიმუში N 5

ქვემოთ მოცემულია გაკვეთილის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და მასწავლებლის კონკრეტული აქტივობა. გაეცანით ორივე მათგანს და შეაფასეთ, რამდენად ადეკვატურია მოცემული აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად.

დაწყებითი კლასის მასწავლებელმა შენიშნა, რომ რამდენიმე პირველკლასელის აზრით – *„საგანი რაც უფრო დიდია, მით უფრო მძიმეა.”*

მიზანი: მოსწავლეებისათვის საგნის მოცულობასა და წონას შორის მიმართების ახსნა.

აქტივობა: მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა მაგიდაზე მოცულობის კლების მიხედვით მოთავსებული საგნების (როგორც ეს ნახატზეა ნაჩვენები) დალაგება წონის ზრდის მიხედვით.



აღწერილი აქტივობა დასახული მიზნის მისაღწევად:

ა) ადეკვატურია, რადგან ამ ასაკში ბავშვებს შეუძლიათ გაიაზრონ და გადაჭრან ჰიპოთეტური პრობლემები.

ბ) არ არის ადეკვატური, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს, თვალსაჩინოების მიუხედავად, მაინც გაუჭირდება მოცულობასა და წონას შორის მიმართებების დადგენა.

გ) ადეკვატურია, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს შეუძლია თვალსაჩინოების დახმარებით ცოდნა საკუთარი აღმოჩენების საფუძველზე ააგოს.

დ) არ არის ადეკვატური, რადგან ამ ასაკში ბავშვს შეუძლია განზოგადებული ცნებებით ოპერირება და თუ მიმართებებს კარგად ახსნის, პედაგოგი მიზანს ისედაც მიაღწევს.

მიზანი: პიაჟეს თეორიის პრაქტიკაში გამოყენება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი II. მუხლი 5. საკითხი 1. დანართი N2, 2. განვითარებისა და სწავლის თეორიები, (1) ჟან პიაჟე.

სწორი პასუხია გ).

კომენტარი:

ტესტში ასევე შეიძლება შეგხვდეთ დავალება არჩევითი პასუხით, რომელშიც, ისევე როგორ წინა დავალებაში, მოწმდება რამდენად შესწევს პედაგოგს უნარი, პრაქტიკაში გამოიყენოს ბავშვის განვითარების შესახებ თეორიული ცოდნა.

აპლიკანტის ამოცანაა, შეაფასოს, რამდენად უწყობს ხელს მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობა დასახული მიზნის მიღწევას.

სავარაუდო პასუხებიდან ორი ფორმულირებულია დადებითად („ადეკვატურია"), ორი – უარყოფითად („არ არის ადეკვატური"). არ არის აუცილებელი სწორი პასუხი დადებითად იყოს ფორმულირებული, მნიშვნელოვანია მსჯელობა იყოს მყარად არგუმენტიტრებული. პიაჟეს თეორიის მიხედვით (იხ. დანართი №2, ჟ. პიაჟე გვ. 87), პირველ კლასელი ბავშვისთვის (ოპერაციამდელი სტადია) დამახასიათებელია თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამოცანის გადაწყვეტის, ობიექტების დაჯგუფების თუ სინამდვილის განზოგადების დროს მისთვის აუცილებელია თვალსაჩინო საყრდენი. შესაბამისად, ჩამოთვლილი მსჯელობებიდან მასწავლებლის აქტივობას სწორად აფასებს (გ) – *ადეკვატურია, რადგან ამ ასაკში მოსწავლეს შეუძლია თვალსაჩინოების დახმარებით ცოდნა საკუთარი აღმოჩენების საფუძველზე ააგოს.*

ნიმუში N 6

მოსწავლეებს სწავლის განსხვავებული სტილი აქვთ. ზოგი უკეთესად იგებს და იმახსოვრებს ვიზუალურად მიწოდებულ ინფორმაციას, ზოგი წერის დროს უკეთესად იგებს და იაზრებს ახალ მასალას და ა. შ. ყურადღებით წაიკითხეთ მარცხენა სვეტში მოსწავლეების შესახებ მოცემული ინფორმაცია და შეუსაბამეთ მარჯვენა სვეტში მოცემულ სწავლის სტილს.

ინფორმაცია მოსწავლის შესახებ	სწავლის სტილი
(I) გიორგიმ მასწავლებელს საკმაოდ კარგად უპასუხა, მაგრამ შედარებით დაბალი შეფასება მიიღო. მასწავლებელმა ეს ასე აუხსნა: „სახლში არ წაგიკითხავს, რაც აქ მოისმინე – ის მოყევი“. გიორგი: „რა ვქნა, მასწ, თქვენ ისე კარგად ყვებით, მაშინვე მამახსოვრდება...“	ა. სწავლა შეხებით
	ბ. სწავლა კეთებით
(II) მარის აკადემიური მიღწევები ბოლო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა და მშობელთა კრებაზე კლასის დამრიგებელმა ხაზგასმით აღნიშნა ეს ამბავი. მარის დედამ კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: „ვურჩიე, მეცადინეობისას მნიშვნელოვანი საკითხები ამოეწერა და დამიჯერა...“	გ. სწავლა კითხვით
(III) დათოს ძალიან უჭირს მოქმედებები წილადებსა და ათწილადებზე. ამის გამო საკონტროლოში ორიანი მიიღო. გიგამ ქურთუკის ჯიბიდან მანდარინი ამოიღო და დათოს მიაწოდა. „ეს არის ერთი მანდარინი. დაანაწილე ლებნებად. აი, შეხედე, 16 ლებანია. ე. ი. ერთი ლებანი მანდარინის 1/16-ია. 8 ცალი რომ ავიღოთ, მანდარინის ნახევარი გამოვა“. სახლში დაბრუნებულმა დათომ თავისუფლად ამოხსნა დავალება წილადებზე.	დ. სწავლა მოსმენით
	ე. სწავლა წერით

ა) (I) -ს შეესაბამება ა. ბ. გ. (დ.) ე.
ბ) (II) -ს შეესაბამება ა. ბ. გ. დ. (ე.)
გ) (III) -ს შეესაბამება ა. (ბ.) გ. დ. ე.

მიზანი: განსხვავებული სწავლის სტილის ცოდნის შეფასება.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი II. მუხლი 5. საკითხი 2. დანართი N1. განვითარებისა და სწავლის თეორიები.

კომენტარი:

ამ ტიპის დავალებაზე მუშაობისას შეგიძლიათ, გამოიყენოთ ისრები, ისე, როგორც ნიმუშზეა მოცემული. ეს გაგიადვილებთ პასუხის გაცემას.

ცხრილის მარცხენა სვეტში აღწერილი (I) სიტუაციის მიხედვით, გიორგი სახელმძღვანელოს არ კითხულობს, სახლში არ მეცადინეობს და მასწავლებლის მიერ ახსნილ მასალას მოსმენით იმახსოვრებს. ე. ი. მოსწავლეს ახალი მასალის ათვისება უადვილდება მოსმენით და არა, მაგალითად, სახელმძღვანელოს დამოუკიდებლად დამუშავებით. გიორგის სწავლის სტილი არის *სწავლა მოსმენით,* ანუ *I სიტუაციას შეესაბამება პასუხის (დ) ვარიანტი. სავარაუდო პასუხებში* უნდა შემოვხაზოთ პასუხის (დ) ვარიანტი.

(II) სიტუაციიდან ვიგებთ, რომ მშობლის რჩევით, მოსწავლემ წერილობით ჩაინიშნა გაკვეთილის მნიშნელოვანი საკითხები და შედეგად უკეთ აითვისა მასალა ე.ი. ამ მოსწავლისათვის საგნის შესწავლის ყველაზე ეფექტური გზა არის *სწავლა წერით,* ანუ *(II) სიტუაციას შეესაბამება პასუხის (ე) ვარიანტი. სავარაუდო პასუხებში* უნდა შემოვხაზოთ პასუხის (ე) ვარიანტი.

(III) შემთხვევაში აღწერილია, როგორ დაეხმარა თანაკლასელი დათოს, გაეაზრებინა, რას ნიშნავს წილადი და როგორ ხორციელდება არითმეტიკული მოქმედებები წილადებზე. მოსწავლეებმა კონკრეტული საგანი დაანაწილეს და ამგვარად თვალნათლივ დაინახეს საკითხის ძირითადი არსი. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ამგვარი მოსწავლისათვის დამახასიათებელია *სწავლა კეთებით,* ანუ *(III) სიტუაციას შეესაბამება პასუხის (ბ) ვარიანტი. სავარაუდო პასუხებში* სწორი პასუხია (ბ) ვარიანტი.

ამგვარად, პასუხებისათვის განკუთვნილ ადგილას პირველ შემთხვევაში უნდა შემოიხაზოს (დ) ვარიანტი, II შემთხვევაში – (ე) ვარიანტი, ხოლო III შემთხვევაში – (ბ) ვარიანტი.

ნიმუში N 7

ლევანი ჰიპერაქტიური მოსწავლეა. გაკვეთილზე შეიძლება წამოხტეს, თანაკლასელების ნივთები იატაკზე დაყაროს, რის გამოც გაკვეთილის მსვლელობა სერიოზულად ფერხდება.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის *ყველაზე ადეკვატური* ქმედება ასეთი ჰიპერაქტიური მოსწავლის ქცევის მართვისათვის:

ა) მოსწავლის ქცევის იგნორირება და გაკვეთილის გაგრძელება.
ბ) შეხსენება იმისა, რომ მოსწავლეებმა წესი უნდა დაიცვან და მშვიდად ისხდნენ.
გ) მოსწავლესთან მიახლოება და მკაფიო მითითების მიცემა, კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს.
დ) გაკვეთილის შემდეგ მოსწავლესთან გასაუბრება იმის თაობაზე, რომ ხელი არ შეუშალოს სხვა მოსწავლეებს.

მიზანი: იცის თუ არა პედაგოგმა, რა გავლენას ახდენს განვითარების ინდივიდუალური თავისებურებები სწავლისა და სწავლების პროცესზე. შეუძლია თუ არა „რთულ" მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი ქცევის მართვა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი II. მუხლი 5. საკითხი 2. *აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე.*

თავი III. მუხლი 7. საკითხი 2. *იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.*

სწორი პასუხი: (გ).

კომენტარი

მოცემული დავალება ეხება ჰიპერაქტიური ბავშვის ქცევის მართვას.

დავალებაში აღწერილია მოსწავლის ქცევა და სავარაუდო პასუხების სახით მოცემულია მასწავლებლის აქტივობები. თქვენი მიზანია, ჩამოთვლილთაგან შეარჩიოთ ის ვარიანტი, რომელშიც წარმოდგენილია მასწავლებლის ადეკვატური რეაქცია აღწერილ სიტუაციაში. ამასთან, უნდა მიაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ შეკითხვაში ხაზგასმითაა გამოყოფილი შემდეგი სიტყვები ***ყველაზე ადეკვატური***, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა, სავარაუდო პასუხებშიც ფიგურირებდეს მასწავლებლის აქტივობის ზოგადად მისაღები ვარიანტები, მაგრამ თქვენ უნდა შეარჩიოთ მათ შორის *ყველაზე მეტად ადეკვატური.*

როგორც ცნობილია, ჰიპერაქტიური ბავშვი განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ასეთი მოსწავლე, როგორც წესი, არ რეაგირებს ზოგადი ხასიათის შენიშვნებზე, იგი იმპულსურია და უჭირს დიდი ხნით ყურადღების კონცენტრირება ერთ საკითხზე, არ უკვირდება საკუთარ ქცევას, არ ფიქრობს, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა, ვერ ახერხებს მოქმედების დაგეგმვას და უშუალო მითითებები ესაჭიროება. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ მის ქცევას უყურადღებოდ დავტოვებთ, იგი ვერ მიხვდება, რომ ცუდად, არასწორად მოიქცა (ა); არც ზოგადი წესების შეხსენებას ექნება შედეგი, რადგან მას უჭირს დამოუკიდებლად შეცვალოს კონკრეტული ქცევა (ბ); გაკვეთილის დასრულების შემდეგ მოსწავლესთან გასაუბრება ზოგადად შესაძლოა ეფექტური იყოს, მაგრამ არა ჰიპერაქტიური მოსწავლის შემთხვევაში (დ). მოსწავლემ უშუალოდ არასწორი ქცევის დროს უნდა მიიღოს მასწავლებლისაგან მკაცრი მითითება მშვიდი ტონით: რა ევალება, მისგან კონკრეტულად რას მოელიან. (გ).

ამიტომ მოცემულ დავალებაში სწორი პასუხია: *მოსწავლესთან მიახლოება და მკაფიო მითითების მიცემა, თუ რა არ უნდა გააკეთოს* (გ ვარიანტი).

ნიმუში N 8

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა ასახავს ~~ყველაზე სრულად~~ ინკლუზიური განათლების არსს:

ა) ინკლუზიური განათლება გულისხმობს მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სწავლებას.
ბ) ინკლუზიური განათლება არის მოსწავლეთა შორის არსებული განსხვავებების დაძლევის საშუალება.
გ) ინკლუზიური განათლება არის განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობა და მონაწილეობა.
დ) ინკლუზიური განათლება არის სასწავლო გეგმის ადაპტაცია მოსწავლის ინდივიდუალური უნარების გათვალისწინებით.

მიზანი: ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი III. მუხლი 7. საკითხი 2. *იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.*

სწორი პასუხი: (გ).

კომენტარი

შეკითხვაში გამოკვეთილია სიტყვები **ყველაზე სრულად,** რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა პასუხის რომელიმე ვარიანტში მოცემულია ინკლუზიური განათლების ნაწილობრივი განმარტება, თუმცა თქვენ ის ვარიანტი უნდა შეარჩიოთ, რომელიც ყველაზე სრულად გამოხატავს ინკლუზიური განათლების არსს.

ინკლუზიური განათლება გულისხმობს, სხვა მოსწავლეებთან ერთად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში.

აქედან გამომდინარე, მოცემული დავალების სწორი პასუხია (გ) ვარიანტი.

(ა) ვარიანტი მცდარია, რადგან იგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების თანატოლებისაგან განცალკევებით სწავლებას გულისხმობს.

ასევე მცდარია (ბ) ვარიანტიც – ინკლუზიური განათლება არა მოსწავლეთა შორის განსხვავებების დაძლევას, არამედ განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ერთობლივ სწავლებას, შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების სოციალურ ადაპტაციას გულისხმობს.

(დ) ვარიანტი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური უნარების გათვალისწინებით სასწავლო გეგმის ადაპტაცია შესაძლოა იყოს ინკლუზიური სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. თუმცა ეს დებულება სრულყოფილად არ გამოხატავს ინკლუზიური განათლების არსს.

ნიმუში N 9

მასწავლებელმა შესვენებაზე შენიშნა, რომ მეოთხე კლასელები თაკო და ნინო ცხარედ კამათობენ. მასწავლებელი მათი საუბრის ფრაგმენტებიდან ხვდება, რომ თაკო თანაკლასელის რადაც საქციელმა გაანაწყენა.

მოსწავლეებში ***კონფლიქტის მოგვარების უნარის გასავითარებლად*** ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება ამ სიტუაციაში მასწავლებლის **ყველაზე მიზანშეწონილი** ქცევა?

ა) დაუყოვნებლივ ჩაერიოს მოსწავლეების კამათში და აუხსნას ქცევის ეთიკური ნორმები.

ბ) კლასში განიხილოს გოგონების ქცევა, რათა ამ მაგალითზე ასწავლოს მთელ კლასს ეთიკური ნორმების მნიშვნელობა და კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზები.

გ) ჩაერთოს მოსწავლეების კამათში, რათა შემდგომი ადეკვატური რეაგირებისათვის გაარკვიოს, ვინ არის მათ შორის დამნაშავე.

დ) დააკვირდეს, რამდენად ახერხებენ ბავშვები სადავო საკითხის დამოუკიდებლად მოგვარებას და ამის შემდგომ დაგეგმოს შესაბამისი ქმედება.

მიზანი: მოსწავლეებში კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარის განვითარების ხელშეწყობა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. *თავი III. მუხლი 7. საკითხი 5. იცის, როგორ შეუწყოს ხელი მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას.*

სწორი პასუხია: ***დ.***

კომენტარი:

კითხვაში გამუქებულია საკვანძო სიტყვები **– კონფლიქტის მოგვარების უნარის გასავითარებლად** – რაც იმას ნიშნავს, რომ კითხვა არ არის მიმართული ამ კონკრეტულ სიტუაციაში კონფლიქტის დარეგულირებაზე. ამ დავალებით ფასდება, იცის თუ არა პედაგოგმა, როგორ შეუწყოს ხელი ბავშვებში კონფლიქტის მოგვარების უნარის განვითარებას.

(ა) და (გ) პასუხები არ არის სწორი, ვინაიდან ორივე დაბალეფექტურია მოსწავლეებში **კონფლიქტის მოგვარების უნარის გასავითარებლად**. დაბალეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ გულისხმობს მასწავლებლის

დაუყოვნებლივ ჩარევას გოგონების კამათში, რაც არ აძლევს საშუალებას ბავშვებს, თავად, საკუთარი ძალებით დაძლიონ პრობლემა.

(ბ) პასუხი არ არის სწორი, რადგან კლასში გოგონების კონფლიქტის საჯარო განხილვით შეიძლება მასწავლებელმა დაარღვიოს ეთიკური ნორმები, მათი უფლებები. შეიძლება, ეს ბავშვებისათვის ტრავმის წყარო გახდეს.

კონფლიქტის მოგვარების უნარის გასავითარებლად უფრო მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დააკვირდეს მოსწავლეებს, რამდენად ახერხებენ კონფლიქტის დამოუკიდებლად დაძლევას, რა სტრატეგიას ირჩევენ. თუ ხედავს, რომ მოსწავლეებს შესწევთ ძალა იპოვონ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, უნდა მისცეს მათ ამის საშუალება. ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი სტრატეგია დაპირისპირებაზე, გამწვავებაზეა ორიენტირებული, დაგეგმოს შესაბამისი ქმედებები.

ნიმუში N 10

ინკლუზიურ განათლებაზე, ანუ განსხვავებული შესაძლებლობებისა და უნარის მქონე ბავშვებისა და ჩვეულებრივი ბავშვების ერთად სწავლებაზე ჩვენს საზოგადოებაში მწვავე დისკუსიები მიმდინარეობს.

დაასახელეთ თითო არგუმენტი, რატომ არის მნიშვნელოვანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვების სწავლა დანარჩენ ბავშვებთან ერთად, ერთი მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის, მეორე მხრივ, ჩვეულებრივი მოსწავლეებისათვის?

ჩაწერეთ:

1.

2.

მიზანი: ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი III. მუხლი 7. საკითხი 2 *იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.*

დავალების შეფასების კრიტერიუმები.

მაქსიმალური ქულა – 2.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვებზე ინკლუზიური სწავლების დადებითი გავლენის დამადასტურებული ადეკვატური არგუმენტი – 1 ქულა და დანარჩენ ბავშვებზე ინკლუზიური სწავლების დადებითი გავლენის დამადასტურებული ადეკვატური არგუმენტი – ასევე 1 ქულა.

გაგაცნობთ ნიმუშებს საცდელ ტესტირებებზე შესრულებული ნაშრომებიდან.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

ეს ნამუშევარი ფასდება 0 ქულით, რადგან არ პასუხობს კითხვას – რა არის ინკლუზიური სწავლების დადებითი მხარე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ჩვეულებრივი ბავშვებისათვის. არ არის მოყვანილი არც ერთი არგუმენტი. ამის ნაცვლად აპლიკანტი წერს მასწავლებლის ვალდებულებების შესახებ.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

ეს პასუხიც ფასდება 0 ქულით, რადგან არ პასუხობს დავალების კითხვას – რატომ არის ინკლუზიური სწავლება ეფექტური კლასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ყოფნისას. ამის ნაცვლად აპლიკანტი გვთავაზობს თავის „შეფასებას“ საზოგადოებაში არსებულ მწვავე დისკუსიის შესახებ (I ფრაზა). მეორე ფრაზა ასევე არ პასუხობს კითხვას.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

დავალების ამ ნიმუშში აპლიკანტის პასუხი ფორმალურად აკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებს, იგი ასახელებს თითო არგუმენტს ორივე კომპონენტიდან – ინკლუზიური სწავლება დადებით შედეგს იძლევა როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ასევე ჩვეულებრივი ბავშვების პიროვნული განვითარებისათვის. ნაშრომი ფასდება 2 ქულით, თუმცა, სასურველია, პასუხი უფრო სრულყოფილად იყოს ჩამოყალიბებული.

ნიმუში N11

თქვენმა კოლეგამ გადაწყვიტა, ჯგუფური მუშაობის მეთოდი გამოიყენოს, მაგრამ ამის გამოცდილება არა აქვს და შიშობს, რომ ჯგუფების მუშაობის დროს გაუჭირდება კლასში წესრიგის შენარჩუნება. დახმარებისათვის თქვენ მოგმართათ. როგორ რჩევებს მისცემდით მას?

დაასახელეთ სამი რჩევა, რომელიც დაეხმარება გამოუცდელ პედაგოგს ჯგუფური მუშაობის სწორად წარმართვაში.

ჩაწერეთ:

1.

2.

3.

მიზანი. დავალება აფასებს, რამდენად აქვს უნარი მასწავლებელს, დაგეგმოს და წარმართოს კლასში ჯგუფური მუშაობა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი III. მუხლი 7. საკითხი 12. *იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს ამგვარ ვითარებაში მოსწავლეთა აზრის გაბედულად გამოხატვას.*

დავალების შეფასების კრიტერიუმები.

მაქსიმალური ქულა – 3

დავალების პირობის მიხედვით, აპლიკანტმა უნდა ჩამოაყალიბოს სამი რჩევა. პასუხები შეიძლება ეხებოდეს ჯგუფური მუშაობის დაგეგმვას, ან დაგეგმილი მუშაობის განხორციელებას. აპლიკანტის მიერ დასახელებული თითო ადეკვატური რჩევა ფასდება თითო ქულით.

საილუსტრაციოდ განვიხილავთ რამდენიმე ნიმუშს:

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

აპლიკანტი ზოგადი ფრაზებით აღწერს სამუშაო პროცესს. ამ პასუხში არ არის მოცემული რჩევა, რომელიც დაეხმარებოდა ახალგაზრდა პედაგოგს. მხოლოდ ზედაპირულად არის ნახსენები „დრო", მაგრამ ასეთ კონტექსტში შეუძლებელია დაადგინო, რას გულისხმობს ავტორი – ჯგუფისთვის სამუშაო დროის წინასწარ განსაზღვრას, თუ ჯგუფისთვის სამუშაოდ საკმარისი დროის მიცემას. ამასთან, დავალება მოითხოვს სამი რჩევის დასახელებას. ამ კონკრეტულ ნიმუშში არც ერთი რჩევა არ არის მოცემული. შესაბამისად, ასეთი ნაშრომი ფასდება 0 ქულით.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

ასევე ძალიან ზოგადია მოცემული პასუხიც, თუმცა ავტორი მზადყოფნას გამოხატავს, საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდა პედაგოგს, თუმცა იგი არ ასახელებს არცერთ რჩევას.

ასეთი ნაშრომი შეფასდება 0 ქულით.



კომენტარი

აპლიკანტის პასუხი სწორია. ის მოიცავს იმ ასპექტებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ჯგუფური მუშაობის სწორად დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის. მართალია, ავტორი ჩამოთვლის ოთხ რჩევას, მაგრამ ჩამოთვლილთაგან პირველი და მეორე რჩევა ერთი და იგივე შინაარსისაა. ნაშრომი 3 ქულითაა შეფასებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც დავალების პირობა მოითხოვს სამი რჩევის დასახელებას, ხოლო აპლიკანტი ასახელებს ოთხ ან მეტ რჩევას, მიუხედავად მისი ადეკვატურობისა, ფასდება ჩამოთვლილი რჩევებიდან მხოლოდ პირველი სამი.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

პასუხიდან ჩანს, რომ აპლიკანტი იცნობს ჯგუფური მუშაობის სპეციფიკას და იძლევა ადეკვატურ რჩევებს, როგორიცაა წინასწარ დავალებების მომზადება, მიზნის შესაბამისად ჯგუფების დაკომპლექტება და ჯგუფებში ლიდერის გამოყოფა.
ნაშრომი შეფასებულია 3 ქულით.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

აპლიკანტი თავის პასუხში ეხება როგორც ჯგუფური მუშაობის წინასწარ დაგეგმვას (დავალებების შერჩევა და ჯგუფში მუშაობის წესების ერთობლივად შემუშავება), ასევე ჯგუფური მუშაობის ორგანიზებას (ერთობლივად შემუშავებული წესების დაცვა, მასწავლებლის პერიოდული ჩარევა ჯგუფის მუშაობაში). ნაშრომი შეფასებულია 3 ქულით.

ნიმუში 12

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, რაც უფრო ნიჭიერია ბავშვი, მით უფრო ადვილია მასთან სასწავლო პროცესის წარმართვა. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ მაღალკვალიფიციურ პედაგოგებსაც უჭირთ ისეთი კლასის მართვა, სადაც განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები არიან.

დაასახელეთ ორი სირთულე, რომლებმაც შეიძლება იჩინოს თავი, როცა კლასში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეა და აღწერეთ თითოეული მათგანის დაძლევის გზა.

ჩაწერეთ:

1. სირთულე:

დაძლევის მექანიზმი:

2. სირთულე:

დაძლევის მექანიზმი:

მიზანი: ფასდება, რამდენად ესმის და შეუძლია მასწავლებელს სწავლისათვის მიმზიდველი, უსაფრთხო გარემოს შექმნა განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი III. მუხლი 7. საკითხი 2. *იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;*

დავალების შეფასების კრიტერიუმები.

მაქსიმალური ქულა – 4

პასუხი ფასდება ორი კომპონენტის მიხედვით: პრობლემის იდენტიფიკაცია და პრობლემის გადაჭრის გზა.

<u>კომპონენტი 1 -</u> პრობლემის იდენტიფიკაცია

დასახელებული 1 პრობლემა – 1 ქულა, 2 პრობლემა - 2 ქულა

<u>კომპონენტი 2 -</u> პრობლემის გადაჭრის გზა

პრობლემის დაძლევის 1 გზა – 1 ქულა, 2 გზა - 2 ქულა

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

აპლიკანტი თვლის, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებთან უნდა იმუშაოს დამატებით. ამ პასუხით ჩვენ ვერ ვიგებთ, ესმის თუ არა პედაგოგს, რა სირთულეებმა შეიძლება იჩინოს თავი იმ კლასის მართვისას, რომელშიც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეა. შესაბამისად, გაუგებარია, კონკრეტულად რა პრობლემის დაძლევაში გვეხმარება აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზა (დამატებითი მუშაობა). ამგვარი პასუხები, ჩვეულებრივ, ფასდება 0 ქულით.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

ამგვარი მაღალფარდოვანი, ზოგადი მსჯელობა ფასდება 0 ქულით, რადგან დავალებაში დასმულ არც ერთ კითხვაზე არ იძლევა პასუხს. გარდა ამისა, დავალების პირობაშივე მინიშნებულია, რომ მასწავლებელი მაღალკვალიფიციურია, ხოლო პასუხში მეორდება მოცემულობა.

ანალოგიურ შეფასებას იმსახურებს ქვემოთმოყვანილი პასუხიც (ნიმუში №3). კითხვა მოითხოვდა არა საკუთარი *გამოცდილების გაზიარებას*, არამედ აღნიშნული პრობლემის გააზრებას. ავტორმა კითხვა არასწორად გაიგო, შესაბამისად, პასუხი არაადეკვატურია.

შესრულებული დავალების ნიმუში



განვიხილოთ პასუხები, რომლებიც 1, 2, ან 3 ქულას იმსახურებს:

შესრულებული დავალების ნიმუში



ამ პასუხში მოცემულია პრობლემა, რომელიც თავს იჩენს კლასის მართვისას – ნიჭიერი ბავშვის უყურადღებობა. მართლაც, ნიჭიერი ბავშვები <u>ითვისებენ უფრო სწრაფად, იციან უფრო მეტი,</u> ვიდრე თანაკლასელებმა და ამიტომ მათთვის გაკვეთილები უფრო მოსაწყენია და ხშირად ისინი უყურადღებონი არიან. ამ **პრობლემის გადაჭრის გზად** აპლიკანტს ნიჭიერი მოსწავლისთვის ინდივიდუალური დავალებების მიცემა (1), სუსტ ბავშვებთან მუშაობაში ნიჭიერი ბავშვის ჩართვა (2) და მოსწავლისთვის გაკვეთილზე საპასუხიმგებლო როლის მინიჭება (3) მიაჩნია. ამგვარად, აპლიკანტმა მოიყვანა ერთი პრობლემა და პრობლემის გადაჭრის სამი გზა. **აქ ყურადღებას გავამახვილებთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე:** თუმცა აპლიკანტი იძლევა პრობლემის გადაჭრის სამ გზას, ეს კომპონენტი მაინც ფასდება 2 ქულით, რადგან, დავალების პირობის მიხედვით, აპლიკანტს მოეთხოვება 2 გზის დასახელება. ანუ, აუცილებელია გაითვალისწინოთ, რომ ***<u>იმაზე მეტი პრობლემის, ან მისი გადაჭრის გზის დასახელება, ვიდრე ამას დავალების პირობა მოითხოვს, არ არის მეტი ქულის მიღების გარანტია.</u>*** შეფასდება მხოლოდ ის რაოდენობა, რაც დასახელებულია დავალების პირობაში.

შედარებით სრული პასუხები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ნიმუშში:

შესრულებული დავალების ნიმუში



ამ პასუხში მოცმულია ორი პრობლემა, რომელიც თავს იჩენს კლასის მართვისას:

1. **უყურადღებობა, ნაკლები ინტერესი საგაკვეთილო პროცესისადმი.**
2. **ნიჭიერი ბავშვის ე. წ. „ინტელექტუალური ზეწოლა" – ის, რაც მას აინტერესებთს ხშირად გაუგებარია სხვა მოსწავლეებისთვის.**

მართლაც, ნიჭიერი ბავშვებმა <u>იციან უფრო მეტი,</u> ვიდრე თანაკლასელებმა და ამიტომ მათთვის გაკვეთილები უფრო მოსაწყენია, ხშირად ისინი უყურადღებონი არიან და შესაბამისად, ნაკლებ ინტერესს იჩენენ საგაკვეთილო პროცესისადმი.

აპლიკანტი გვთავაზობს ამ პრობლემების გადაჭრის გზას: პედაგოგის სპეციალური მომზადება ასეთ მოსწავლესთან სამუშაოდ – ნიჭიერი მოსწავლისთვის ინდივიდუალური დავალებების მიცემა.

პასუხიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის ის სირთულეები, რომელმაც შეიძლება იჩინოს თავი იმ კლასის მართვისას, რომელშიც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები არიან და გვთავაზობს ამ პრობლემების გადაჭრის ადეკვატურ გზებს. ასეთი პასუხი იმსახურებს 3 ქულას (აღწერს ორ პრობლემას და პრობლემის გადაჭრის ერთ ადეკვატურ გზას).

ნიმუში N13

გამოუცდელი პედაგოგი პირველად შევიდა მეექვსე კლასში. მან მოსწავლეთა ქცევის წესები ჩამოაყალიბა და კლასში თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრა. წესებში ნათლად იყო ხაზგასმული, რისი უფლება არა აქვთ მოსწავლეებს და რის გამო დაისჯებიან მკაცრად. მიუხედავად ამისა, მოსწავლეები ხშირად არღვევდნენ წესებს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ის <u>არსებითი</u> შეცდომა, რომელიც დაუშვა ახალგაზრდა პედაგოგმა ქცევის წესების შემუშავებისას:

I. პედაგოგმა არ გაითვალისწინა, რომ მოსწავლეების აქტიური თანამონაწილეობა ქცევის წესების შემუშავების პროცესში უფრო გაზრდიდა მათ პასუხისმგებლობას.
II. პედაგოგმა არ შეათანხმა წინასწარ ქცევის წესების თითოეული პუნქტი სკოლის თვითმართველობასა და მშობლებთან.
III. პედაგოგმა ქცევის წესებში ყურადღება გაამახვილა ძირთადად უფლებების შეზღუდვასა და სადამსჯელო ღონისძიებებზე.

ა) I და II ერთად
ბ) I და III ერთად
გ) II და III ერთად
დ) არც ერთი

მიზანი: აფასებს, იცის თუ არა პედაგოგმა, როგორ შექმნას მოსწავლეთა განვითარების საფეხურის შესაბამისი ყოველდღიური ქცევის წესები.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი : *თავი III. მუხლი 7. მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო*
.

კომენტარი

რომაული ციფრებით ჩამოთვლილია პედაგოგის მიერ დაშვებული სამი შესაძლო შეცდომა, ქვემოთ მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი (ა), (ბ), (გ) და (დ), რომელთაგან უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ქცევის წესები დაიცვან, სასურველია, მათი შემუშავების დროს გაითვალისწინოთ მოსწავლეთა მოსაზრებებიც და ნაკლებად გაამახვილოთ ყურადღება დასჯის მექანიზმებზე.

სავარაუდო პასუხებიდან მხოლოდ (ბ) მოიცავს სრულად გამოუცდელი პედაგოგის შეცდომებს (I და II ერთად). შესაბამისად, სწორი პასუხია (ბ). (ა) და (გ) პასუხები ნაწილობრივ სწორია, (დ) – არასწორი.

ნიმუში N14

მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს ფართობის გამოთვლის ხერხები აუხსნა. შემდეგ მოსწავლეები ორ ჯგუფად დაყო და სთხოვა, მოეფიქრებინათ პრაქტიკაში ამ ცოდნის გამოყენების მაგალითები.

რამდენად ადეკვატურია საკლასო ოთახში მერხების სტანდარტული განლაგება (მწკრივებად განლაგებული მერხები, თითო ბავშვი თითო მერხზე) კონკრეტული საკითხის ახსნისა და ჯგუფური მუშაობისათვის?

I აქტივობა – საკითხის ახსნა.

ა) ადეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

II აქტივობა – ჯგუფებში მუშაობა.

ა) ადეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

თუ რომელიმე აქტივობისათვის მერხების სტანდარტულ განლაგებას არაადეკვატურად მიიჩნევთ, ჩაწერეთ, რა იქნება ოპტიმალური ამ აქტივობისათვის.

ჩაწერეთ:

_____

_____

_____

მიზანი: ***დავალება აფასებს, იცის თუ არა პედაგოგმა, როგორ მოაწყოს სასწავლო ფიზიკური გარემო ეფექტური სწავლებისათვის.***

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი: თავი III. მუხლი 7. საკითხი 6. *იცის, როგორ მოაწყოს სასწავლო ფიზიკური გარემო ეფექტური სწავლებისათვის.*

დავალების შეფასების კრიტერიუმები:

მაქსიმალური ქულა – 2

სწორი პასუხები: **I აქტივობა – სწორი პასუხი (ა)**

II აქტივობა – სწორი პასუხი (ბ)

ორივე სწორი პასუხისათვის აპლიკანტი იღებს 1 ქულას.

+ 1 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ პასუხისთვის განკუთვნილ ადგილას აპლიკანტს მოჰყავს სწორი არგუმენტაცია, რატომ არის არაადეკვატური მერხების სტანდარტული განლაგება ჯგუფური მუშაობისთვის.

შესრულებული დავალების ნიმუში



I აქტივობა – გაკვეთილის ახსნა.

ა) აღეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

II აქტივობა – ჯგუფებში მუშაობა.

ა) აღეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

თუ რომელიმე აქტივობისათვის მერხების სტანდარტულ განლაგებას არაადეკვატურად მიიჩნევთ, ჩაწერეთ რა იქნება ოპტიმალური ამ აქტივობისათვის.

ჩაწერეთ:

კომენტარი

ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით, რადგან აპლიკანტს ნაშრომში არ აქვს მონიშნული არც ერთი სწორი პასუხი. კომენტარიც არ არის ადეკვატური, რადგან დავალება გვთხოვს აღვწეროთ, რა შემთხვევაში იქნება მერხების სტანდარტული განლაგება ოპტიმალური, ხოლო აპლიკანტი კი მიუთითებს ადგილს და არა აქტივობას.

შესრულებული დავალების ნიმუში



I აქტივობა – გაკვეთილის ახსნა.

ა) აღეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

II აქტივობა – ჯგუფებში მუშაობა.

ა) აღეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

თუ რომელიმე აქტივობისათვის მერხების სტანდარტულ განლაგებას არაადეკვატურად მიიჩნევთ, ჩაწერეთ რა იქნება ოპტიმალური ამ აქტივობისათვის.

ჩაწერეთ:

ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით, რადგან აპლიკანტს ნაშრომში არ აქვს მონიშნული არც ერთი პასუხი და მისი კომენტარიდან ცალსახად არ ჩანს, რა ტიპის სტანდარტულ განლაგებას გულისხმობს იგი.

შესრულებული დავალების ნიმუში



I **აქტივობა – გაკვეთილის ახსნა.**

ა) ადეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

II **აქტივობა – ჯგუფებში მუშაობა.**

ა) ადეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

თუ რომელიმე აქტივობისათვის მერხების სტანდარტულ განლაგებას არაადეკვატურად მიიჩნევთ, ჩაწერეთ რა იქნება ოპტიმალური ამ აქტივობისათვის.

ჩაწერეთ:

აპლიკანტს არა აქვს მონიშნული არც ერთი პასუხი, მისი კომენტარით კი ირკვევა, რომ მან არასწორად გაიგო დავალების პირობა, ყურადღება გაამახვილა არა იმაზე, რომ მასწავლებელი ატარებს ჯგუფურ მუშაობას, არამედ მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის მიცემული დავალების შინაარსზე, რის გამოც ის **შეფასებულია 0 ქულით**.

შესრულებული დავალების ნიმუში



I **აქტივობა – გაკვეთილის ახსნა.**

ა) ადეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

II **აქტივობა – ჯგუფებში მუშაობა.**

ა) ადეკვატურია

ბ) არაადეკვატურია

თუ რომელიმე აქტივობისათვის მერხების სტანდარტულ განლაგებას არაადეკვატურად მიიჩნევთ, ჩაწერეთ რა იქნება ოპტიმალური ამ აქტივობისათვის.

ჩაწერეთ:

ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური – 2 ქულით. ავტორმა სწორი პასუხი გასცა ორივე კითხვას და მისი პასუხიც ადეკვატურად არის არგუმენტირებული.

ნიმუში N15

ქეთი მასწავლებელი ცდილობს მეორე კლასის მოსწავლეების მოტივირებას და ხშირად აქებს პატარებს. ნინომ კარგად შეასრულა დავალება, ლამაზად და უშეცდომოდ გამოწერა სიტყვები და ქეთი მასწავლებლის შექებაც დაიმსახურა. ვატოს საშინაო დავალება არ დაუწერია, საკლასო სამუშაოც საკმაოდ დაუდევრად შეასრულა. ქეთი მასწავლებელმა ვატოს წახალისება გადაწყვიტა და ამიტომ ისიც შეაქო.

შექების მიუხედავად, ვატო ისევ აგრძელებს დაუდევრად მუშაობას. მას ნინომ და მოსწავლეთა ნაწილმაც მიბაძა.

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია. რამ გამოიწვია მოსწავლეებში სწავლის ხალისის შემცირება?

ჩაწერეთ

მიზანი: კონკრეტულ სიტუაციაში მოტივირების სტრატეგიების შესაძლო შედეგის ანალიზის უნარის შეფასება. სწავლის მიმართ პასუხისმგებლობითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხერხების ცოდნა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. *თავი III. მუხლი 8. საკითხი 1. იცის სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში;*

დავალების შეფასების კრიტერიუმები.

მაქსიმალური ქულა – 2.

აპლიკანტის პასუხში უნდა ჩანდეს, რომ მას ესმის *წახალისების* მნიშვნელობა, იცნობს *მოტივაციის მექანიზმებს* და შეუძლია მათი ადეკვატურად გამოყენება კლასში მუშობისას. ამასთანავე პასუხში უნდა ჩანდეს, რომ ის ითვალისწინებს ერთი მოსწავლის მიმართ გამოთქმული შექების, წახალისების გავლენას როგორც ამ მოსწავლეზე, ასევე დანარჩენებზე (რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ვატოს შექებას როგორც ვატოსთვის, ასევე ნინოსა და დანარჩენი მოსწავლეებისათვის).

ნამუშევარი ფასდება 2 ქულით, თუ აპლიკანტის პასუხში ჩანს აღნიშნული ორივე მხარე. 1 ქულით – თუ აპლიკანტი იძლევა არასრულ პასუხს. ნაშრომში იწერება 0 ქულა, თუ პასუხი გაურკვეველია, არაადეკვატურია.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

აპლიკანტი არ პასუხობს კითხვას არსებითად. მისი პასუხი *«მოტივაციის შესუსტება გამოიწვეულია ქეთი მასწავლებლის მიერ»* ზედაპირულია. დავალების შეკითხვის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ავხსნათ, როგორ, რატომ გამოიწვია ქეთი მასწავლებლის ქცევამ მოტივაციის შესუსტება.

ამგვარი პასუხი ფასდება 0 ქულით.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

მიუხედავად ვრცელი ტექსტისა, აპლიკანტის ნამუშევარი არ პასუხობს ძირითად კითხვას, თუ რამ გამოიწვია მოსწავლეების მოტივაციის შესუსტება; აპლიკანტი არ განიხილავს დავალებაში მოცემულ ფაქტებს, არ მოჰყავს არგუმენტები. მისი ნაშრომიდან არ ჩანს, თუ როგორ იყენებს ქეთი მასწავლებელი წახალისების მექანიზმს გაკვეთილზე. იგი გვთავაზობს ზოგადად მოსწავლეებთან მუშაობის «სტრატეგიებს», საუბრობს თავის წარმატებაზე ამ მიმართულებით, დამატებით გაკვეთილებსა და მოსწალეებთან კლასგარეშე ურთიერთობაზე.

ამგვარი პასუხი ფასდება 0 ქულით.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

აპლიკანტი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს კითხვას, ანუ ასახელებს და განიხილავს ქეთი მასწავლებლის მცდარ ქმედებას – შექების, წახალისების არასასწორი გამოყენების მაგალითს. მაგრამ არ განიხილავს, წახალისების ამ ფორმამ რა გავლენა იქონია ნინოზე და დანარჩენ მოსწავლეებზე. ამგვარი პასუხი ფასდება 1 ქულით.



კომენტარი

ამგვარი ნაშრომი ფასდება 2 ქულით, რადგან პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი კარგად იცნობს მოტივაციის მექანიზმს; აანალიზებს, თუ რა გავლენას ახდენს ერთი მოსწავლის მისამართით გამოთქმული შექება დანარჩენ მოსწავლეებზე.

ნიმუში N16

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, თუ კლასის დიდ ნაწილს არასერიოზული დამოკიდებულება აქვს მისი საგნის მიმართ, რადგან უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ეს საგანი არ სჭირდება?

აღწერეთ ორი გზა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას ამ საგნით:

ჩაწერეთ:

1.

2.

მიზანი: აფასებს, რამდენად იცის პედაგოგმა მოტივაციისა და კომუნიკაციის სტრატეგიები და როგორ იყენებს ამ ცოდნას მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი III. მუხლი 8. *საკითხი 2. იცის, როგორ გაუღვივოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებული დამოკიდებულება;*

დავალების შეფასების კრიტერიუმები.

მაქსიმალური ქულა – 2

პრობლემის დაძლევის 2 გზა, თუ მსჯელობა კარგად არის არგუმენტირებული – 2 ქულა.

პრობლემას დაძლევის 1 გზა, თუ მსჯელობა კარგად არის არგუმენტირებული – 1 ქულა.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

ნაშრომი 0 ქულით არის შეფასებული, რადგან ავტორი დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად, გამოთქვამს საკუთარ გულისტკივილს დავალებაში დასმული პრობლემის შესახებ.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

ნაშრომი 0 ქულით არის შეფასებული. პასუხი ძალიან ზოგადია, არ არის საკმარისი მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ მოსწავლეებს საგანი უნდა შეაყვარო, აუცილებელია, მოცემული იყოს ამ მიზნის მისაღწევად დასახული კონკრეტული გზები, სტრატეგიები, თუ როგორ შეაყვარო საგანი.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

ნაშრომი შეფასებულია 1 ქულით. თუმცა ავტორს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, რომელთა მეშვეობითაც ის გამოიწვევდა მოსწავლეების დაინტერესებას (საბუნებისმეტყველო საგნის კონკრეტული თემის შესწავლა), ავტორის ბოლო ფრაზა – „შევუქმნიდი განწყობას" – ბუნდოვანია, არაფერია ნათქვამი იმაზე, „განწყობის შექმნის" რა სტრატეგიებს მიმართავდა თავად ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

შესრულებული დავალების ნიმუში



კომენტარი

მოცემული ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური 2 ქულით. ავტორი არგუმენტირებულად აყალიბებს საგნისადმი არასერიოზულად განწყობილი მოსწავლეების სწავლით დაინტერესების კონკრეტულ გზებს: ცვლის გაკვეთილის ფორმატს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მიზნობრივად გეგმავს ჯგუფურ მუშაობას, რითაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და, მოტივაციის გაზრდის მიზნით, ხაზს უსვამს ცოდნის პრაქტიკულ მნიშვნელობას ცხოვრებაში.

ნიმუში N17

ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს გაკვეთილის დაგეგმვის ~~ყველაზე ეფექტურ~~ მოდელს?

ა) გაკვეთილის დაგეგმვისას აქცენტი ყოველთვის უნდა გაკეთდეს ახალი მასალის მიწოდებაზე, ვინაიდან ეს ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის გაღრმავებას.

ბ) გაკვეთილის დაგეგმვისას აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ძველის გამეორებაზე, ასევე ახალი მასალის მიწოდებაზე. ასე შესაძლებელი ხდება მასალის ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირება და მოსწავლეთა ცოდნის კონტროლი.

გ) გაკვეთილის დაგეგმვისას უფრო დიდი აქცენტი უნდა გაკეთდეს ძველი მასალის გამოკითხვაზე. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლემ იცის წინა მასალა, რადგან აზრი არა აქვს ახლის ახსნას, თუ მოსწავლეებს ჯერ არ აუთვისებიათ განვლილი მასალა.

დ) კლასი ცოცხალი ორგანიზმია, კარგი მასწავლებელი გაკვეთილს უნდა აგებდეს სიტუაციიდან გამომდინარე, ასე გაკვეთილი უფრო საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის.

მიზანი: დავალება აფასებს, რამდენად იცის პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვის ძირითადი პრინციპები.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი III. მუხლი 9. საკითხი 1: იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით.

სწორი პასუხი (ბ)

მოცემულ დავალებაში ჩამოთვლილია გაკვეთილის დაგეგმვის კონკრეტული მაგალითები. აღწერილ მოდელთაგან უნდა აირჩიოთ ყველაზე ეფექტური. შესაბამისად, დავალება ამოწმებს, თუ რამდენად აქვს მასწავლებელს საგაკვეთილო დროის რაციონალურად დაგეგმვის უნარი.

(ა) პასუხში მოცემულია, რომ მასწავლებელმა გაკვეთილზე მეტი დრო უნდა დაუთმოს ახალი მასალის ახსნას, ვინაიდან ეს ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნის გაღრმავებას. აღნიშნული პასუხი არ არის სწორი, რადგან ახალი მასალის ახსნა არაეფექტურია, თუ მასწავლებელი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მოსწავლეებმა ძველი მასალა უკვე შეითვისეს და მზად არიან ახლის შესასწავლად.

იგივე შეიძლება ითქვას (გ) ვარიანტზეც - თუ მასწავლებელი მხოლოდ ძველი მასალის გამოკითხვაზე გაამახვილებს ყურადღებას და დაუთმობს საგაკვეთილო დროის უმეტეს ნაწილს, მას აღარ დარჩება დრო ახლის ასახსნელად, რაც დაუშვებელია და სრულიად არაპროდუქტიულს ხდის სწავლების პროცესს.

(დ) პასუხში ნათქვამია, რომ მასწავლებელი საერთოდ არ უნდა გეგმავდეს წინასწარ გაკვეთილის მიმდინარეობას. ეს პასუხიც მცდარია, რადგან წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილი ბევრად უფრო ნაყოფიერი და ეფექტურია, ვიდრე სტიქიურად

წარმართული. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ის, რომ მასწავლებელი ყოველთვის ზუსტად უნდა მიჰყვეს წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილის მიმდინარეობას და არ შეიტანოს ცვლილებები კონკრეტული სიტუაციიდან და მოსწავლეთა მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სწორი პასუხია (ბ), სადაც აღნიშნულია, რომ განვლილი მასალის გამოკითხვა და ახლის ახსნა საგაკვეთილო პროცესის თანაბრად მნიშვნელოვანი აქტივობებია. გაკვეთილი ყველაზე ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს თანაბრად აქვს გადანაწილებული დრო ძველი მასალის მიმოხილვასა და ახლის ახსნაზე. ძველი და ახალი მასალის დაკავშირებით სწავლის პროცესი ხდება საინტერესო და ეფექტური.

ნიმუში N18

სკოლებში მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა მეთოდი/ტიპი გამოიყენება. მათ პირობითად ორ კატეგორიად ყოფენ – განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ქვეტიპად არის დაყოფილი - მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება.



VI-VIII საუკუნეების ისტორიული ეპოქის შესწავლის დასრულებისას, მოსწავლეთა ცოდნის დონის შეფასების მიზნით, მასწავლებელმა გადაწყვიტა ტესტირების ჩატარება. მან გააფრთხილა ბავშვები, რომ ამ ტესტირების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ტრიმესტრული შეფასების დროს.

შეფასების რომელ მეთოდს მიმართა პედაგოგმა?

ა) მიმდინარე განმსაზღვრელი.

ბ) შემაჯამებელი განმავითარებელი.

გ) მიმდინარე განმავითარებელი.

დ) შემაჯამებელი განმსაზღვრელი.

მიზანი: შეფასების სხვადასხვა ფორმების ცოდნის შეფასება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. თავი III. *მუხლი 10. საკითხი 1. იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას.*

სწორი პასუხი: (დ)

კომენტარი

ტესტში მოცემული სიტუაციის მიხედვით, მასწავლებელმა დაასრულა VI-VIII საუკუნეების ისტორიული ეპოქის შესწავლა, ე. ი. მასწავლებელი შეფასებას იყენებს **შეჯამების** მიზნით; ამასთანავე ის აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ ამ ტესტირების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ტრიმესტრული შეფასების დროს, ე. ი. შეფასება **განმსაზღვრელიცაა.** სავარაუდო პასუხებიდან ამ სიტუაციის შესატყვისი არის – დ. **შემაჯამებელი განმსაზღვრელი.**

ნიმუში N19

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ აღწერილ სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების სისწორის შესახებ. თუ მიგაჩნიათ, რომ დებულება მცდარია, საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას მიუთითეთ სწორი პასუხი.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში საკმაოდ დაძაბული ფსიქოლოგიური კლიმატი შეიქმნა. კოლექტივის ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დირექტორის ზოგიერთი გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, რის გამოც ხშირი იყო კონფლიქტი როგორც კოლექტივის წევრებსა და დირექტორს შორის, ისე დირექტორის მხარდამჭერ და მათთან დაპირისპირებულ პედაგოგებს შორის. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ დაპირისპირებულმა პედაგოგებმა მოაწყვეს გაფიცვა, ამის გამო სკოლაში სასწავლო პროცესი ფაქტობრივად მოიშალა. გაფიცულმა პედაგოგებმა შეიტყვეს, რომ დირექტორმა მათ ხელფასიდან დაუქვითა გაფიცვის გამო გაცდენილი დღეების ანაზღაურება და რომ ყველა დათხოვნილია სამსახურიდან სასწავლო პროცესის ჩაშლისა და უკანონო გაფიცვის გამო.

1.1. დირექტორის ქმედება (ხელფასის დაქვითვა) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო ხელფასის დაქვითვა გაფიცვის პროცესში შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

1.2. დირექტორის ქმედება (მასწავლებლების დათხოვნა სამსახურიდან) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო სამსახურიდან დათხოვნის მუქარა, ან თავად ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

1.3. განთავისუფლებულ პედაგოგებს დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

დავალების მიზანი:

მსგავსი ტიპის დავალებები მიზნად ისახავს იმის გამოვლენას, თუ რამდენად იცნობს პედაგოგი იმ სამართლებრივ დოკუმენტებს (კანონებს), რომლებიც არეგულირებს განათლების სისტემის ფუნქციონირებას. ასე მაგალითად, მოცემული დავალება ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსს, რომელიც ასახავს ნებისმიერი დასაქმებული ადამიანის (მათ შორის პედაგოგის) ძირითად უფლებებს და მოვალეობებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი: თავი IV. მუხლი 14. საკითხი 1. *იცნობს და ხელმძღვანელობს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არსებული დანართი №2-ით გათვალისწინებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით.*

კომენტარი:

დავალებაში აღწერილია პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული სიტუაცია, შემდეგ მოცემულია რამდენიმე დებულება. აპლიკანტის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებით გაეცნოს სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელოს სიტუაციასთან დაკავშირებული დებულებების ჭეშმარიტება/მცდარობაზე. თითოეულ დებულებაზე პასუხის გაცემის დროს აპლიკანტს არ უნდა დაავიწყდეს მოცემული სიტუაციის დეტალები და საკუთარი პასუხი უნდა დააფუძნოს სწორედ მოცემულ ინფორმაციასა და მოქმედ კანონმდებლობაზე, და არა ზოგადად საკუთარ გამოცდილებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი მოცემულ დებულებას მცდარად მიიჩნევს, მას მოეთხოვება სწორი პასუხის ჩაწერა საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას.

იმ შემთხვევაში, თუ დებულება ჭეშმარიტია, აპლიკანტს მოეთხოვება მხოლოდ შესაბამისი პასუხის მონიშვნა დასაბუთების ან კომენტარების გაკეთების გარეშე.

გახსოვდეთ, თუ აპლიკანტის მიერ მონიშნული იქნება პასუხი ”მცდარია”, მაგრამ არ იქნება გაკეთებული კომენტარი, ის შეფასდება 0 ქულით. ასევე არ ჩაითვლება პასუხები, რომლებშიც არ იქნება მონიშნული კონკრეტული პასუხი (”ჭეშმარიტია” ან ”მცდარია”) და მხოლოდ კომენტარები იქნება მოცემული. ბუნებრივია, ასევე 0 ქულით შეფასდება პასუხები, რომლებშიც მონიშნული იქნება ორივე შესაძლო ვარიანტი.

თითოეული სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით.

შესრულებული დავალების ნიმუში

1.1. დირექტორის ქმედება (ხელფასის დაქვითვა) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო ხელფასის დაქვითვა გაფიცვის პროცესში შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ ***მცდარია*** ☒

1.2. დირექტორის ქმედება (მასწავლებლების დათხოვნა სამსახურიდან) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო სამსახურიდან დათხოვნის მუქარა, ან თავად ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ ***მცდარია*** ☐

1.3. განთავისუფლებულ პედაგოგებს დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

ჭეშმარიტია ☐ ***მცდარია*** ☒

კომენტარები

1. 1 საქართველოს შრომის კოდექსის 49-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გაფიცვის დროს დამსაქმებელი არ არის ვალდებული, მისცეს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება. ჩვენს შემთხვევაში გარემოება მძიმდება იმ ფაქტითაც, რომ პედაგოგების გაფიცვა. არ აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ანუ იყო უკანონო, რაც ასევე მეტყველებს დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასარგებლოდ. შესაბამისად, ამ დებულებაზე ***სწორი პასუხი*** არის ”მცდარია”.

როგორც ხედავთ, აპლიკანტმა სწორად მიუთითა პასუხი, თუმცა აპლიკანტს ევალებოდა არა მხოლოდ სწორი პასუხის მონიშვნა, არამედ დებულების მცდარობის შემთხვევაში სწორი პასუხის მითითებაც, რის გამოც პასუხი ფასდება 0 ქულით.

1. 2 ამ შემთხვევაშიც ***სწორი პასუხია*** ”მცდარია” – მართალია, ზოგადად გაფიცვა არ წარმოადგენს სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ გაფიცვა არაკანონიერია (ან მოხდა დადგენილი ნორმების დარღვევით) და ზიანს აყენებს დაწესებულების ინტერესებს, დამსაქმებელი

უფლებამოსილია, მიიღოს ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარი არის მოსწავლეთა განათლების მიღების კანონიერი უფლებისა და მათი ინტერესების შელახვაზე პედაგოგების არაკანონიერი ქმედების გამო.

აპლიკანტმა ამ კითხვაზე პასუხი არ გასცა, შესაბამისად, აღნიშნული პასუხიც 0 ქულით შეფასდება.

1. 3 დებულება მცდარია, ვინაიდან რაიმე სახის დავების განხილვა არ შედის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კომპეტენციაში. აპლიკანტი სწორად მიუთითებს იმას, რომ დებულება მცდარია, მაგრამ ის საკუთარი პასუხის დასაბუთებისას აღნიშნავს, რომ ***სწორი პასუხი*** იქნებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში საკითხის გასაჩივრება, რაც ასევე არ არის სწორი. ამდენად, აპლიკანტის პასუხი მთლიანობაში მცდარია და 0 ქულით ფასდება.

შესრულებული დავალების ნიმუში



1.1. დირექტორის ქმედება (ხელფასის დაქვითვა) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო ხელფასის დაქვითვა გაფიცვის პროცესში შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ მცდარია ☒

1.2. დირექტორის ქმედება (მასწავლებლების დათხოვნა სამსახურიდან) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო სამსახურიდან დათხოვნის მუქარა ან უშუალოდ ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☐ მცდარია ☒

1.3. განთავისუფლებულ პედაგოგებს დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

ჭეშმარიტია ☐ მცდარია ☒

კომენტარი

როგორც ხედავთ, აპლიკანტის მიერ დაცულია დავალების ინსტრუქცია, ყველა კითხვაზე გაცემულია ამომწურავი პასუხი. თუ დავეყრდნობით ზემოთ მოცემულ

განმარტებებს, დავრწმუნდებით, რომ მოცემულ ნიმუშში ორ კითხვაზე (1. 1 – 1. 2) სწორი პასუხია გაცემული, რის გამოც აპლიკანტი 2 ქულით ფასდება. მე-3 დებულება მართლაც მცდარია, მაგრამ აპლიკანტმა იგი არ ჩაწერა კორექტული ფორმით, ანუ არ მიუთითა, სად შეუძლია პედაგოგს დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება. მართალია, აპლიკანტს უწერია, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის კომპეტენციაში არ შედის მსგავსი საკითხების განხილვა, მაგრამ არ აქვს მითითებული ის, თუ კონკრეტულად ვისი კომპეტენციაა მსგავსი პრობლემების მოგვარება.

შესრულებული დავალების ნიმუში



1.1. დირექტორის ქმედება (ხელფასის დაქვითვა) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო ხელფასის დაქვითვა გაფიცვის პროცესში შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☒ მცდარია ☐

უკანონოდ დაქვითა ხელფასი ან თავა უნდ!

1.2. დირექტორის ქმედება (მასწავლებლების დათხოვნა სამსახურიდან) უკანონოა, ვინაიდან პედაგოგებს აქვთ კანონიერი უფლება გაიფიცონ, ხოლო სამსახურიდან დათხოვნის მუქარა ან თავად ფაქტი შეიძლება განხილულ იქნას მათზე ზეწოლისა და ამ კანონიერი უფლების შეზღუდვის მცდელობად.

ჭეშმარიტია ☒ მცდარია ☐

1.3. 1.4 განთავისუფლებულ პედაგოგებს დირექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ ,თლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში.

ჭეშმარიტია ☒ მცდარია ☐

დის, პედაგოგებმა უნდ იჩივლონ თავანთი ადგილობრივის, თუნდაც ზემდგომ მიუნხილი ერთეულ

დაიმახსოვრეთ

- ყოველთვის ეცადეთ, პასუხი გასცეთ ყველა კითხვას, მაშინაც კი, როდესაც ბოლომდე არ ხართ დარწმუნებული პასუხის სისწორეში;
- ყოველ კონკრეტულ დებულებაზე პასუხის გაცემის დროს მონიშნეთ მხოლოდ ერთი მოცემული ორი (”ჭეშმარიტია” ”მცდარია”) ვარიანტიდან;
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, ქვემოთ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას მიუთითეთ სწორი პასუხი.
- სწორი პასუხის (კომენტარის) დაწერის დროს გამოყენებული არგუმენტები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ მოქმედ კანონმდებლობას და მიუთითებდეს იმ შეუსაბამობებზე, რომლებიც არის მოცემულ დებულებაში, და არა ზოგადად აპლიკანტის შეფასებებზე და მის პირად გამოცდილებასა თუ შეხედულებებზე;
- კორექტული პასუხის დაწერის დროს აპლიკანტს არ მოეთხოვება აღნიშნული კანონის შესაბამისი მუხლების ან კონკრეტული პუნქტების ციტირება. სრულიად საკმარისია, აპლიკანტმა გამოავლინოს, რომ მისთვის ცნობილი და გასაგებია კანონის შესაბამისი ნაწილი.

თქვენ გაეცანით პროფესიული უნარების ტესტის დავალებათა ტიპურ ნიმუშებს, რომლებიც დაგეხმარებათ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში.

დეტალურ ინფორმაციას ტესტის ფორმატის, დავალებათა რაოდენობის, ტესტირებისათვის განსაზღვრული დროისა და თქვენთვის საინტერესო სხვა საკითხების შესახებ დამატებით მოგაწვდით.

დანართი 1

<u>პროექტი</u>

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება ...
2008 წლის ..... ქ. თბილისი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ა” და ”მ” ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანების დანართი № 1-ით გათვალისწინებული ”მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი”;
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

დანართი № 1

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ცნება

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში ”სტანდარტი”) არის პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარ-ჩვევების, ძირითადი ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობა, რომელსაც უნდა ფლობდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მაღალკვალიფიციური მასწავლებელი.

2. წინამდებარე სტანდარტი მოიცავს პროფესიულ სტანდარტს ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 212-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ყველა სახის მასწავლებლისათვის.

მუხლი 2. სტანდარტის რეგულირების სფერო

1. სტანდარტი გამოიყენება მასწავლებლის, ისევე როგორც მაძიებლის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის შეფასებისათვის. სტანდარტი მასწავლებელთა სერტიფიცირების, სკოლების აკრედიტაციის, შესაბამისი პროფესიული ლიტერატურის, მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის საფუძველია. მასწავლებელი სტანდარტს საკუთარი ცოდნისა და პრაქტიკის დასახვეწად იყენებს.

მუხლი 3. სტანდარტის შექმნა და სამართლებრივი საფუძვლები

1. სტანდარტი შეიქმნა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებთან, განათლების სპეციალისტებთან მჭიდრო და ხანგრძლივი თანამშრომლობით.

2. სტანდარტი შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებულ "ეროვნული სასწავლო გეგმასა" (შემდგომში, "ეროვნული სასწავლო გეგმის") და საქართველოს მთავრობის 2006 წლის 9 თებერვლის №29 დადგენილებით დამტკიცებულ "მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციაში" ასახულ ძირითად პრინციპებს.

მუხლი 4. სტანდარტის სტრუქტურა

1. სტანდარტი დაყოფილია სამ ნაწილად:

ა) განვითარებისა და სწავლის თეორიების ნაწილი ასახავს ბავშვის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებსა და სწავლის თეორიებს, რომელთა ცოდნა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის არის აუცილებელი.

ბ) სწავლებისა და შეფასების ნაწილი აღწერს პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც ეფექტური სწავლისა და სწავლებისათვისაა აუცილებელი.

გ) პროფესიული გარემოს ნაწილი ასახავს პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, რომლებიც მასწავლებელს ეხმარება კოლეგებთან ურთიერთობაში, საკუთარი პრაქტიკის დახვეწასა და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევაში.

თავი II. განვითარებისა და სწავლის თეორიები

მუხლი 5. განვითარების თეორიები

მასწავლებელმა იცის ბავშვის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებები; იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბავშვის განვითარებაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად.

1. ავლენს დანართი №2-ით გათვალისწინებული ბავშვის ინტელექტუალური და სოციალური განვითარების ძირითადი თეორიებისა და ფიზიკური განვითარების კანონზომიერების ცოდნას სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში;
2. აცნობიერებს მოსწავლეების განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და მათ გავლენას სწავლებასა და სწავლაზე;
3. იცის და ითვალისწინებს ოჯახური, საზოგადოებრივი და სხვა ფაქტორების გავლენას მოსწავლის განვითარებასა და სწავლაზე.

მუხლი 6. სწავლის თეორიები

მასწავლებელმა იცის სწავლის ძირითადი თეორიები; იცნობს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლაზე და იცის, როგორ გამოიყენოს ეს ცოდნა მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად.

1. ავლენს დანართი №2-ით გათვალისწინებული სწავლის ძირითადი თეორიების ცოდნას;
2. იცის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად;
3. იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს ცოდნის აგებაში;
4. იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

თავი III. სწავლება და შეფასება

მუხლი 7. სასწავლო გარემო

მასწავლებელმა იცის, როგორ შექმნას უსაფრთხო, მზრუნველი, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო.

1. აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;
2. იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში;
3. იცნობს მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მათ სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.
4. აცნობიერებს კლასის სტრუქტურაში მოსწავლეთა არაფორმალური როლების მნიშვნელობას და ხელს უწყობს საკლასო ერთობის შექმნას;
5. იცის, როგორ ჩამოაყალიბოს მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობები, მოაგვაროს კონფლიქტები მშვიდობიანი გზით და ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას;
6. იცის, როგორ მოაწყოს სასწავლო ფიზიკური გარემო ეფექტური სწავლებისათვის;
7. იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
8. იცის, როგორ იმოქმედოს უბედური შემთხვევის დროს ან აღმოუჩინოს მოსწავლეს ან კოლეგას პირველადი სამედიცინო დახმარება.
9. იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეებს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში;
10. იცის გაკვეთილის დროის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები;
11. აცნობიერებს კლასის მართვის სტილის გავლენას მოსწავლის განწყობაზე, ქცევასა და სწავლის შედეგებზე;
12. იცის, როგორ მართოს მოსწავლეების ქცევა წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, როგორ ასწავლოს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ხელი შეუწყოს აზრის გაბედულად გამოხატვას;
13. იცის, როგორ დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი ქცევის დამოუკიდებლად შეფასებისა და მართვის უნარის ჩამოყალიბებაში;
14. შეუძლია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით.
15. პროფესიულად ფლობს სწავლების ენას.

მუხლი 8. მოტივაცია და კომუნიკაცია

მასწავლებელმა იცის მოტივაციისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგია და იყენებს ამ ცოდნას საკუთარ პრაქტიკაში.

1. იცის სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგს კონკრეტულ სიტუაციაში;
2. იცის, როგორ გაუღვივოს მოსწავლეებს შემეცნებითი ინტერესი და სწავლის ღირებულების მიმართ გაცნობიერებული დამოკიდებულება ;
3. იცის და ითვალისწინებს, რა გავლენას ახდენს კომუნიკაციაზე მოსწავლეთა თავისებურებები;
4. იცის და იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიას მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს კონკრეტული სასწავლო მიზნების მისაღწევად;
5. იცის, როგორ გამოიყენოს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხი კოლეგებთან, მშობლებთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობებისთვის;
6. იცის, როგორ განუვითაროს მოსწავლეს ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევა.

მუხლი 9. სასწავლო პროცესი

მასწავლებელმა იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად.

1. იცის სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, დროითი და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით;
2. იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და შეუძლია გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შედგენა;
3. იცის, როგორ დაამყაროს საგანთა შორის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების და პროგრამების დონეზე;
4. იცის, როგორ დაგეგმოს სწავლება კოლეგებთან ერთად;
5. შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა და ამ გეგმის მიხედვით სწავლება და შეფასება.

მუხლი 10. შეფასების მეთოდები

მასწავლებელმა იცის შეფასების სხვადასხვა ფორმა; აცნობიერებს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის; იცის, როგორ გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის.

1. იცის და იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას;
2. აცნობიერებს შეფასების ძირითად პრინციპებს და იცავს მათ საკუთარ პრაქტიკაში;
3. იცის და იყენებს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;
4. ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ მასწავლებლის შეფასება, თანატოლების შეფასება და თვითშეფასება საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, სხვათა შესაძლებლობების შეფასება/აღიარებასა და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაში.

მუხლი 11. სწავლების სტრატეგია და მეთოდები

მასწავლებელს შეუძლია სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენება თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის.

1. ავლენს სწავლების სხვადასხვა მეთოდის ცოდნას და შეუძლია მათი გამოყენება სასწავლო კონტექსტის შესაბამისად;
2. ავლენს სწავლების იმ მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ყველა მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და სასწავლო მიზნების მიღწევაში;
3. იცის, როგორ გამოიყენოს სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდი მოსწავლეებში შემეცნებითი და სოციალური უნარების გასავითარებლად.

თავი IV. პროფესიული გარემო

მუხლი 12. კოლეგებთან ურთიერთობა

მასწავლებელმა იცის კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობითი ურთიერთობის ფორმები.

1. იცის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პროდუქტიული თანამშრომლობის მეთოდები საკუთარი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;
2. თანამშრომლობს კოლეგებთან მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლადა და აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად;
3. იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები სასწავლო რესურსების მოძიების მიზნით;
4. ხელს უწყობს კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში;
5. იცის, როგორ შეუწყოს ხელი ახალბედა მასწავლებელს პრაქტიკული საქმიანობის დაწყებაში.

მუხლი 13. თვითშეფასება და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

მასწავლებელმა იცის, როგორ შეაფასოს საკუთარი გამოცდილება, განაახლოს პროფესიული ცოდნა და გაუმჯობესოს პროფესიული საქმიანობა.

1. შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი სამუშაო გამოცდილება და იზრუნოს მის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე;
2. შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევა, პედაგოგიური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.
3. იცის, როგორ გამოიყენოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალება და რესურსი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გასავითარებლად;
4. შეუძლია გააანალიზოს პროფესიული ლიტერატურა და გამოიყენოს ის საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 14. სამართლებრივი აქტების ცოდნა

მასწავლებელი იცნობს პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას.

1. იცნობს და ხელმძღვანელობს პედაგოგიური საქმიანობის შესახებ არსებული დანართი №2-ით გათვალისწინებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით;
2. იცის და იცავს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს;
3. იცნობს და იცავს ეთიკის ნორმებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს;
4. აცნობიერებს სამართლებრივ და ეთიკის მოთხოვნებს სასწავლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით;
5. შეუძლია სახელმწიფო ენაზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გაგება.

დანართი №2

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები:

1. ბიჰევიორიზმი
2. კოგნიტური განვითარების თეორია
3. სოციალური დასწავლის თეორია
4. სოციო-კულტურული თეორია
5. მორალური განვითარების თეორია
6. კონსტრუქტივიზმი
7. ჰუმანისტური თეორია
8. მრავალმხრივი ინტელექტის თეორია
9. განწყობის თეორია

2. განვითარებისა და სწავლის თეორიების ავტორები:

1. ჟან პიაჟე
2. ლევ ვიგოცკი
3. ლორენს კოლბერგი
4. ალბერტ ბანდურა
5. ბურუს ფ. სკინერი
6. აბრაამ მასლოუ
7. დიმიტრი უზნაძე
8. დევიდ პერკინსი
9. ჰოვარდ გარდნერი
10. ჯერომ ბრუნერი
11. ჯონ დიუი
12. კარლ როჯერსი
13. მარია მონტესორი
14. ბენჟამინ ბლუმი

3. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ”ზოგადი განათლების შესახებ” 2005 წლის 8 აპრილის საქართველოს კანონი;
3. ”ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების” დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის № 84 დადგენილება;
4. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
5. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
6. ”ეროვნული სასწავლო გეგმის” დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის № 841 ბრძანება;
7. 2006 წლის 25 მაისის ”საქართველოს შრომის კოდექსი”;
8. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის № 44/25 რეზოლუციით მიღებული ”ბავშვის უფლებათა კონვენცია”.

განვითარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნაშრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და კრებულში მოცემული ნიმუშების გაცნობამ ალბათ დაგარწმუნათ, რომ სასერტიფიკაციო ტესტი ბევრ ისეთ დავალებას მოიცავს, რომელსაც თქვენი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზეც შეიძლება უპასუხოთ. თუმცა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ზოგიერთი საკითხი *(განვითარების თეორიები, სწავლისა და სწავლების თეორიები)* შედარებით უცხოა პედაგოგთა გარკვეული ნაწილისათვის. ამ საკითხების შესწავლასა და დაძლევაში დაგეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, ასევე შეფასებისა და სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ სპეციალურად თქვენთვის შედგენილი სამუშაო მასალა, რომელიც ყველა პედაგოგისათვის ხელმისაწვდომი იქნება.

ამჯერად გაწვდით მოკლე ინფორმაციას ყველა იმ ავტორის შესახებ, რომლის თეორიების ცოდნაც სტანდარტითაა განსაზღვრული. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ მომზადებული მასალა დაგეხმარებათ როგორც ამ ბუკლეტზე მუშაობის დროს, ასევე მომავალი სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადების პროცესში.

ჟან პიაჟე

(1896-1980)

ინტელექტის განვითარების თეორია

შვეიცარიელი ფსიქოლოგი, ინტელექტის განვითარების თეორიის ავტორი. 1929 წლიდან იყო ჟენევის უნივერსიტეტში პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი. პიაჟემ შექმნა ბავშვის აზროვნების განვითარების ექსპერიმენტული კვლევის სკოლა. მან რამდენიმე წელი იმუშავა ცნობილი ფსიქოლოგის, ალფრედ ბინეს ლაბორატორიაში. სწორედ ამ ლაბორატორიაში მუშაობის დროს პიაჟე პირველად დაინტერესდა ადამიანის ინტელექტის და მისი განვითარების საკითხების შესწავლით. ბინეს ლაბორატორიის მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო სტანდარტული ტესტების შემუშავება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა ინტელექტის განვითარების დონის დადგენა. ამ საკითხებზე მუშაობის პროცესში ჩაეყარა საფუძველი პიაჟეს თეორიას. კვლევებმა აჩვენა, რომ ერთი ასაკის ბავშვები ტესტებზე მუშაობის დროს ხშირად უშვებდნენ ერთსა და იმავე ტიპის შეცდომებს და ამ შეცდომის არსით, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ სხვა ასაკის ბავშვებისაგან. ამ დაკვირვებამ უბიძგა პიაჟეს იმ ფაქტორების კვლევისაკენ, რომლებსაც გავლენა აქვთ აზროვნების პროცესზე. მისი კვლევის შედეგები ასახულია "კოგნიტური განვითარების თეორიაში", რომელიც თავის დროზე ექსპერტების მიერ შეფასებული იყო უნიკალურ და რევოლუციურ ნაბიჯად ფსიქოლოგიის განვითარებაში.

პიაჟეს თეორიაში ძირითადი ადგილი უკავია ე. წ. კოგნიტური სქემების ცნებას. კოგნიტური სქემა წარმოადგენს ერთგვარ ჩარჩოს, რომელშიც მოცემულია ამა თუ იმ ქცევის განხორციელების მონახაზი, შესაძლებლობა. ასე მაგალითად, ახალშობილ ბავშვს განვითარებული აქვს ტაცების, წოვის ინსტინქტი (რეფლექსური ქცევები). ამ ქცევების განხორციელების შესაძლებლობას პიაჟე უწოდებს სქემას. პიაჟეს თეორიის თანახმად, ადამიანს დაბადებიდან აქვს მოცემული მარტივი სქემები, რომელთა საშუალებითაც მას ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს მარტივი ქმედებები, ქცევები. ასაკთან ერთად კი სქემები რთულდება, როგორც სტრუქტურულად (მყარდება ახალი კავშირები, იქმნება ახალი, რთული სქემები) ისე შინაარსობრივად (ყალიბდება რთული ქცევების განხორციელების შესაძლებლობა). პიაჟე ყოველთვის ხაზს უსვამდა ბიოლოგიური განვითარების მნიშვნელობას კოგნიტური სქემების

განვითრებაში. იგი შეუძლებლად მიიჩნევდა კოგნიტური სქემების განვითრებას შესაბამისი ბიოლოგიური აპარატის (ტვინი, სმენა, მხედველობა და ა. შ.) განვითარების გარეშე. თუმცა მისი აზრით, კოგნიტური სქემების განვითარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ფიზიკური/ბიოლოგიური მოწიფულობა/განვითარება. ამ პროცესის ასახსნელად მას შემოაქვს ორი მნიშვნელოვანი ცნება - ***ასიმილაცია და აკომოდაცია.***

ასიმილაცია გულისხმობს ადამიანის გამოცდილებაში უკვე არსებული ინფორმაციის (სქემის) ფარგლებში გარემოსთან ურთიერთობის პროცესს. ადამიანს დაბადებიდან აქვს გარკვეული სქემები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მის ინტერაქციას (ურთიერთქმედებას) გარემოსთან. გარემოსთან ურთიერთქმედების დროს ადამიანი ადარებს გარემოდან მიღებულ ინფორამციას მის გამოცდილებაში არსებულ სქემებს და ახდენს ამ ახალი ინფორმაციის ასიმილაციას (ათვისებას) ამ სქემების ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, აძლევს მას შესაძლებლობას განახორციელოს საპასუხო ქმედება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ასიმილაცია არის ერთგვარი პრიზმა, ფილტრი, რომელიც ყალიბდება არსებული გამოცდილების საფუძველზე და რომელშიც ტარდება ყველაფერი ის, რაც ხვდება ადამიანის ყურადღების ცენტრში. ბუნებრივია, რაკი ასიმილაციის პროცესი მთლიანად ეფუძნება ადამიანის გამოცდილებას და ამ გამოცდილების საფუძველზე უკვე ჩამოყალიბებულ სქემებს, მხოლოდ ამ პროცესით ძნელი, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ინფორმაციის მიღება და გაგება, რომელიც ვერ ექცევა უკვე არსებული გამოცდილების ფარგლებში, ანუ სრულიად ახალია თავისი შინაარსით და ფორმით. სწორედ ასეთ შემთხვევაში ერთვება ***აკომოდაციის*** პროცესი, რომელიც იძლევა არსებული გამოცდილების/სქემების გართულების, მათი მოდიფიცირების, გამდიდრების შესაძლებლობას ახალი ინფორმაციით. პიაჟეს აზრით, სწორედ აკომოდაციის პროცესი არის გადამწყვეტი კომპონენტი ინტელექტუალური განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებში, როდესაც გარემოში ბევრი სიახლეა, რომელიც არ შეესაბამება უკვე არსებულ კოგნიტურ სქემებს.

ორივე პროცესი აუცილებელია განვითარებისთვის, თუმცა სხვადასხვა ასაკში ასიმილაციას და აკომოდაციას განსხვავებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება. ეს პროცესები უფრო ურთიერთშემავსებელია, ვიდრე ურთიერთგამომრიცხავი. ახალ გარემო პირობებთან შეხების დროს ადეკვატური რეაგირებისათვის ირთვება ორივე პროცესი. ასიმილაციის საშუალებით ხდება იმ ინფორმაციის ”გათავისება”, არსებულ სქემებსა და გამოცდილებაზე მორგება. აკომოდაციის პროცესის შედეგად კი ხდება არსებული სქემების გამდიდრება, გამრავალფეროვნება და გართულება, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს ადეკვატური რეაგირება მოახდინოს არა მხოლოდ

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასზე მოქმედ სტიმულზე, არამედ მსგავს სიტუაციათა მთელ სპექტრზე. პიაჟეს თეორიის მიხედვით, დასწავლა ამ ორი პროცესის საფუძველზე მიმდინარეობს.

განვითარების მამოძრავებელ ძალად (სტიმულად) პიაჟე ორგანიზმის წონასწორობისაკენ (ადაპტაციისაკენ) სწრაფვას მიიჩნევს. მისი აზრით, ადამიანს თანდაყოლილად მოჰყვება გარემოსთან კომფორტული, ჰარმონიული ურთიერთმიმართების ჩამოყალიბების სურვილი, სწრაფვა, რომლის მიღწევასაც იგი გარემოსადმი ადაპტაციის გზით (ასიმილაციის და აკომოდაცის პროცესებით) ახერხებს.

ადაპტაციისაკენ სწრაფვა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინტერიორიზაციის (გათავისების) პროცესს. ეს ტერმინი გულისხმობს ადაპტაციის პროცესში გამდიდრებული და გამრავალფეროვნებული კოგნიტური სქემების საფუძველზე უშუალოდ მოქმედი გარემო ფაქტორებისადმი დამოკიდებულების ხარისხის შემცირებას. კერძოდ კი, თუ ადრეულ ასაკში ბავშვის სქემები (შესაბამისად ქცევებიც) ძალიან კონკრეტულია და მიბმულია კონკრეტულ გარემო ფაქტორებთან (ამ ფაქტორების ზემოქმედებასთან), ასაკთან ერთად გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულება მცირდება გამოცდილებაში არსებული კოგნიტური სქემების საშუალებით. ინტერიორიზაციის განვითარების პროცესში ბავშვის ქმედებებიც სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება გარემო ფაქტორებისაგან და ხშირად უფრო შინაგან სახეს იძენენ, ვიდრე გარე გამოხატული რეაქციების ფორმას. ასეთ შინაგან რეაქციებს პიაჟემ ***ოპერაციები*** უწოდა, რომლებიც თავისი არსით აზროვნების პროცესს შეესაბამება. თავის თეორიაში პიაჟე მიუთითებს ოპერაციების ე.წ. ”შექცევადობის” თვისებაზე. ქვემოთ მოყვანილია ოპერაციის შექცევადობის ნიმუში, რომელიც უფრო ნათელს გახდის ამ ცნებას.

მარტივი ოპერაციის ნიმუში: 5+3=8
ოპერაციის შექცევადობის ნიმუში: 8-5=3 ან 8-3=5

პიაჟეს თეორიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოგნიტური განვითარების ეტაპების იდეას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ბინეს ლაბორატორიაში მუშაობის დროს პიაჟემ აღმოაჩინა, რომ ინტელექტის ტესტებზე მუშაობის პროცესში, ერთი და იგივე ასაკის ბავშვები ხშირად ერთსა და იმავე, ან ძალიან მსგავს შეცდომებს უშვებენ, რომლებიც თავისი შინაარსით და ფორმით სრულიად განსხვავდებიან სხვა ასაკის ბავშვების შეცდომებისაგან. სწორედ ეს დაკვირვება დაედო საფუძვლად მის თეორიას, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი განვითარების პროცესში გადის კოგნიტური განვითარების ერთსა და იმავე

საფეხურებს. მაგრამ ამ საფეხურების გავლის ტემპი და ფორმა ინდივიდუალურად განსხვავებულია.

პიაჟე გამოყოფს განვითარების ოთხ საფეხურს:

1. **სენსო-მოტორული სტადია** (დაბადებიდან 2 წლამდე), როცა ბავშვი გარემოსთან ურთიერთობას იწყებს თანდაყოლილი რეფლექსების მეშვეობით. შემდგომში ბავშვი უკვე შეძენილი გამოცდილებით, საკუთარი შეგრძნებებისა და მოტორული მოქმედებების საფუძველზე ცდილობს გარემოსთან ასიმილაციას და ასევე გარემოს მოთხოვნების მიხედვით ახდენს თავისი შეგრძნებების, აღქმის და მოტორული ქმედებების კოორდინირებასა და აკომოდაციას. ამ სტადიაზე ბავშვის მიერ გარემოს შემეცნებაში წამყვანია არა მეტყველება, არამედ მისი სენსორული და მოტორული გამოცდილება. მაგ., ბავშვისთვის ამ საფეხურზე ბურთი არის ის, რაც მრგვალია, მოძრავი, მოხტუნავე, რომელსაც შეიძლება ხელი ან ფეხი დაარტყა და შეუცვალო მდებარეობა. მას აქვს სპეციფიკური ფაქტურა, განსხვავებული სირბილე და სხვადასხვა ფერისაა. ბავშვი აქტიურად ითვისებს გარემოს და შეიმეცნებს ობიექტებს თავისი შეგრძნებების, მოძრაობებისა და აღქმის კოორდინირების საფუძველზე. ყოველივე ეს კი მის მეხსიერებაში ინახება "სქემის" სახით. შემდგომში ბავშვს აღარ სჭირდება, ბურთს მოჰკიდოს ხელი იმისათვის, რომ გაიგოს მისი თვისებები. ერთი შეხედვითაც კი მან უკვე იცის, რომ ბურთი მრგვალია, გლუვი და დახტის. ეს მის მეხსიერებაში შენახული "სქემის" შედეგია, რომელშიც წარმოდგენილია ობიექტის თვისებები, მასთან დაკავშირებული მანიპულაციები.

2. **ოპერაციამდელი სტადია** (2-დან 7 წლამდე). ამ სტადიაზე უკვე ყალიბდება მეტყველება. ბავშვი თავის გარშემო სამყაროს მხოლოდ სენსორული და მოტორული მოქმედებებით კი არ შეიმეცნებს, არამედ სიტყვის საშუალებითაც. ამ ეტაპიდან ვითარდება სიმბოლური ფუნქცია: სიტყვა თავისთავად მოქმედება ან ობიექტი არ არის, ის მისი აღმნიშვნელია.

ეს სტადია მოიცავს ორ პერიოდს:პირველი პერიოდი გრძელდება 2-დან 4 წლამდე, როდესაც ბავშვს შეუძლია საგნების დაჯგუფება მათი რაიმე ნიშნით. ამავე დროს ეს მოქმედებები ჯერ კიდევ შეუქცევადია და ოპერაციისგან შორსაა. მაგ. ბავშვს შეუძლია სიდიდის და ფერის მიხედვით დააჯგუფოს ობიექტები, მაგრამ მხოლოდ ერთი ნიშნით – ან სიდიდის, ან ფერის მიხედვით. მაგალითისთვის, ამ ასაკის ბავშვის ლოგიკა ასეთია: *„ძროხა არის დიდი ოთხფეხა ცხოველი, რომელსაც აქვს რქები. თუ ცხოველი დიდია, ოთხი ფეხი აქვს და რქები, ე. ი. ის ძროხაა."*

მეორე პერიოდი 4-დან 7 წლამდე გრძელდება და მისთვის დამახასიათებელია თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება. ბავშვისათვის ობიექტების დაჯგუფება შესაძლებელია უკვე რამდენიმე თვალსაჩინო ნიშნის მიხედვით; სინამდვილის

განზოგადებაც თვალსაჩინო ხატებს ეყრდნობა და გარეგან, საგნობრივ მოქმედებებზეა დამოკიდებული. ლოგიკის წესები აქ ჯერ კიდევ არ მოქმედებს.

მომდევნო სტადიისგან განსხვავებით, ამ ასაკის ბავშვის აზროვნებას ჯერ კიდევ არა აქვს „რაოდენობის შენახვის“ უნარი. მაგ., თუ ბავშვის თვალწინ წყალს განიერიდან უფრო ვიწრო ჭურჭელში გადავასხამთ, ის აუცილებლად იტყვის, რომ ვიწრო ჭურჭელში უფრო მეტი წყალი ასხია, იმიტომ, რომ განიერთან შედარებით წყლის დონე იქ უფრო მაღალია. თუმცა ეს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა და მან იცის, რომ წყლის რაოდენობა არ შეცვლილა. ამ შემთხვევაში მის დასკვნას თვალსაჩინო ხატი განსაზღვრავს.

აღნიშნულ სტადიას იმიტომაც ჰქვია ოპერაციამდელი სტადია, რომ ბავშვის საგნობრივ მოქმედებებს, თუნდაც სააზროვნო მოქმდებებს პრობლემურ სიტუაციაში ჯერ კიდევ არა აქვს ნამდვილი ოპერაციის ხასიათი. ის შეუქცევადია და იზოლირებული.

3. **კონკრეტული ოპერაციების სტადია** (7-დან 11-12 წლამდე); ამ სტადიაზე ბავშვი ნამდვილ ოპერაციებს იყენებს სიტუაციური ამოცანის გადაწყვეტისას. მის აზროვნებაში უკვე ფორმირებულია როგორც შენახვის, ასევე სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირების უნარები. მას ასევე შეუძლია რიცხვებით ოპერირება და საგანთა დალაგება ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით, ასევე მოვლენების განსხვავებული პრინციპით დაჯგუფება, თუმცა ამ ასაკის ბავშვის აზროვნებისთვის ჯერ კიდევ შეუძლებელია აბსტრაქტული ამოცანების გადაჭრა. ოპერაციები ამ ეტაპზე უფრო კონკრეტული ხასიათისაა და უფრო თვალსაჩინო-მოქმედებითი საფუძველი აქვს. ამ ეტაპზე ბავშვები ადვილად ართმევენ თავს ქვემოთ მოყვანილ ამოცანას.

პირობა: ”ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ ცხრილს, ეცადეთ ამოიცნოთ რა პრინციპით არის განლაგებული მასში რიცხვები და ანბანის ასოები და შეავსეთ ცარიელი უჯრები”

ა	ე	თ	მ
1	5		

კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე ბავშვებს როგორც წესი არ უჭირთ მოცემული (ანუ მათ თვალსწინ, თვალსაჩინოდ არსებული) ინფორმაციის გაანალიზება და კანონზომიერების ამოკითხვა. შესაბამისად, ამ სტადიაზე ბავშვების უმეტესობა უნდა მიხვდეს, რომ ცხრილის ქვედა რიგში მოცემული რომაული რიცხვები ასახავს ზედა რიგში მოცემულ ასოთა რიგითობას ანბანში, რაც შესაძლებლობას მისცემს მარტივად შეავსონ დარჩენილი ორი ცარიელი უჯრა.

4. **ფორმალური ოპერაციების სტადია** (11-12-დან 14-15 წლამდე), როცა ბავშვებს შეუძლიათ, გაიაზრონ და გადაჭრან ჰიპოთეტური პრობლემები და მათი სააზროვნო

პროცესები უკვე აღარ არის მიჯაჭვული თვალსაჩინო მასალაზე. მაგ. ასეთი ლოგიკური ამოცანის გადაჭრა: –*„ნინოს უფრო ღია ფერის თმა აქვს, ვიდრე მარის, ნინოს უფრო მუქი ფერის თმა აქვს, ვიდრე ეკას. ამ სამი გოგონადან რომელს აქვს უფრო მუქი ფერის თმა?"*– ამ ასაკის ბავშვისთვის უკვე აღარ წარმოადგენს სირთულეს. ბავშვისათვის ამ სტადიაზე უკვე დაძლევადია ფორმალური ლოგიკური ოპერაციები, რაც აღარ მოითხოვს თვალსაჩინო საყრდენს.

ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე საუბრის დროს პიაჟე ხაზს უსვამს სოციალური ფაქტორების როლსაც. სოციალური გარემო ინდივიდზე ზეგავლენას ახდენს მისი განვითარების დონის შესაბამისად; აქედან გამომდინარე, ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. შესაბამისად, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე ასიმილაცია-აკომოდაციის პროცესები განსხვავებული სირთულის შეიძლება აღმოჩნდეს.

პიაჟე მიიჩნევს, რომ აუცილებელია მოსწავლის ასაკის შესაბამისი (შემეცნებითი) სტრუქტურის დონის დადგენა, ანუ იმ შემეცნებითი პროცესების დონის განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება გარემოდან შემოსული ინფორმაციის ასიმილაციისა და საკუთარი გამოცდილების აკომოდაციისათვის; საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ მის განვითარებაზე ზრუნვა.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ოპტიმალურ დასწავლას, აუცილებელია, მიწოდებულმა ინფორმაციამ განიცადოს ასიმილაცია მოსწავლის კოგნიტურ სტრუქტურაში და, ამასთან, ის იმდენად უნდა განსხვავდებოდეს არსებული გამოცდილებისაგან, ინფორმაციისაგან, რომ გამოიწვიოს სისტემის რეორგანიზაცია. თუ ინფორმაცია ვერ განიცდის ასიმილაციას, ის გაუგებარი იქნება; თუ ის მთლიანად გასაგებია, მაშინ არანაირი დასწავლა აღარ არის საჭირო. თუკი არსებული ცოდნა ასიმილაციისთვის საკმარისი არ არის, ჩაერთვება აკომოდაცია, ანუ ახალი ცოდნის ათვისების პროცესი. პიაჟე თვლის, რომ გადასამუშავებელი ინფორმაცია ზომიერად ბიძგის მიმცემი უნდა იყოს, რათა სტიმული მისცეს გონებრივ განვითარებას.

ჟ. პიაჟე კონსტრუქტივისტი იყო.[7] თვლიდა, რომ სუბიექტი აქტიურად შეიმეცნებს გარემოს – ცვლის მას (ასიმილაცია) და საკუთარ გამოცდილებას (აკომოდაცია), ანუ სუბიექტი პასიურად კი არ ითვისებს ცოდნას, არამედ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში აგებს მას.

---

[7] კონსტრუქტივიზმი – შემეცნების თეორია, რომლის მიხედვით, ინდივიდი თვითონ ახდენს ცოდნის "კონსტრუირებას" გარემოსთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე, რის შედეგადაც მისი გამოცდილებაც იცვლება. ამ თეორიის მიხედვით, სწავლა აქტიური პროცესია, ბავშვი თვითონ იძიებს პრობლემას, მასწავლებელი კი მოსწავლის დამხმარეა. გამოყოფენ კოგნიტურ კონსტრუქტივიზმს, რომლის წარმომადგენელი პიაჟეა და სოციალურ კონსტრუქტივიზმს, რომლის წარმომადგენელი ვიგოტსკია. პირველი ყურადღებას აქცევს იმას, თუ შემეცნების რა მექანიზმით, რა პროცესებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება და გამოცდილებასთან დაკავშირება, მეორე კი აქცენტს აკეთებს სწავლის სოციალურ ხასიათსა და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაზე ცოდნის აგებისას.

აბრაჰამ მასლოუ

(1908-1970)

მოტივაციის იერარქიული თეორია

ამერიკელი ფსიქოლოგი. ადამიანის მოტივაციისა და ქცევის ასახსნელად მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში შექმნა მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელი.

ადამიანის ქცევას მოთხოვნილება განსაზღვრავს. მასლოუ განასხვავებს თანდაყოლილ (ბიოლოგიურ) და შეძენილ (სოციალურ და პიროვნულ) მოთხოვნილებებს. სოციალური და პიროვნების განვითარების მოთხოვნილებები ადამიანის განვითარებასთან ერთად ყალიბდება. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიულ მოდელში ბიოლოგიური, ანუ საბაზისო მოთხოვნილებები ყველაზე დაბალ საფეხურზეა, ხოლო პიროვნების განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მოთხოვნილება – ყველაზე მაღალ საფეხურზე.



მასლოუს თეორიის მიხედვით, ადამიანი მოთხოვნილებებს ამ იერარქიაში მოცემული თანმიმდევრობით იკმაყოფილებს – მას გადარჩენისათვის ჯერ ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ესაჭიროება, ამის შემდეგ უჩნდება მას უსაფრთხოების მოთხოვნილება; როცა დაკმაყოფილებულია

უსაფრთხოების მოთხოვნილება, ადამიანს მიკუთვნებულობისა და სიყვარულის მოთხოვნილება უჩნდება და ა. შ. ყოველი საფეხური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ აქტუალური ხდება მომდევნო საფეხურის მოთხოვნილება. ანუ ადამიანს მაღალი დონის მოთხოვნილებები გაუჩნდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული აქვს დაბალი დონის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობისათვის საჭირო მოთხოვნილებები. თვით-აქტუალიზაციის დონე სხვა დონეებისგან განსხვავებით დანაკლისის შევსებაზე კი არ არის მიმართული, არამედ პიროვნების განვითარებასა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციაზე. მიუხედავად მასლოუს მოდელის იერარქიულობისა, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ადამიანის ქცევას წარმართავდეს ზედა საფეხურის მოთხოვნილება ისე, რომ არ იყოს დაკმაყოფილებული ქვედა საფეხურის მოთხოვნილება.

ადამიანის ქცევა რთული ფენომენია და გარეგნულად ერთსა და იმავე ქცევას შეიძლება განსხვავებული მოტივაცია[8] ედოს საფუძვლად. მაგალითად, მოსწავლის ქცევა – კარგად სწავლა – შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ზოგისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის ინტერესი, ზოგისთვის კი აღიარების მოთხოვნილება. მოტივაციის ფსიქოლოგიაში განასხვავებენ *გარეგან* და *შინაგან* მოტივაციას. მასლოუს იერარქიულ მოდელში გარეგანი სტუმულები (გარეგანი მოტივაცია) ქცევას აღძრავს პირველი ორ – *ფიზიოლოგიურ და უსაფრთხოების მოთხოვნილებების* – დონეზე, დანარჩენ სამ დონეზე კი ადამინის ქცევას შინაგანი სტიმულები (შინაგანი მოტივაცია) უდევს საფუძვლად.

ეფექტური სწავლება მოსწავლეთა მოტივაციის დონეზეა დამოკიდებული. მასლოუს იერარქიის მიხედვით, სწავლის მოთხოვნილების აღმძვრელი შეიძლება იყოს განსხვავებული დონის მოტივაცია. ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკსა და ინდივიდუალურ თავისებურებაზეც. დაწყებით კლასებში მოსწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჯერ უსაფრთხოების და შემდეგ მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მოზარდებისთვის წამყვანი უკვე თვით-პატივისცემის მოთხოვნილება ხდება. დაწყებით კლასებში ბავშვის ეფექტური სწავლებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სტაბილურობა, წესრიგი და ა. შ. ამავე დროს მნიშვნელოვანია ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა. თუ მოსწავლე თავს იზოლირებულად ან გარიყულად გრძნობს, ვერ ახერხებს იმის ათვისებასაც კი, რაც შეუძლია. ამ დონეზე ბავშვისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმის განცდა, რომ ის ჯგუფის სრულფასოვანი წევრია. ამის საფუძველზე ყალიბდება თვით-პატივისცემის

[8] მოტივაცია ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც აღძრავს ქცევას გარკვეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მოთხოვნილება, მიღწევაზე ორიენტაცია, ჯგუფში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და სტატუსზე ზრუნვა.

მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს პრაქტიკოს მასწავლებლებს, დაადგინონ იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე, განსაზღვრონ, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, რის შედეგადაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

დევიდ პერკინსი

განათლების თეორია

ამერიკელი მეცნიერი, განათლების სპეციალისტი და კოგნიტური მეცნიერების[9] წარმომადგენელი. დევიდ პერკინსს 1970 წელს სადოქტორო ხარისხი მიენიჭა მათემატიკისა და ხელოვნური ინტელექტის სპეციალობით მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. ამჟამად ის ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების სკოლის პროფესორია.

დევიდ პერკინსი ავტორია თეორიისა "სწავლება გაგებისათვის".

ამ თეორიის მიხედვით, რომელიც „თეორია ერთის" სახელითაა ცნობილი, სწავლა ჩაღრმავებული აზროვნების, გაგების შედეგია.

მასწავლებლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება, რაც გულისხმობს მიღებული ცოდნის მოქნილ და აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლის ძირითადი სასწავლო მიზანია კლასში აზროვნების კულტურის დამკვიდრება.

პერკინსის თეორიის ცენტრალური ცნებებია "გაგება" და "გენერაციული" ანუ პროდუქტული ცოდნა.

პერკინსის აზრით, ცოდნა და უნარები თავისთავად არ განაპირობებს გაგებას. ადამიანმა შეიძლება დააგროვოს ცოდნა და განივითაროს უნარები მიღებული ინფორმაციის ღრმა გააზრების გარეშეც. გაგება, პერკინსის მიხედვით, მხოლოდ შინაარსის გაგებას არ გულისხმობს, გაგებაში "მოქმედების პერსპექტივაც" იგულისხმება. კერძოდ, მოახერხებს თუ არა ადამიანი მისთვის ახალ სიტუაციაში კონკრეტული ცოდნის გახსენებასა და გამოყენებას. რაიმეს გაგება ნიშნავს არა მხოლოდ თემის შინაარსის გააზრებას, არამედ ამ თემასთან დაკავშირებით მაღალი დონის სააზროვნო პროცესების განხორციელებასაც, როგორიცაა ახსნა, მაგალითების მოყვანა, განზოგადება, ანალოგიის მიხედვით დასკვნის გამოტანა, ცნებების სხვა

---

[9] კოგნიტივიზმი – ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც წარმოიშვა მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში. შეისწავლის, თუ როგორ ხდება ცოდნის მიღება, შენახვა და გამოყენება შემეცნებითი პროცესების ფსიქოლოგიური სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე. ძირითადი დებულება: ადამიანის ფსიქიკის შესასწავლად არ არის საკმარისი ქცევაზე დაკვირვება, საჭიროა ადამიანის გონებრივი პროცესების შესწავლაც. ადამიანის სწავლის პროცესი, ცოდნის დაგროვება და გამოყენება მის მიერ ინფორმაციის გადამუშავების შედეგია. შესაბამისად, ინდივიდის შემეცნებითი პროცესების (აღქმის, მეხსიერების, აზროვნების) შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის მიღების, შენახვისა და გამოყენების გონებრივი მექანიზმების გარკვევის საფუძველზე კონკრეტული დავალების შესრულებისას.

კონტექსტში გამოყენება და ა.შ. ამრიგად, გაგება ისეთ პროცესებს მოიცავს, რომლებიც მიღებული ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენების საშუალებას მისცემს მოსწავლეს. პერკინსი მათ "გაგების მოქმედებებს" უწოდებს. კონკრეტული საკითხის გაგება ნიშნავს ამ "გაგების მოქმედებების" განხორციელებას საკითხის გარშემო. მაგ.: ასეთი "გაგების მოქმედებებია" კონკრეტული საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა, კატეგორიების გამოყოფა, კითხვების დასმა, ამ კითხვებზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, წინააღმდეგობრივი ფაქტებისა და დებულებების გამოყოფა, კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა არსებული ინფორმაციის საუფძველზე და ა. შ.

ჩვეულებრივ, სასკოლო აქტივობების უმრავლესობა არ მოიცავს "გაგების მოქმედებებს". ისინი, ძირითადად, ცოდნის დაგროვებისა და ჩვევების განვითარების საშუალებებია. ეს ორივე მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მათი სასარგებლო გამოყენებისთვის მომავალ, პიროვნებისათვის ახალ სიტუაციებში.

პროდუქტული ცოდნა სამი ძირითადი მოქმედების შედეგია:

1. ცოდნის შენახვა ხანგრძლივ მეხსიერებაში;
2. მიღებული ცოდნის გაგება;
3. ცოდნის აქტიური გამოყენება სკოლის გარეთ.

პერკინსი მიიჩნევს, რომ ეს სამი აქტივობა განათლების სისტემის ძირითადი მიზანი უნდა იყოს.

სწავლების სტრატეგია, პერკინსის თეორიის მიხედვით, უნდა იყოს ყურადღების გამახვილება არა სასწავლო საგნის შინაარსზე, არამედ მოსწავლის მიერ შესწავლილი მასალის ღრმა გააზრებაზე, მის კავშირზე მოსწავლის გამოცდილებასთან და სხვა სასწავლო საგნებში მიღებულ ცოდნასთან.

პერკინსის უპირატესი სწავლების მეთოდია: 1. საკითხის გარშემო კავშირებისა და მიმართებების დამყარება, რასაც პერკინსი "დაკავშირებას" უწოდებს და 2. პრობლემური სიტუაციის შექმნა, როდესაც მოსწავლეს მზა ცოდნა კი არა აქვს, არამედ პრობლემური სიტუაციის წვდომის პროცესში იძენს ამ ცოდნას. მას პერკინსი "გზის მიყოლას" უწოდებს.

ამ მეთოდით შეძენილი ცოდნა უფრო მოქნილი და უკეთ ორგანიზებულია მოსწავლის მეხსიერებაში. მომავალში მოსწავლე ადვილად შეძლებს მის გამოყენებას მისთვის უცნობ სიტუაციაში.

როგორ შეიძლება ვასწავლოთ გაგება, ანუ როგორ მივცეთ მოსწავლეებს პროდუქტიული ცოდნა? პერკინსმა გამოყო ექვსი კომპონენტი, რომლებიც აუცილებელია გაგების წარმატებული სწავლებისათვის.

1. სწავლება, როგორც აზროვნებაზე ფოკუსირებული ხანგრძლივი პროცესი. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი სასწავლო სიტუაცია, სადაც

მოსწავლეები საკითხზე იფიქრებენ და კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან მას სხვადასხვა სიტუაციაში.

2. მიმდინარე შეფასების აუცილებლობა. მოსწავლეებს სჭირდებათ უკუკავშირი და კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ, თუ როგორ არიან დაუფლებულნი გაგების მოქმედებებს, რა აქვთ კიდევ გასაკეთებელი იმისათვის, რომ კარგად გაიგონ საკითხი.
3. განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება. მასალის მიწოდებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი სირთულე ბავშვის ფსიქიკური განვითარების დონესთან მიმართებაში. გაგების მოქმედებების განხორციელება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებულია და, შესაბამისად, განსხვავებული სწავლების მეთოდებს მოითხოვს.
4. სწავლის უზრუნველყოფა ინფორმაციას ისე წარმოდგენით, რაც ხელს შეუწყობს გაგების პროცესების აღძვრას. ინფორმაციის სტრუქტურირებისა და წარმოდგენის წესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიღებული ინფორმაციის გაგებაზე. კერძოდ, დიაგრამები, სქემები ხელს უწყობს ცნებებისა თუ საკითხის ღრმა გაგებას.
5. მოსწავლეთათვის სასწავლო საგნის გაცნობა. შესასწავლი საგნის საკითხების გაგება შეუძლებელია მეცნიერების ამ დარგის შესახებ ზოგადი წარმოდგენის გარეშე. ცნებისა და პრინციპის გაგება აუცილებლად გულისხმობს იმას, თუ რა ადგილი უკავია და როგორ ფუნქციონირებს ის შესასწავლ დისციპლინაში. კონკრეტული საგნის მასწავლებელი ვალდებულია, გააცნოს მოსწავლეებს ამ სასწავლო დისციპლინის სტრუქტურა და ლოგიკა.
6. სწავლება ტრანსფერისთვის (გადატანისთვის). მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ მოსწავლეებს უჭირთ ერთ კონტექსტში ათვისებული პრინციპებისა და შესწავლილი ფაქტების სხვა სიტუაციაში გამოყენება. მაგ. ის, რაც აითვისეს მათემატიკაში, ვერ გადააქვთ საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ერთ საგანში ათვისებული ცოდნის სხვა კონტექსტში, სხვა დისციპლინაში გამოყენება, მათ უნდა ისწავლონ კავშირების დამყარება – "დაკავშირება". ეს კი გაგების აუცილებელი საფუძველია.

ჰოვარდ გარდნერი

1943

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია

ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰარვარდის განათლების სკოლის პროფესორი. მისი ცნობილი თეორია მრავლობითი ინტელექტის შესახებ პირველად გამოქვეყნდა 1943 წელს. თეორია აღწერს, თუ როგორ შეიმეცნებს ადამიანი სამყაროს.

გარდნერის თეორიის ცენტრალური ცნებებია: ინტელექტის ტიპი და დასწავლის სტილი.

გარდნერის მიხედვით, ადამიანის ინტელექტი ანუ ზოგადი გონიერება, ერთი უნარი არ არის და ვერ გაიზომება ერთი საზომით – ინტელექტის შესაფასებელი სკალით. დაბალი, საშუალო და მაღალი ინტელექტის მიხედვით ადამიანების შეფასება, მიუღებელია, რადგან ადამიანები ერთმანეთისგან გასხვავდებიან დასწავლის სტილით, უნარებითა და მიდრეკილებებით. გარდნერი მიიჩნევს, რომ ინტელექტი სხვადასხვა უნარების ერთობლიობაა და მათგან გარემოს შესამეცნებლად ყველა მნიშვნელოვანია; თუმცა ყველა ადამიანს ეს უნარები ერთნაირად განვითარებული არა აქვს. ადამიანის შემეცნებითი უნარები მრავალმხრივია და შესაბამისად, ინტელექტის მოდელიც ამას უნდა ასახავდეს. გარდნერმა შვიდი ძირითადი ტიპის ინტელექტი გამოყო:

- ლინგვისტური
- ლოგიკურ-მათემატიკური
- მუსიკალური
- სხეულებრივ-კინესთეტიკური
- ვიზუალურ-სივრცითი
- ინტერპერსონალური
- ინტრაპერსონალური

გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ ჩამონათვალს გარდნერმა დაამატა ნატურალისტური (ბუნებასთან ურთიერთობა), სულიერი/ეგზისტენციური (რელიგიური) და მორალური (ეთიკური ღირებულებები და სხვ.) ინტელექტი.

გარდნერი თვლის, რომ ადამიანები ცოდნას უპირატესად იმ გზებითა და საშუალებებით იძენენ, რა ტიპის ინტელექტიც უფრო აქვთ განვითარებული. შესაბამისად, ადამიანის დასწავლის სტილიც ინტელექტის რომელიმე ტიპის

უპირატესობით არის განპირობებული. ზოგიერთი ადამიანი პრობლემას უკეთ წყვეტს და ცოდნას იძენს სიტყვიერი ან ლოგიკური და რიცხვითი საშუალებებით (ლინგვისტური და ლოგიკურ-მათემატიკური ტიპი), ზოგიერთს აუცილებლად მხედველობით-სივრცითი წარმოდგენები ესაჭიროება ინფორმაციის გადასამუშავებლად და პრობლემის გადასაწყვეტად; ზოგისთვის სინამდვილის მუსიკალური და რიტმული ასპექტებია მნიშვნელოვანი დასასწავლად, ზოგისთვის კი შეხება და სხეულებრივ-მოტორული საშუალებებია უფრო ინფორმაციული. ამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან მაგ., ლიტერატორი, მეცნიერი, მუსიკოსი და გიმნასტი.

ინტელექტის ყოველ ტიპს შეესაბამება ის ოპერაციები, რასაც ამ ტიპის ინტელექტის ადამიანი უპირატესად იყენებს გარემოს შესამეცნებლად, ინფორმაციის გადასამუშავებლად და ცოდნის მისაღებად. გარდა ამისა, ყოველ ტიპს შეესაბამება თავისი დასწავლის საშუალებები და სტილი. გარდნერის მიხედვით, შესაძლებელია შვიდივე ტიპის ინტელექტის შეფასება და შემეცნების ინდივიდუალური სტილის აღწერა.

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია შვიდი ტიპის ინტელექტის აღწერა, მათი შესატყვისი ოპერაციები და დასწავლის საშუალებები.

ინტელექტის ტიპი	აღწერილობა	შესატყვისი აქტივობები	დასწავლის საშუალებები
ლინგვისტური	***ვერბალური უნარი*** ენობრივი ინფორმაცია; წერითი და ზეპირი მეტყველება; ინფორმაციის შენახვა, ინტერპრეტაცია და ახსნა ენობრივი საშუალებებით – ცნებებით, სიტყვათა მნიშვნელობებით.	საკითხის შესახებ საუბარი; ტექსტის ანალიზი; ტექსტის რედაქტირება; სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა, კომენტარის გაკეთება მოვლენაზე.	სიტყვები, ენობრივი საშუალებები
ლოგიკურ-მათემატიკური	***ლოგიკური აზროვნება*** მეცნიერული მსჯელობა და დედუქცია; პრობლემის ანალიზი, მათემატიკური გამოთვლები, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დადგენა.	არითმეტიკული ოპერაციები, სხვადასხვა გაზომვები, რაიმე მოქმედების სტრატეგიის შემუშავება, რაიმეს ღირებულების და შედეგების შეფასება, პროცესის დაგეგმვა და მართვა.	ციფრები, ლოგიკური კავშირები
მუსიკალური	***მუსიკალური უნარი*** მუსიკალური ყღერადობის გამოყენება და სიამოვნების მიღება; ტონალური და რიტმული ნიმუშების ცნობა; გრძნობასა და ბგერებს შორის კავშირის ხედვა.	მუსიკალური შესრულება. მუსიკის შეთხზვა; სიმღერა; მუსიკის შეფასება; ინსტრუმენტზე დაკვრის სწავლა და სწავლება.	მუსიკა, რიტმი

სხეულებრივ-კინესთეტიკური	***სხეულის ზუსტი მოძრაობების კონტროლი*** თითების მოქნილობა, ხელის და თვალის კოორდინაცია, მოტორული მოქნილობა, წონასწორობა და კოორდინაცია.	სპორტის სხვადასხვა სახეობის ტექნიკის დაუფლება; ჟესტების და მიმიკის გამოყენება.	ფიზიკური გამოცდილება, მოძრაობა, შეხება.
მხედველობით-სივრცითი	***მხედველობითი და სივრცითი აღქმა*** ვიზუალური ხატების შექმნა და ინტერპრეტაცია; ხატოვანი წარმოსახვა და ექსპრესია; ხატსა და მნიშვნელობას შორის მიმართების ხედვა.	ხატვა, დიზაინი, მხატვრობის ინტერპრეტაცია, გამოსახულების შექმნა იდეის მიხედვით, ლოგო.	სურათები, ფორმები, სამგანზომილებია ნი ხატები.
ინტერპერსონალური	***სხვათა გრძნობების აღქმა და გაგება*** სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ქცევისა და ურთიერთობის ინტერპრეტაციის უნარი, ადამიანებსა და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა.	სხვისი გუნება-განწყობის ინტერპრეტაცია სახის გამომეტყველების მიხედვით; სხეულის ენით გრძნობების გამოხატვა, სხვის გრძნობებზე დაგეგმილი ზემოქმედება.	სოციალური ურთიერთობა, კომუნიკაცია თანამშრომლობა გუნდური მუშაობა
ინტრაპერსონალური	**თვითცნობიერება** საკუთარი თავის გაგება, საკუთარი თავის მიმართება სხვებთან და სამყაროსთან, ცვლილებების საჭიროების განცდა, რეაგირება ცვლილებაზე.	პიროვნულ ზრდა-განვითარებაზე ზრუნვა; საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბება.	თვითაღქმა, თვითანალიზი, თვითგახსნა.

გარდნერის თეორიის მიხედვით, ადამიანები განსხვავებულად იღებენ და ინახავენ ერთსა და იმავე ინფორმაციას, ამიტომ მათი სწავლება ინდივიდუალური დასწავლის სტილზე უნდა იყოს მორგებული.

ლორენს კოლბერგი
(1927-1987)

მორალური განვითარების თეორია

ამერიკელი ფსიქოლოგი. იყო ჩიკაგოს და შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორი.

კოლბერგის მორალური თეორია ხსნის, როგორ ითვისებს ბავშვი საზოგადოებაში მიღებულ ეთიკურ ნორმებს, "კარგ" და "ცუდ", "სწორ" და "არასწორ" ღირებულებებს. ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესაბამისად კოლბერგი გამოყოფს მორალური განვითარების 3 დონეს (*წინაკონვენციური, კონვენციური, პოსტკონვენციური)* და თითოეულში კიდევ რამდენიმე საფეხურს.

I დონე - წინაკონვენციური მორალი. ამ დონეზე ბავშვი "სწორი" და "არასწორი" ქცევების შესახებ მსჯელობს იმის მიხედვით, თუ რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას – დასჯა, წახალისება თუ დაჯილდოება. ამ დონეზე მყოფი ბავშვისთვის მორალი მის გარეთ არსებული რამ არის, რასაც უნდა დაემორჩილოს. განვითარების ამ დონეზე ბავშვი ფიქრობს, რომ სწორია ის, რაზეც ავტორიტეტი ამბობს, რომ სწორია. ეს დონე კოლბერგმა სამ საფეხურად დაყო.

ნულოვანი საფეხური:. განვითარების ამ დონეზე ბავშვის შეხედულებები "სწორი", "კარგი" და "არასწორი", "ცუდი" ქცევის შესახებ განპირობებულია იმით, თუ რა ანიჭებს მას სიამოვნებას ან უსიამოვნებას. ამ საფეხურზე ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს თავისი სურვილებისგან დამოუკიდებელი მოთხოვნებისა თუ წესების გაგების უნარი. *მაგალითად, "მე შოკოლადის ჭამა მსიამოვნებს და მოვითხოვ მას, რადაც არ უნდა დამიჯდეს".*

1 საფეხური. მორჩილება და დასჯა. ამ საფეხურზე ბავშვი თვლის, რომ წესები ავტორიტეტებმა შექმნეს და მათ უნდა დაემორჩილოს, თუ დაარღვევს – დაისჯება. მოქმედების შედეგი განაპირობებს მის "სისწორეს". მაგ., *"თუ მე გავტეხე ფინჯანი, დედამ დაინახა და დავისაჯე – ეს ცუდი საქციელია. თუ არავინ მხედავს, როგორ გავტეხე და არ დავისაჯე, მაშინ ეს არ არის ცუდი საქციელი".*

2 საფეხური. ინსტრუმენტული ფარდობითობა. განვითარების ამ საფეხურზე სწორი და კარგი ქცევა არის ის, რაც აკმაყოფილებს ინდივიდის მოთხოვნილებებს და ზოგჯერ გარშემომყოფების მოთხოვნილებებსაც. ამ საფეხურზე ბავშვი აცნობიერებს, რომ შეიძლება არსებობდეს დაწესებული წესისგან განსხვავებული შეხედულებაც. ადამიანებს შეიძლება განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ და ისინი

ინდივიდუალური ინტერესიდან გამომდინარე იქცეოდნენ. ეს უკვე ურთიერთგაზიარების ელემენტებია, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია ყოველთვის ფიზიკური, პრაგმატული ხასიათისაა. მაგალითად, *"თუ შენ მომცემ კანფეტს, მეც მოგცემ".*

II დონე – კონვენციური მორალი. ამ დონეზე მყოფი ინდივიდისთვის მისი ოჯახის, საზოგადოების მოლოდინების გამართლება მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ინდივიდი საკუთარ თავს აღიქვამს ამ საზოგადოების თუ ჯგუფის ნაწილად. ინდივიდი ემორჩილება და იღებს საზოგადეობაში დამკვიდრებულ ნორმებსა და მოლოდინებს, ის არა თუ იცავს, არამედ მხარს უჭერს და განამტკიცებს არსებულ ნორმებს. ეს დონე თავის მხრივ, ორი საფეხურისგან შედგება.

1. (მე-3) საფეხური. ინტერპერსონალური თანხმობა: "კარგი ბიჭი – კარგი გოგო". განვითარების ამ საფეხურზე ბავშვი ფიქრობს, რომ კარგი ქცევა არის ის, რაც სხვებს ანიჭებს სიამოვნებას, გულისხმობს სხვის დახმარებას და იმსახურებს საზოგადოების მოწონებას. მაგ., *"ზემს მეგობარს ვათხოვე სათამაშო, რადგან კარგი ბიჭი ვარ და გავახარე მეგობარი".* ასეთი შეხედულება კარგი ინტერპერსონალური ურთიერთობების განვითარებისა და შენარჩუნების საშუალებაა.

2. (მე-4) საფეხური. კანონი და წესრიგი. ამ საფეხურზე ინდივიდი თვლის, რომ კარგი და სწორი ქცევა ავტორიტეტის პატივისცემა, მოვალეობის შესრულება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა.

III დონე – პოსტ-კონვენციური მორალი. ამ დონეზე პიროვნება ცდილობს, ავტორიტეტული ღირებულებებისგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს საკუთარი ღირებულებათა სისტემა და პრინციპები. ამ შემთხვევაში ეთიკური პრინციპები პიროვნების განუყოფელი ნაწილია და არ აღიქმება არც თავს მოხვეულად და არც ავტორიტეტის პატივისცემის ნიშნად. ის პიროვნების თავისუფალი არჩევანია. კოლბერგი ამ დონეზეც ორ საფეხურს გამოყოფს:

1. (მე-5) საფეხური: სოციალური კონტრაქტი. ამ საფეხურზე სწორი და მისაღები მოქმედება, ქცევა განისაზღვრება ინდივიდის იმ უფლებებისა და სტანდარტების მიხედვით, რაც მიღებულია საზოგადოებაში კრიტიკული შეფასებისა და შეთანხმების შედეგად. ამ საფეხურზე ინდივიდი აცნობიერებს, რომ პიროვნული ღირებულებები და შეხედულებები ფარდობითია, საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება განსხვავებული ეთიკური შეხედულებები ჰქონდეს; ამიტომ საჭიროა საზოგადოებრივი თანხმობა იმის თაობაზე, თუ რა არის სწორი და მისაღები, რაც კონკრეტულ საზოგადოებაში უფლებებისა და მოვალეობების ჭრილში აღიწერება. ეს საფეხური უფრო საზოგადოებრივ პოზიციაზეა ორიენტირებული – ეთიკურია (ანუ სწორია) ის ქცევები, რომლებიც საზოგადოების წევრების უფლებებს არ არღვევს.

2. (მე-6) საფეხური: უნივერსალური ეთიკური ორიენტაცია. პიროვნება საკუთარ სინდისთან თანხმობით ირჩევს იმ უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც თავისუფალია პრაგმატულობისა და ფორმალური კანონიერებისაგან. ეს პრინციპები ეხება ზოგადად სამართლიანობას, თანასწორობასა და პიროვნების პატივისცემას. ადამიანის მორალური განვითარების დონე დგინდება იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებს იგი ამა თუ იმ მოვლენას მორალური თვალსაზრისით.

თეორიაში უკეთ გასარკვევად გთავაზობთ კოლბერგის მაგალითს: *„ექიმის ვარაუდით, სიმსივნის იშვიათი ფორმით დაავადებული ქალბატონის გადარჩენა შეეძლო ახალ სამედიცინო პრეპარატს. ეს მედიკამენტი ერთმა ფარმაცევტმა შექმნა საკუთარ აფთიაქში. გარდა იმისა, რომ პრეპარატის მომზადება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ფარმაცევტმა გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაეზარდა საკუთარი გამოგონების საფასური და წამლის თვითღირებულებაზე 10-ჯერ მეტი თანხა მოითხოვა. ავადმყოფი ქალის მეუღლემ მხოლოდ თანხის ნახევარის შეგროვება შეძლო და ფარმაცევტს სთხოვა, ან ფასი შეემცირებინა, ან თანხის ნაწილის მომავალში გადახდის საშუალება მიეცა. ფარმაცევტმა უარი უთხრა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა მეუღლემ ღამით აფთიაქის კარი გატეხა და ცოლისათვის წამალი მოიპარა.*

იმის მიხედვით, თუ როგორ და რა არგუმენტაციით აფასებს ინდივიდი ამგვარ მორალურ საკითხებს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მისი მორალური განვითარების დონეზე.

მორალური განვითარების დონე	საფეხური	შეფასება/მსჯელობა
პრეკონვენციური დონე	*1. საფეხური მორჩილებასა და დასჯაზე ორიენტაცია*	„ქურდობა არ შეიძლება. შეიძლება ციხეში მოხვდეს". *(დასჯა)*
	2. საფეხური ინსტრუმენტული ფარდობითობის ორიენტაცია	„მან შეიძლება მოიპაროს წამალი, რომელიც გადაარჩენს ავადმყოფ ცოლს. როცა ციხიდან გამოვა, ისევ ცოლთან ერთად იქნება" *(ჰედონისტური მოტივი).*
კონვენციური დონე	*3. საფეხური ინტერპერსონალური თანხმობა – ორიენტაცია შეთანხმებაზე „კარგი ბიჭი, კარგი გოგო"*	საზოგადოება გაუგებს მას, თუ ავადმყოფი ცოლის გადასარჩენად წამალს მოიპარავს და გაიცხავს იმ შემთხვევაში, თუ ასე არ მოიქცევა". *(საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვნება).*
	4. საფეხური. *კანონი და წესრიგი*	ქმრის მოვალეობა ცოლის გადარჩენაა, თუნდაც ამისათვის ქურდობა გახდეს საჭირო". *(კანონი ღირსება, მოვალეობა, დანაშაულის გრძნობა განსაზღვრავენ ქცევას)*
პოსტკონვენციური დონე	*5. საფეხური* *ზნეობა*	ქმარს უფლება აქვს მიიღოს წამალი, თუნდაც მისი საფასურის გადახდის საშუალება არ ჰქონდეს. თუ აფთიაქარი ამას ვერ აცნობიერებს, სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს მსგავსი სიტუაციები. *(დემოკრატიული კანონი, პიროვნების უფლებების დაცვის გარანტიები)*
	6. საფეხური *უნივერსალური ეთიკური პრინციპები*	მიუხედავად იმისა, რომ ქურდობა ისჯება კანონით, არასწორი იქნება, თუ ქმარი არ მოიპარავს წამალს. სიცოცხლე უფრო ღირებულია, ვიდრე აფთიაქარის შემოსავალი. *(კანონები სოციალურად სასარგებლო უნდა იყოს და არა წმინდა და დაურღვეველი, სინდისი ინდივიდუალურია).*

ბერას ფრედერიკ სკინერი
(1904–1990)

ოპერანტული განპირობებულობის თეორია

ამერიკელი ფსიქოლოგი ბერას ფრედერიკ სკინერი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, 1945-1948 წლებში იყო ინდიანას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. 1948 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა ჰარვარდში. მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკაში ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად სკინერმა ყველა დროის ფსიქოლოგთა შორის მერვე, ხოლო თანამედროვე ფსიქოლოგთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

სკინერი „რადიკალური ბიჰევიორიზმის“[10] მიმდევარი და განმავითარებელი იყო. ამ მეცნიერული მიდგომის მიხედვით, ფსიქიკური პროცესების მეცნიერული ახსნა და ზუსტი ინტერპრეტაცია შეუძლებელია, ვინაიდან ისინი ადამიანის „შიგნით” მიმდინარეობს და ხანდახან თვითონ ადამიანსაც არ ძალუძს ბოლომდე გააცნობიეროს მათი არსი. მეცნიერებისათვის შესაძლებელია ისეთი ფენომენის ახსნა, რაზეც დაკვირვება და რისი შემოწმებაც შესაძლებელია. ასეთად სკინერს ქცევა მიაჩნია. შესაბამისად, ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ორგანიზმის ქცევა და ამ ქცევის შედეგები. თუ ბიჰევიორისტული დასწავლის ზოგიერთი თეორეტიკოსი ადამიანის ან ცხოველის ქცევის ასახსნელად ხშირად იყენებს ტერმინებს, როგორიცაა „მოთხოვნილება”, „მოტივაცია”, ანუ ისეთ ფენომენებს, რომლებზეც პირდაპირ დაკვირვება შეუძლებელია, ის არ არის მნიშვნელოვანი “რადიკალური ბიჰევიორიზმისთვის”.

ქცევის ექსპერიმენტული ანალიზი სკინერის ტერმინია და ასახავს ქცევასთან დაკავშირებული სამი ცვლადის ანალიზს. ეს ცვლადებია:

- ორგანიზმის ქცევა;
- პირობები, რომელშიც მიმდინარეობს ქცევა;

[10] ქცევათმეცნიერება აღმოცენდა აშშ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისში. ძირითადი დებულება: ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ინდივიდის ფსიქიკის ის გამოვლინებები, რაც დაკვირვებადი და გაზომვადია. ამიტომ შეიძლება ობიექტურად და მეცნიერულად შევისწავლოთ და გავზომოთ მხოლოდ რა ზემოქმედებს (სტიმული) ინდივიდზე გარედან (სტიმული) და ინდივიდის რეაქცია სტიმულზე (ქცევა).

- ქცევის შედეგები (მეორდება თუ არა ქცევა თანმხვედრი გარემოებების შემთხვევაში).

ქცევის ახსნა ამ სამი ცვლადის ანალიზის საფუძველზე ხდება. ბავშვის პრობლემურ ქცევას ყოველთვის რაღაც მიზეზი აქვს, რაც მოცემულ მომენტში არ ჩანს. ამიტომ აუცილებელია იმაზე დაკვირვება და აღწერა, თუ რა უსწრებს წინ პრობლემურ ქცევას, თვითონ ამ ქცევის აღწერა (როგორი ინტენსივობისაა და რას აკეთებს ბავშვი) და რა მოსდევს შედეგად ამ პრობლემურ ქცევას. სკინერი, ისევე როგორც სხვა ბიჰევიორისტები, თვლის, რომ ქცევის პირობების, თვით ქცევისა და მისი შედეგების აღწერა უნდა იყოს დეტალური, ზუსტი, ობიექტური, ყოველგვარი სუბიექტური შეფასების გარეშე.

სკინერი ქცევის ორ ტიპს გამოყოფს: **რესპონდენტულს** – რეაქცია სპეციფიკურ სტიმულზე (მაგ. ცემინება, თვალების ხამხამი, შიმშილი და სხვ.) და **ოპერანტულს** – სტიმულის გარეშე ორგანიზმის მიერ სპონტანურად შესრულებული გარკვეული ქცევა (მაგ. წერილის წერა, მანქანის ტარება, წიგნის კითხვა და სხვ.). ოპერანტული ქცევა საპასუხო რეაქცია არ არის, ის შეიძლება გაკონტროლდეს ადამიანის მიერ და ემორჩილება ოპერანტული განპირობებულობის კანონებს. **ოპერანტული განპირობებულობა** ეს არის დასწავლის ტიპი, როცა რომელიმე რეაქციის გაჩენის ალბათობა იზრდება, თუკი მას მოსდევს განმამტკიცებელი (მაგ. თუ მოსწავლე ყურადღებით უსმენს მასწავლებელს და მასწავლებელი მის ასეთ ქცევას ღიმილით ან შექებით აღნიშნავს, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ მოსწავლე მომავალშიც ასეთივე ყურადღებიანი იქნება). ამრიგად, **განმამტკიცებელი** შედეგია, შემდგომი მოვლენაა, რაც პასუხად მაშინვე მოყვება ინდივიდის მოქმედებას, ქცევას. ის აძლიერებს ქცევის აღმოცენების ალბათობას.

თავის მხრივ, განმამტკიცებელი სტიმული შეიძლება იყოს **დადებითი განმამტკიცებელი** – დაჯილდოება (მაგ. ყოველთვის, როცა მასწავლებელი აქებს მოსწავლეს, უწერს მას მაღალ შეფასებას ან ეუბნება მშობელს, რა ნიჭიერია მისი შვილი, ის იყენებს პოზიტიურ განმამტკიცებელს) და **უარყოფითი განმამტკიცებელი** – შვება (უსიამოვნო სტიმულის გაქრობა ქცევის გამოსწორებისთანავე, მაგ. ყურის აწევა; როგორც კი არასასურველი ქცევა გამოსწორდება, ყურზე ხელს უშვებენ). ორივე შემთხვევაში განმამტკიცებელი ზრდის მომავალში სასურველი ქცევის აღმოცენების ალბათობას.

ასევე დადებითი და უარყოფითი შეიძლება იყოს **დასჯაც**. დასჯა ისეთი ქმედებაა, რომელიც ამცირებს მომავლაში ქცევის აღმოცენების ალბათობას. **დადებითი დასჯა (სასჯელი)** თანამედროვე სკოლებში ნაკლებად გამოიყენება (მაგ. მოსწავლე ცუდი ქცევისთვის ისჯება საკლასო ოთახის დალაგებით). უფრო ხშირია

უარყოფითი დასჯის (ჯარიმა) გამოყენების მაგალითები (მაგ. იმის გამო, რომ პატარა დას აწვალებ, ტელევიზორს გამოგირთავ და დღეს შენს საყვარელ ფილმს ვერ ნახავ!).

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ერთმანეთში ერევათ *უარყოფითი განმტკიცება* და *დადებითი დასჯა,* იმიტომ, რომ ორივე შეიცავს უსიამოვნო, ე. წ. ავერსიულ სტიმულებს. თუმცა მათი გარჩევა ადვილია ქცევაზე თითოეულის ზეგავლენის მეშვეობით, რადგან ეს ზეგავლენა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სკინერის მიხედვით ოპერანტული სწავლის დროს მომავალში ქცევის განმეორების ალბათობას ზრდის განმტკიცება (თავისი ორი ფორმით), ხოლო ამ ქცევის განმეორების ალბათობას ამცირებს დასჯა (თავისი ორი ფორმით).

თავად სკინერს დასჯის საწინააღმდეგოდ მრავალი არგუმენტი მოჰყავს. ის თვლის, რომ დროთა განმავლობაში დასჯა არაეფექტური ხდება, ის მხოლოდ ახშობს არასასურველ ქცევას; როცა დასჯის შიში გაივლის, ქცევის ინტენსივობა უბრუნდება პირვანდელ დონეს, ანუ ეფექტი დროებითია.

მნიშვნელოვან არგუმენტად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ დასჯა მიუთითებს მხოლოდ იმაზე, თუ *რა არ უნდა გააკეთო,* და არა იმაზე, *რისი გაკეთება იქნებოდა მისაღები და კარგი.* აგრეთვე დასჯა ამართლებს სხვა ადამიანისთვის ტკივილის მიყენებას (ბავშვს, რომელიც დედამ მიტყიპა, ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეუძლია, რომ არსებობს სიტუაციები, როცა ტკივილის მიყენება დაშვებულია) და იწვევს აგრესიას დამსჯელის ან სხვების მიმართ.

სკინერის აზრით, **დასჯას აქვს არაერთი ალტერნატივა და მათი გამოყენება უფრო ეფექტურია**. მაგალითად, სიტუაციის ცვლილება არასასურველი ქცევის თავიდან აცილების მიზნით (წინასწარ მოვაცილოთ ძვირფასი ლარნაკი ბავშვისთვის ხელმისაწვდომი ადგილიდან), ანდა უბრალოდ იგნორირება, რაც კარგ შედეგს იძლევა არასასურველი, პრობლემური ქცევის შემთხვევაში (მაგ., როდესაც ბავშვი ბრაზობს და ტირის, რადგან შოკოლადს სადილამდე არ აძლევენ, ეფექტურია იგნორირება. ამ დროს უფროსი არ აქცევს ყურადღებას ბავშვის მოთხოვნებსა და ტირილს, თითქოს არც ესმის მისი; სკინერის მიხედვით, ამ სტრატეგიის რამდენჯერმე გამეორება აქრობს ქცევას, რადგან არ მტკიცდება და ბავშვი ხვდება, რომ ამ გზით ის სასურველს ვერ მიიღებს). სასურველი თუ არასასურველი ქცევა აუცილებლად ჩაქრება, თუ მივაგნებთ მის განმამტკიცებელს და გამოვრიცხავთ. მაგ. გაკვეთილზე, როდესაც ბავშვმა იცის, რომ მისი გამოკითხვის ჯერი მოვა, მანამდე იქცევა ისე, რომ კლასიდან გაუშვან, რადგან ასეთი ქცევისათვის მასწავლებელი ყოველთვის კლასიდან უშვებს ხოლმე ბავშვს. ამ გზით, მოსწავლის მიზანი მიღწეულია – მან კლასში თავიდან აიცილა დავალების შესრულება. თუ მასწავლებელი გააანალიზებს ბავშვის ქცევას და აღმოაჩენს, რომ მის "ამრევ" ქცევას წინ უსწრებს საკითხავი დავალების შესრულება,

მაშინ ის მიხვდება პრობლემური ქცევის მიზეზს და აღარ განამტკიცებს მის სურვილს კლასიდან გარეთ გაშვებით.

სკინერის აზრით, ადამიანის ქცევის შესასწავლად აუცილებელი არაა რთული თეორიების ჩამოყალიბება. ის ძირითად ამოცანად მიიჩნევს სტიმულის ტიპებსა და რეაქციის ტიპებს შორის ურთიერთზემოქმედების საფუძვლების შესწავლას. ეს გულისხმობს მასტიმულირებელ მოვლენასა და გაზომვად ქცევას შორის **ფუნქციონალურ ანალიზს**. ის თვლიდა, რომ ფუნქციონალური ანალიზი საშუალებას იძლევა, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ორგანიზმზე, როგორც ქცევით სისტემაზე, ანუ იმაზე, თუ რაზე რეაგირებს ან არ რეაგირებს ინდივიდი, რა პირობებში მიმდინარეობს ქცევა და რა შედეგი აქვს მას.

სკინერი დაინტერესებული იყო განათლების სისტემაში საკუთარი თეორიის გამოყენებით. ის თვლიდა, რომ დასწავლა ეფექტურია, როცა:

1. ასათვისებელი მასალის მიწოდება ხდება თანდათანობით;
2. მოსწავლეები იღებენ დაუყოვნებელ უკუკავშირს, რამდენად სწორად დაისწავლეს მიწოდებული მასალა;
3. დასწავლა მიმდინარეობს მოსწავლეთათვის მისაღებ ტემპში.

ამ მიდგომის მიხედვით, მასწავლებელი ინფორმაციის, ცოდნის გადამცემია. ის ქმნის პირობებს ამ ცოდნის გადაცემისათვის და ასევე არჩევს მასალას. მოსწავლეები კი ამ ცოდნას ნაბიჯ-ნაბიჯ ითვისებენ.

ბიჰევიორიზმის (ქცევათმეცენიერების) გავლენა სასწავლო გეგმასა და სწავლებაზე

ბიჰევიორიზმმა რამდენიმე მიმართულებით მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტექნოლოგიებზე. კერძოდ:

- ***ქცევითი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა სასწავლო გეგმაში.*** ბიჰევიორიზმის გავლენით სასწავლო გეგმაში 40-იანი წლებიდან დაიწყეს სასწავლო მიზნების სპეციფიკური ფორმულირების პრინციპების დანერგვა. სასწავლო მიზნები და სწავლების შედეგები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შეიძლებოდეს მათზე დაკვირვება და რაოდენობრივი შეფასება. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსთვის აშშ მასწავლებლების უმრავლეოსობა იყენებდა სასწავლო მიზნებისა და სწავლების შედეგების ფორმულირების წესებს.

ქცევის მიზნებისა და შედეგების სპეციფიკური განსაზღვრის მოთხოვნამ მისცა ბიძგი გავარჯიშებით დასწავლის მიდგომას. კერძოდ, მორისონმა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სკოლაში შეიტანა ე. წ. "დაოსტატების ფორმულა": წინატესტირება, სწავლება, შემდგომი ტესტირება, ადაპტაციისა და დახმარების პროცედურა საჭიროების მიხედვით, სწავლება და შემდგომი ტესტირება. მორისონის გეგმა გულისხმობს, რომ კლასში ყველა მოსწავლემ უნდა აითვისოს გაკვეთილზე გათვალისწინებული მასალა.

- ***სწავლებისადმი ინდივიდუალური მიდგომა.*** აშშ განათლების სისტემაში ეს იდეა დაინერგა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან და დაკავშირებულია კელერის გეგმასთან. ამ გეგმის მიხედვით, სწავლება უნდა განხორციელდეს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრის საფუძველზე. ამ ტიპის სასწავლო გეგმის სპეციფიკაა სწავლის ინდივიდუალური ტემპის გათვალისწინება, დაოსტატების ტექნიკის გამოყენება, სასწავლო მოტივაციის გაძლიერება, მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი ათვისებისათვის საჭირო ეტაპების გამოყოფა, ყოველი ნაწილის ათვისების შეფასება. ამ გეგმის საფუძველზე მე-20 საუკუნის 70-იან წლებში პიტსბურგის უნივერსიტეტში შეიქმნა სწავლების ინდივიდუალური გეგმა და ფლანაგანის სასწავლო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა დახმარება და დამატებითი სწავლება კონკრეტული საჭიროების გათვალისწინებით.
- ***კომპიუტერის დახმარებით სწავლება.*** აშშ-ში გავრცელდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან და ძირითადად მიმართული იყო ჩვევების გავარჯიშებაზე და მექანიკურ დასწავლაზე. სწავლების პრინციპი ბიჰევიორისტულ მიდგომაზე იყო დაფუძნებული: მიზნის განსაზღვრა, დავალების ნაწილებად დაყოფა, ყოველ ნაწილზე მუშაობა კონკრეტული ალგორითმის საფუძველზე და შედეგის შეფასება. დღეს კომპიუტერის გამოყენება სასწავლო პროცესში მრავალმხრივია არა მხოლოდ სასწავლო კომპიუტერული პროგრამების სახით, არამედ სასწავლო პროცესში დავალების შესრულების დროს კომპიუტერის გამოყენების სახითაც.
- ***სწავლებისადმი სისტემური მიდგომა.*** მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში ჩამოყალიბდა და კომპიუტერული მეტაფორა დაედო საფუძვლად. შესაბამისად, სწავლების სისტემის დიზაინი გულისხმობს მოსწავლის საჭიროებების შეფასებას, გრძელვადიანი მიზნების დადგენას, მათ საფუძველზე მოკლევადიანი მიზნების ჩამოყალიბებას, შეფასების სტრატეგიის განსაზღვრას, სწავლების მეთოდის შემუშავებას, მასალების შერჩევას, მიმდინარე და შემაჯამებელ შეფასებას.

თეორიის ძლიერი მხარე. ბიჰევიორისტული მიდგომის გამოყენება ეფექტურია ჩვევების ასათვისებლად, მასალის შინაარსის დასასწავლად, ქცევის მართვისთვის, სასურველი ქცევის მისაღწევად და ქცევის შესაცვლელად.

სწავლების მეთოდოლოგია:

- **დავალების ანალიზი და კომპონენტების გამოყოფა.**
- **მოსწავლეთა მისაღები ქცევების განსაზღვრა და მათი განმტკიცება.**
- **სწავლების მეთოდიკა** დამყარებულია ხშირ ასოციაციურ კავშირებზე, შესრულებასა და მისაღწევ მიზანს შორის მკაფიო უკუკავშირზე. დავალებები იყოფა მცირე კომპონენტებად და მათ ასათვისებლად საჭირო ეტაპებად, შემდეგ კი ხდება გამთლიანება. ასევე გამოიყოფა დახმარების ხარისხები: ფიზიკური დახმარება, ერთობლივად კეთება, სიტყვიერი, მითითებით დახმარება და დამოუკიდებელი შესრულება. დავალებების მიწოდება ხდება მარტივიდან რთულისკენ და მოსწავლე ოსტატდება კონკრეტული დავალების დამოუკიდებლად შესრულებაში.

ალბერტ ბანდურა

1925

სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია

ალბერტ ბანდურა დაიბადა 1925 წელს, კანადაში. ალბერტ ბანდურა სტენფორდის დ. ჯორდანის სახელობის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების კათედრის პროფესორი და ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე იყო.

ბანდურამ თავის თეორიას *სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია* უწოდა, რადგან, მისივე განმარტებით, „სოციალური" ხაზს უსვამს ადამიანის შემეცნებისა და ქცევის სოციალურ წარმომავლობას, ხოლო „კოგნიტური" – ადამიანის ემოციაზე, მოტივაციასა და ქმედებებზე შემეცნებითი პროცესების ზემოქმედებას.

ბანდურას თეორიის ძირითადი თემა არის **დაკვირვების გზით დასწავლა**. მის თეორიაში ხაზგასმულია, რომ ადამიანმა შეიძლება შეიძინოს ახალი გამოცდილება, ახალი ქცევა, არა მხოლოდ უშუალოდ ამ ქცევის განხორციელების გზით, არამედ სხვა ადამიანების (ე. წ. მოდელების) ქცევაზე დაკვირვებით და მიბაძვით. ეს პრინციპულად ახალი მიდგომა გამოარჩევს ბანდურას თეორიას დასწავლის სხვა თეორიებისგან. ბანდურა მიიჩნევს, რომ დასწავლა შესაძლებელია მაშინაც კი, როდესაც ადამიანი პირდაპირ არ იმეორებს „მოდელის" ქცევას. თავისი პოზიციის გასამყარებლად მას შემდეგი მაგალითი მოჰყავს:

„წარმოიდგინეთ, რომ ავტომობილით მიდიხართ გზაზე და შეამჩნიეთ, რომ თქვენს წინ მიმავალი ავტომობილი ჩავარდა პატარა ორმოში და დაზიანდა. ასეთ სიტუაციაში ადამიანთა უმრავლესობა გაითვალისწინებს წინა მანქანის შემთხვევას და ავტომობილს ისე წაიყვანს, რომ ორმოს თავი აარიდოს. მოცემული შემთხვევა სოციალური დასწავლის ტიპური მაგალითია, თუმცა, როგორც ხედავთ, აქ დასწავლა მოხდა არა იმიტაციის (გამეორების, მიბაძვის), არამედ სხვისი გამოცდილების გაზიარების გზით. ეს ადასტურებს, რომ სოციალური დასწავლის უნარი არ არის უბრალოდ მიბაძვის უნარი, სოციალური დასწავლა ბევრად უფრო კომპლექსური და ფართოა, ვიდრე ამას ფიქრობდა ფსიქოლოგთა უმეტესობა".

კიდევ ერთი პოზიცია, რითაც ბანდურა განსხვავდება თავისი დროის კოლეგებისგან, იმაში მდგომარეობს, რომ ბანდურას თეორიის თანახმად, დასწავლა დაკვირვების მეშვეობით (ანუ სოციალური დასწავლა) არ საჭიროებს არც გარე რეაქციას და არც ე. წ. განმამტკიცებელს (წახალისებას, ჯილდოს და ა. შ.). მისი აზრით, დასწავლა უწყვეტი პროცესია, რომელიც ყოველთვის არ არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე. ეს დასკვნა ეფუძნება ბანდურას მიერ ჩატარებულ

ექსპერიმენტთა მთელ ციკლს. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ექსპერიმენტი ასეთი იყო:

„დაახლოებით ერთი და იმავე ასაკის ბავშვები სამ ჯგუფად გაანაწილეს ცალ-ცალკე ოთახებში. სხვადასხვა ჯგუფის წევრებს არ ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა. თითოეულ ჯგუფს აჩვენეს პატარა ფილმი, რომელშიც ადამიანი (შემდგომში მას ვუწოდებთ „მოდელს") ცემს დიდ თოჯინას. ფილმის პირველი ნაწილი სრულიად იდენტური იყო, მაგრამ მისი ბოლო ნაწილი, ანუ დასასრული განსხვავებული იყო თითოეული ჯგუფისთვის. პირველი ჯგუფის შემთხვევაში ფილმი დასრულდა იმით, რომ „მოდელი" დაჯილდოვდა თავისი აგრესიული ქმედებისთვის (დადებითი განმტკიცება). მეორე ფილმი დასრულდა იმით, რომ „მოდელი" დაისაჯა აგრესიული ქმედებისთვის (ნეგატიური განმტკიცება), ხოლო მესამე ჯგუფისთვის განკუთვნილ ფილმში „მოდელი" ქცევას არ მოჰყოლია არანაირი რეაქცია, იგი არც დაისაჯა და არც დაჯილდოვდა.

ექსპერიმენტის მეორე ნაწილში სამივე ჯგუფს მისცეს ზუსტად ის თოჯინა, რომელიც ნაჩვენები იყო ფილმში. როგორც მოსალოდნელი იყო, ბავშვებმა გაიმეორეს „მოდელის" ქცევა, გამოავლინეს აგრესიულობა თოჯინის მიმართ. ექსპერიმენტის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ დადგენილიყო იქნებოდა თუ არა განსხვავება რეაგირების ფორმაში ან ინტენსიობაში იმის მიხედვით, თუ რომელი ფილმი ნახეს ბავშვებმა. ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზებამ ცხადყო, რომ პირველი ჯგუფი, სადაც ფილმში „მოდელი" წახალისებული იყო თავისი აგრესიული ქცევისთვის, განსაკუთრებული სისატიკით ექცეოდა თოჯინას და განსაკუთრებულად მაღალ აგრესიის დონეს იჩენდა დანარჩენ ორ ჯგუფთან შედარებით. ყველაზე ნაკლები აგრესიულობა გამოავლინა მეორე ჯგუფმა, მესამე ჯგუფის მაჩვენებლები კი მერყეობდა პირველსა და მეორეს შორის. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა: მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ჯგუფის არც ერთ წევრს უშუალოდ არ მიუღია ქცევის განმამტკიცებელი (ანუ წამახალისებელი) და არც დასჯილა, მათ მიერ გაცნობიერებული, გათავისებული იყო „მოდელის" ქცევა და ის რეაქცია (შედეგი), რომელიც მოჰყვა ამ ქცევას თითოეულ ფილმში".

ამდენად, ბანდურას აზრით, სოციალური დასწავლა ხდება ყოველთვის, ეს მუდმივი პროცესია, რომელიც არ საჭიროებს არც ქცევის წინა პირობას და არც ქცევის შემდგომ განმტკიცებას, წახალისებას, დასჯას ან ნებისმიერ გარეგან რეაგირებას – დასწავლას ადგილი ექნება ყველა შემთხვევაში, განურჩევლად გარემო ფაქტორებისა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასწავლაზე საერთოდ არ მოქმედებს არანაირი ფაქტორი. ბანდურა აღწერს ოთხ პროცესს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დაკვირვებით დასწავლაზე:

1. **ყურადღების პროცესები**

   იმისათვის, რომ „მოდელისგან" რაიმე ისწავლო, მას აუცილებლად უნდა მიაქციო ყურადღება, უნდა დაინახო ის. თუ ოთხი წლის ბავშვი დაინახავს, რომ მის თანატოლს თამაშის დროს ძაღლმა უკბინა, ის შემდგომში თავადაც მოერიდება ძაღლს. მაგრამ თუ ამ დროს მისი ყურადღება მიპყრობილი იყო მეორე

თანატოლისაკენ, რომელმაც დანით ხელი გაიჭრა, მაშინ ის შემდგომში მოერიდება არა ძაღლს, არამედ დანის ხელში აღებას.

2. **მნემური პროცესები**

   იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია მომავალში გამოვიყენოთ, აუცილებელია მისი დამახსოვრება. მეხსიერებაში ინფორმაციის შენახვა ხატოვანი ან ვერბალური სიმბოლოების სახით ხდება. ბანდურა თვლის, რომ რაიმე მოვლენის მეხსიერებაში ასახვის დროს ვერბალური და ხატოვანი სიმბოლოები თანაბრად მონაწილეობს. შეუძლებელია, სიტყვის გახსენებამ არ გამოიწვიოს შესაბამის ხატის წარმოდგენა და პირიქით, სურათის შეხედვამ – მისი შესატყვისი სიტყვის ამოტივტივება.

3. **ქცევის ფორმირების პროცესები**

   ეს პროცესები განსაზღვრავს, რამდენად შესრულებადია ჩვენთვის ის, რაც დაკვირვებით ვისწავლეთ. ადამიანი შეიძლება ყურადღებით აკვირდებოდეს მაიმუნის ხტუნვას ხიდან ხეზე, ზუსტად დაიხსომოს მისი მოძრაობები, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ შეძლოს ეს ქცევა დაისწავლოს და გაიმეოროს, ვინაიდან ადამიანის ფიზიკური მონაცემები არ იძლევა ამის შესაძლებლობას. შესაბამისად, დასწავლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ფიზიკურად შეეძლოს ქცევის განხორციელება.

4. **მოტივაციური პროცესები**

   მართალია, ბანდურას მიერ განმტკიცება (ანუ ქცევის შედეგად მიღებული რეაგირება) არ არის გაგებული, როგორც ქცევის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი (როგორც ეს წარმოედგინა ბევრ მეცნიერს), იგი მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევს მას და ყურადღებას უთმობს თავის თეორიაში. ბანდურას თეორიაში განმტკიცება ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ჯერ ერთი, მის საფუძველზე დამკვირვებელს (ანუ მას, ვინც სწავლობს) უჩნდება მოლოდინი, რომ წახალისებული ქცევის გამეორების შემთხვევაში მასაც დააჯილდოებენ და მეორე – მოტივაციური პროცესების საფუძველზე აღიძვრება ნასწავლის გამოყენების მოთხოვნილება.

ბანდურას კონცეფცია, რომელიც **ურთიერთდეტერმინიზმის** სახელითაა ცნობილი, მდგომარეობს ადამიანის, გარემოსა და ადამიანის ქცევის თანაბარ ურთიერთზემოქმედებაში, ე. ი. ადამიანს შეუძლია, გარკვეული ქცევით ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. თავის მხრივ, გარემოც ზემოქმედებს ადამიანზე და იწვევს მისი ქცევის ცვლილებას.

სქემატურად ეს ასე გამოისახება:



ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა **თვითრეგულირებადია**. სხვა ადამიანების ქცევის დაკვირვების და საკუთარი გამოცდილების შედეგად, ადამიანს უყალიბდება ე. წ. **ქცევის სტანდარტები,** რომლებიც ქმნის თვითრეგულაციის და სხვა ადამიანების ქცევის შეფასების ძირითად ბაზას. თუკი სხვა ადამიანის ქცევა აღემატება საკუთარი თავისთვის დასახულ ქცევის სტანდარტებს, ქცევა ფასდება დადებითად, ხოლო თუ ის სტანდარტზე ბევრად უფრო ნაკლებია ან შეუსაბამოა, მაშინ უარყოფითად. ანალოგიურია ვითარება საკუთარი ქცევების შეფასების თვალსაზრისითაც. ქცევა, რომელიც ადამიანის მიერ შეფასებულია, როგორც სტანდარტის შესატყვისი, უფრო თავდაჯერებულს ხდის მას. და პირიქით, ქცევამ, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის მორალურ პრინციპებს, სტანდარტებს, შეიძლება გამოიწვიოს **უპატივცემულობა საკუთარი თავის მიმართ**; ამ იდეის განვითარების პროცესში ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა სიტუაციური ბუნებისაა, გარკვეული მექანიზმების გამოყენებით ადამიანი ადვილად ახერხებს აარიდოს თავი ამ უსიამოვნო განცდას. ბანდურა ასახელებს შვიდ ასეთ მექანიზმს:

1. **მორალური გამართლება** (იმიტომ მოვიპარე, რომ ჩემს შვილს შიოდა);
2. **წარმოდგენების შეცვლა** (თუ სიტუაციას თამაშის, ხუმრობის სახე აქვს, მაშინ საზოგადოებაში აგრესიის გამოვლენა მიუღებელ ქცევად არ ჩაითვლება);
3. **მომგებიანი შედარება** (მე ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მან უარესი ჩაიდინა, ასე რომ, ჩემი ქცევა ამის ფონზე სრულიად უწყინარია);
4. **პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარება** (იმიტომ გავაკეთე, რომ ასე მიბრძანეს, დამავალეს და ა. შ.);
5. **პასუხისმგებლობის განაწილება** (გადაწყვეტილება ჯგუფმა მიიღო და არა მე, მე დავემორჩილე);
6. **შედეგების იგნორირება ან დამახინჯება** (მე მხოლოდ ფეხი დავუდე, ის დაეცა, მაგრამ არაფერი არ უტკენია, წამოხტა და გაიქცა);
7. **დეჰუმანიზაცია** (თუ ადამიანს განიხილავ ადამიანური თვისებების არმქონედ, ანუ უღირსად, მაშინ მის მიმართ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა უფრო მარტივი ხდება);

8. **დანაშაულის სხვაზე მიწერა** (მართალია დავარტყი, მაგრამ მისი ბრალი იყო, თვითონ გამომიწვია, მე სულაც არ ვაპირებდი მის ცემას).

ქცევის თვითრეგულაციაში სტანდარტებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს **მომთხოვნელობის დონე**. ადამიანი, რომელსაც მომთხოვნელობის მაღალი დონე აქვს, უფრო თავდაჯერებული და მიზანსწრაფულია. ბანდურა მიიჩნევს, რომ აუცილებელია, მომთხოვნელობის დონე შეესაბამებოდეს ქცევის რეალურ შედეგს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი განიცდის იმედგაცრუებას და შეიძლება მიატოვოს ყველანაირი საქმიანობა.

ადვილი შესაძლებელია, ქცევის სტანდარტები და ადამიანის შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. თუ სტანდარტი უფრო მაღალია, ადამიანს, შესაძლოა, ჩამოუყალიბდეს დეპრესია, არასრულფასოვნების განცდა ან ქრონიკული გაუბედაობა. ბანდურა თვლის, რომ ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ ის დადებითად ფასდება არა გარეშე პირის, არამედ თავად ამ ადამიანის მიერ. ე. ი. თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება გარეგან განმამტკიცებელზე უფრო ძლიერია.

ლევ ვიგოტსკი

(1896-1934)

განვითარების სოციალურ-კულტურული თეორია

ლევ ვიგოტსკი, რუსი ფსიქოლოგი, მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი. მისი დაფუძნებულია დეფექტოლოგიის ინსტიტუტი მოსკოვში. ვიგოტსკის ეკუთვნის უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების კულტურულ-ისტორიული თეორია, ასევე, თავის ტვინში ფსიქიკური ფუნქციების სისტემური ლოკალიზაციის თეორია. მანვე ჩამოაყალიბა ბავშვის განვითარების სოციალურ-კულტურული თეორია. ვიგოტსკიმ მისცა დასაბამი მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ექსპერიმენტულ კვლევას განვითარების ჭრილში.

რადგან ბავშვი კონკრეტულ სოციალურ და კულტურულ გარემოში იბადება, მის ფსიქიკურ განვითარებას განსაზღვრავს სოციალური ურთიერთობები და კულტურული მონაპოვარი, მაგ. დამწერლობა, რიცხვითი სისტემა და სხვ. შესაბამისად, ბავშვის აზროვნებისა და ზოგადად, შემეცნებითი (კოგნიტური) სფეროს განვითარებაც კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ გარემოში ხდება, ბავშვისათვის მნიშვნელოვანი უფროსის (ავტორიტეტის) საშუალებით. ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის სოციალური ურთიერთობები წამყვან როლს ასრულებს. ვიგოტსკი ბავშვის განვითარებაში ყოველ ფსიქიკურ ფუნქციას ორ დონეზე განიხილავს: პირველია სოციალურ-ინტერფსიქოლოგიური დონე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვის ფსიქიკა სხვებთან სოციალურ ურთიერთობებში ყალიბდება; მეორეა ინდივიდუალური დონე – ინტრაფსიქოლოგიური, ანუ ამ ეტაპზე ბავშვის გარემოსთან ურთიერთობით მიღებული გამოცდილება შიდა პლანზე გადადის, რაშიც წამყვან როლს მეტყველება ასრულებს.

ვიგოტსკის თეორია ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. განვითარება სოციალურ-კულტურულ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს;
2. ბავშვი ცოდნას აგებს და არა პასიურად ითვისებს;
3. სწავლა წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას;
4. ფსიქიკურ განვითარებაში ცენტრალური ადგილი მეტყველებას უკავია.

კულტურას ორნაირი გავლენა აქვს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე: (ა) კულტურის საშუალებით ბავშვი ითვისებს ამ კულტურაში დაგროვილ ცოდნას, (ბ) კულტურა უზრუნველყოფს ბავშვს აზროვნების საშუალებებით, „იარაღებით".

მეტყველება ის იარაღია, რომლის საშუალებითაც უფროსი გადასცემს ცოდნასა და გამოცდილებას ბავშვს.

ბავშვის ინტელექტუალური განვითარება მის მიერ პრობლემის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გამოცდილების შედეგია, რომელსაც ბავშვი სწავლობს და იძენს ძირითადად მისთვის მნიშვნელოვანი უფროსის საშუალებით. დასაწყისში უფროსი ეხმარება ბავშვს და წარმართავს მას პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. შემდეგ კი, თანდათანობით, ბავშვს აძლევს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. შესაბამისად, განვითარების შეფასებისას, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამიჯვნას, თუ რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს დამოუკიდებლად და რისი – სხვისი დახმარებით. ამის გასამიჯნად ვიგოტსკის შემოაქვს „**განვითარების უახლოესი ზონის**" ცნება: ბავშვის განვითარების კანონზომიერება ისეთია, რომ ბავშვის უნარები გარკვეულ პერიოდში მწიფდება და ის ამ უნარებს სრულფასოვნად იყენებს. მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ მას რომელიმე ფსიქიკური უნარი უკვე აქვს, მაგრამ ეს უნარი განვითარების სტადიაშია, შესაბამისად, ბავშვს მისი სრულად გამოყენება ჯერ არ შეუძლია. ამ შემთხვევაში ბავშვი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ამოცანისათვის თავის გართმევას, მაგრამ სხვისი დახმარებით ადვილად წყვეტს მას. თუ უფროსმა ე. წ. „ხარაჩოები" შეაშველა, ზოგიერთი ბავშვი წარმატებით მოახერხებს პრობლემის გადაჭრას. იმავე ასაკის სხვა ბავშვს შეიძლება ჯერ კიდევ არ ჰქონდეს ეს უნარი, ამიტომ უფროსის დახმარებითაც კი ის პრობლემურ სიტუაციას ვერ გაუმკლავდება. ეს ორი ბავშვი სწორედ "განვითარების უახლოესი ზონით" განსხვავდება. დამოუკიდებლად ვერცერთი ვერ წყვეტს პრობლემას, მაგრამ ერთი ბევრად უფრო წინაა, რადგან მას უფროსის დახმარებით შეუძლია პრობლემურ სიტუაციაში გარკვევა. ვიგოტსკის მიხედვით, ეს ბავშვი "განვითარების უახლოეს ზონაში იმყოფება". მისი თეორიის მიხედვით, სწავლება ისე უნდა იყოს აგებული, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვის „განვითარების უახლოესი ზონა", ანუ სწავლება ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას.

ბავშვის განვითარებასთან ერთად და უფროსთან ურთიერთობის პროცესში წამყვანი ხდება მეტყველება. მეტყველება ხდება როგორც საკუთარი მოქმედების დაგეგმვისა და რეგულაციის, ასევე სხვებზე ზემოქმედების იარაღი. პიაჟეს ცნობილ ინტერიორიზაციის, ანუ „გარეგანი მოქმედების გათავისების პროცესს", ვიგოტსკის მიხედვით, მეტყველება უდევს საფუძვლად.

ვიგოტსკის თეორიაში ასევე მნიშვნელოვანია "უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის" ცნება. მისი საშუალებით ის ხსნის, თუ რა ფსიქოლოგიურ ცვლილებებსა და გარდაქმნებს იწვევს განვითარებაში მეტყველების დაუფლება და მისი იარაღად გამოყენება. ვიგოტსკის მიხედვით, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქცია (მაგ. მეტყველება)

იმით განსხვავდება ელემენტარულისგან (მაგ. საკვების მიღება), რომ ის სოციალური ურთიერთობის საფუძველზეა შეძენილი, ნიშნით ან დამხმარე საშუალებებით არის გაშუალებული, მას ნებელობა აკონტროლდებს და ის სხვა ფუნქციებთან არის მჭიდრო კავშირში. მაგ., მეტყველება უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციაა, რომელსაც ბავშვი სოციალური ურთიერთობის საფუძველზე ეუფლება; ის გაშუალებულია ენით (როგორც იარაღით) და კულტურული კონტექსტით; მას ნებელობა აკონტროლდებს და ის მჭიდროდაა დაკავშირებული აღქმასთან, მეხსიერებასა და აზროვნებასთან.

ვიგოტსკის განვითარების სოციალურ-კულტურული თეორიის მიხედვით, მასწავლებელი ცოდნის გადამცემი, ხოლო მოსწავლე ცოდნის პასიური მიმღები არ არის, სწავლების პროცესი თანამშრომლობაა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, როდესაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. მასწავლებელი მოსწავლეთა „განვითარების უახლოესი ზონის" გათვალისწინებით ინდივიდუალურ მიდგომას არჩევს, რათა დაეხმაროს მათ და ამით ხელს უწყობს მათი უნარების განვითარების სტიმულირებას. მოსწავლე სწავლობს უფროსთან და თანატოლებთან ინტერაქციის (ურთიერთობის) საფუძველზე. მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მათი განვითარების აქტუალური დონე, ასევე "განვითარების უახლოესი ზონაც".

ვიგოტსკი საკუთარი თეორიის ასახსნელად ასეთ მაგალითს გვთავაზობს: ორი ბავშვის ინტელექტის ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ ორივე მათგანის გონებრივი განვითარება შეესაბამებოდა 7 წლის ასაკისათვის დამახასიათებელ დონეს. ერთი მათგანი მიმანიშნებელი კითხვებისა და თვალსაჩინო მასალების დახმარებით ადვილად ჭრიდა თავის აქტუალურ გონებრივ განვითარებაზე ორი წლით უფროსი ბავშვისთვის განკუთვნილ ტესტურ დავალებებს, ხოლო მეორე ბავშვი უფროსების ხელმძღვანელობითა და თვალსაჩინო მასალების გამოყენებით ახერხებდა, გადაეჭრა თავისი განვითარების აქტუალურ დონესთან შედარებით მხოლოდ 6 თვით უფროსი ბავშვისთვის განკუთვნილი დავალებები. აქედან გამომდინარე, სწავლების დროს პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს, რა იციან ბავშვებმა, რა დონეზე არიან და რისი გაგებისა და შესწავლის შესაძლებლობა აქვთ მოცემული მომენტისათვის. ანუ, მათ უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეების განვითარების აქტუალური დონე და „განვითარების უახლოესი ზონა".



ჯონ დიუი
(1859-1952)

პროგრესული განათლება და სწავლა გამოცდილებით

ჯონ დიუი – ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების რეფორმატორი. დიუი ამერიკული პრაგმატიზმის[11] წარმომადგენელი და ინსტრუმენტალიზმის[12] ფუძემდებელია. ის არის ავტორი ცნობილი ნაშრომისა "დემოკრატია და განათლება" (1916). დიუი თვლიდა, რომ კარგი განათლება არის ის, რაც ეხმარება ადამიანს საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრად ჩამოყალიბებაში. დიუის არ შეუქმნია სწავლების თეორია, მაგრამ მისმა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განათლების მიზნისა და პრინციპების თანამედროვე მიდგომებზე.

დიუის მიხედვით, განათლების პრინციპები **გამოცდილების თეორიას** უნდა ეყრდნობოდეს. მისი გამოცდილების თეორიაში ორი ცენტრალური ცნებაა: 1. **უწყვეტობა,** რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი დაბადებიდან გამოცდილების მიღების საშუალებით სწავლობს, რაც გავლენას ახდენს მის შემდგომ ქცევაზე. უწყვეტობა გულისხმობს წინა გამოცდილებით ადამიანის შემდგომი გამოცდილებისა და ცოდნის განპირობებულობას.

2. ინტერაქცია აღწერს და ხსნის იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებს წარსული გამოცდილება აწმყო სიტუაციაზე ახალი გამოცდილების შესამუშავებლად. დიუის ჰიპოთეზის მიხედვით, ჩვენი აწმყო გამოცდილება წარსული, შენახული გამოცდილების ფუნქციაა, რომელიც ზემოქმედებს მიმდინარე სიტუაციაზე და ახალი გამოცდილების საფუძველი ხდება.

შესაბამისად, სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წარსული გამოცდილების ცოდნა და მისი დაკავშირება ახალ მასალასთან. ამ გზით

---

[11] მე-19 საუკუნის II ნახევრის ამერიკული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ეფუძნება ჩ. პირსის "პრაგმატულ მაქსიმას". მის მიხედვით, თეორია და იდეა ჭეშმარიტია, თუ ის პრაქტიკულია და შედეგიანი.

[12] ინსტრუმენტალიზმი, იგივე ექსპერიმენტალიზმი – ამერიკული ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის ძირითადი დებულება შემდეგში მდგომარეობს: მეცნიერული ცნებისა და თეორიის ღირებულება განისაზღვრება არა მათი ჭეშმარიტება-მცდარობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტური და სასარგებლოა სინამდვილის ახსნისა და წინასწარმეტყველებისათვის. ობიექტი და იდეა ღირებულია, თუ შესაძლებელია მათი მოქმედების ინსტრუმენტად გამოყენება.

მასწავლებელი აზრიანს და მოსწავლისათვის მნიშვნელოვანს ხდის ახალ ინფორმაციას და ამით ხელს უწყობს მის ეფექტურ დასწავლას.

დიუის შეხედულებით, **ცოდნა** ობიექტის იმ კავშირების გაცნობიერებაა, რაც მისი გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს კონკრეტულ სიტუაციაში. **სწავლა** აქტიური პროცესია, რაც აუცილებლად პრაქტიკულ მოქმედებებს მოიცავს, რადგან სუბიექტი სწავლობს თავისი მოქმედებების საშუალებით. **სწავლება** კი აქტიური პროცესია, რომლის დროსაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს საკუთარ გამოცდილებასთან დააკავშიროს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ის შესაბამის სიტუაციაში.

დიუის შეხედულების მიხედვით, განათლების მიზანია არა მხოლოდ ფაქტების სწავლება და ცოდნის ათვისება, არამედ პიროვნების ცოდნისა და უნარების ინტეგრირება მისი მოქალაქედ და პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით. დიუი თვლის, რომ სწავლება პრაქტიკული ელემენტის გარეშე არაეფექტურია, ამიტომ "სწავლა კეთებით" სწავლების მნიშვნელოვანი პრინციპი უნდა იყოს.

დიუის მიხედვით, სწავლება ეფექტურია, თუ ძირითადი ყურადღება ექცევა პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას და არა მასალის, ფაქტების დამახსოვრებას.

ჯერომ ბრუნერი

1915

აღმოჩენებით სწავლის თეორია

ჯერომ სეიმურ ბრუნერი – ამერიკელი ფსიქოლოგი, კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1952-72 წლებში იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, 1972-1980 წლებში კი – ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი განვითარებისა და სწავლის თეორია კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება. ბრუნერის მიხედვით, სწავლა აქტიური სოციალური პროცესია, როდესაც ბავშვი თავისი გამოცდილების საფუძველზე ახალი ცოდნის კონსტრუირებას ახდენს. ამ თვალსაზრისით ცოდნაც პროცესია და არა პროდუქტი. მის თეორიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლ. ვიგოტსკის იდეებმა.

ბრუნერის **აღმოჩენებით სწავლის თეორია** კოგნიტურ თეორიებს მიეკუთვნება. კოგნიტური თეორიების მიზანი შემეცნებითი პროცესების (გადაწყვეტილების მიღება, პრობლემის გადაჭრა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დახსომება) სტრუქტურისა და ფსიქოლოგიური მექანიზმების აღწერაა. ზოგიერთი კოგნიტური თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლებისათვის, რადგან ისინი ნათელ და თვალსაჩინო პედაგოგიურ მეთოდებსა და მოდელებს გვთავაზობენ.

კოგნიტური ფსიქოლოგია იკვლევს, როგორ იღებს მოსწავლე ინფორმაციას გარემოდან, როგორ ახდენს ამ ინფორმაციის ორგანიზებასა და ინტერპრეტაციას, როგორ იყენებს ცოდნას.

ბრუნერის მიხედვით, სწავლა გულისხმობს ბავშვის მიერ ინფორმაციის შერჩევას, ჰიპოთეზების შექმნას და ამ გზით ახალი მასალის ინტეგრირებას მის ცოდნასთან. სწავლა უწყვეტი პროცესია და ბავშვი განვითარების სამ საფეხურს გაივლის: პრაქტიკული – ამ საფეხურზე ბავშვი კონკრეტულ გამოცდილებას იღებს გარემოს შესახებ (ობიექტებით მანიპულაცია), პრაქტიკული ქმედებები; ხატოვანი – ამ საფეხურზე ბავშვს შეუძლია ობიექტის თვალსაჩინო ხატით მანიპულირება და არა მხოლოდ ობიექტით; სიმბოლური – ბავშვს უკვე შეუძლია ლოგიკისა და სიმბოლური სისტემების გამოყენება. ჩვევებისა და ცოდნის ათვისება უკეთ ხდება, თუ ბავშვი გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების, ექსპერიმენტირების პროცესში აღმოაჩენს რაიმე მიმართებას, ფენომენს თუ ცნებას.

გარემოს შეცნობისას ჩვენ გამოვყოფთ საერთო ელემენტებს (აბსტრაჰირება) როგორც მოვლენებიდან, ასევე ჩვენი გამოცდილებიდან. ამ აბსტრაქციების საფუძველზე შევიმუშავებთ წესებს, რომლებიც გარე სამყაროს კლასიფიცირების საშუალებას გვაძლევენ. ამ პროცესში ჩვენ აღმოვაჩენთ და თავადაც ვქმნით ცნებათა შორის უამრავ ურთიერთკავშირს. ბრუნერს „ცნების" ნაცვლად შემოაქვს ტერმინი – **კატეგორია**, რომელსაც ის იყენებს მოვლენების ან ობიექტების მონათესავე ჯგუფების აღწერის დროს. ამ მოსაზრებით კატეგორია შეიძლება გავიგოთ როგორც ცნება (კონცეპტი) და როგორც აღქმის ობიექტი (პერცეპტი). ბრუნერი კატეგორიას უწოდებს აგრეთვე ობიექტების ერთი კლასისთვის მიკუთვნების წესს.

ბრუნერის აზრით, ცნებათა შორის დამოკიდებულებებს **კოდირების სისტემა** განსაზღვრავს. კოდირების სისტემის მეშვეობით ხდება არსებული განზოგადებული ცნებების იერარქიული მოწესრიგება. ამით ჩვენი ხანგრძლივი მეხსიერება (ჩვენი შედარებით მუდმივი ცოდნის, უნარების, შთაბეჭდილებების და ა. შ. ყულაბა) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კატეგორიების სტრუქტურირება კოდირების სისტემის საფუძველზე. ყველა სასკოლო საგანს, მასში შემავალი თითოეული თემით, მსგავსი სტრუქტურა აქვს. საგნის სტრუქტურა, ბრუნერის აზრით, იმ სფეროს ფუნდამენტურ ურთიერთკავშირებსა და იდეებს ასახავს, რომელსაც ეს საგანი მიეკუთვნება. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ მოსწავლემ საგანი ნამდვილად კარგად შეისწავლოს და გაიაზროს, მან აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი კოდირების სისტემა – საკუთარი გონებრივი წარმოდგენები ამ მნიშვნელოვან იდეებსა და დამოკიდებულებებზე.

კოდირების სისტემის გრაფიკული ილუსტრაცია ასეთია:



უმჯობესია, კოდირების სისტემა თავად შექმნას მოსწავლემ, ვიდრე დასრულებული სახით მიიღოს ის მასწავლებლისგან. ბრუნერი თვლის, რომ მოსწავლე თავად ქმნის საკუთარ ვერსიას რეალობის შესახებ, არსის შესახებ, სკოლების დანიშნულება კი უნდა იყოს საამისოდ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გაუადვილებენ მოსწავლეებს ამ დამოკიდებულებების აღმოჩენას. **აღმოჩენებით სწავლა** დასწავლის ისეთი სახეა, როდესაც მოსწავლეებს მასალა დაუსრულებელი სახით მიეწოდებათ და მათ ამ მასალის ორგანიზება მოეთხოვებათ. ეს მოსწავლეებს აიძულებს, მონახონ ის ურთიერთკავშირები, რომლებიც ამ მასალის ელემენტებს შორის არის. ბრუნერის თეორიაში აღმოჩენა კატეგორიის ფორმირებაა, ან უფრო ხშირად კოდირების სისტემის ფორმირება, რაც ხშირად ობიექტებს ან მოვლენებს შორის მიმართების *(მსგავსი და განსხვავებული)* ტერმინებში გამოისახება.

აღმოჩენებით სწავლა მასწავლებლის მხრიდან ბევრად უფრო ნაკლებ მონაწილეობას და ხელმძღვანელობას მოითხოვს, ვიდრე სწავლების სხვა მეთოდები; თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი აღარ აძლევს მოსწავლეს მითითებებს მას შემდეგ, რაც საწყისი ამოცანა დაუსახა. ამასთან, მითითებები უნდა იყოს ზომიერი, გარკვეული ინტერვალებით, რათა არ შეზღუდოს მოსწავლის დამოუკიდებლობა, ანდა მოსწავლე არ აღმოჩნდეს დაუძლეველი პრობლემის წინაშე.

აღმოჩენებით სწავლების მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ ის აიოლებს ინფორმაციის გადატანასა და დახსომებას, ავითარებს პრობლემის გადაჭრის უნარს და ზრდის მოტივაციას. ძალიან ხშირად აღმოჩენები კლასში ისევე მიმდინარეობს, როგორც ეს მეცნიერული კვლევის დროს ხდება – მოსწავლეები განზოგადებული დასკვნების ძიებაში სისტემურად დგამენ ლოგიკურ ნაბიჯებს. მასწავლებლის, როგორც ამ პროცესის წარმმართველის, დასწავლის ხელშემწყობის როლი სწორედ იმაშია, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, შეიმუშაონ ჰიპოთეზები, იმსჯელონ, გააკეთონ დასკვნები. ბრუნერი მოკლედ აღწერს აღმოჩენებით სწავლების საფეხურებს:

- ამოცანის ან კითხვის ფორმულირება და ახსნა;
- მაგალითების შერჩევა, შესატყვისი დაკვირვებების წარმოება;
- ჰიპოთეზების (დაკვირვებებზე დაფუძნებული ინტელექტუალური მიგნებები) წამოჭრა;
- ჰიპოთეზების დამტკიცების ან უარყოფის მიზნით ექსპერიმენტების, ან რაიმე სხვა დაკვირვებების შემუშავება და ჩატარება;
- ახალი ინფორმაციის გამოყენება, გაფართოება, განზოგადება ან „მისი საზღვრებიდან გამოსვლა".

ბრუნერი თვლის, რომ ეფექტური სწავლებისათვის ყველაზე ადეკვატურია ე. წ. **"სპირალური კურიკულუმი"-** სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ

ყოველი ახალი ცნება წინათ დასწავლილსა და წინა გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს.

ბრუნერი გამოყოფს აღმოჩენებით სწავლების ხელშემწყობი ან ხელისშემშლელი ფაქტორების ოთხ ჯგუფს:

განწყობა – მოსწავლე განწყობილი უნდა იყოს განსაზღვრული ფორმით რეაგირებისთვის. განწყობის შესაქმნელად გამოიყენება **გეზის მიცემა,** რომელიც შეიძლება იყოს „ზედაპირული", როცა ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ინფორმაციის ელემენტების დასწავლაზე და „ჩაღრმავებული", როცა მოსწავლეებს მოეთხოვებათ ამ ელემენტებს შორის დამოკიდებულებების ძიება. სწავლებისას მთავარია ფაქტებს, მოვლენებს შორის ურთიერთმიმართებების, სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი გაგება.

სწავლისადმი მზაობა – მოსწავლე დაინტერესდება ახალი ინფორმაციით და არ დაფრთხება მისი სირთულით, თუ ახალი მასალა წინა გამოცდილებას და წინათ ათვისებულ მასალას ეყრდნობა.

სწავლების მრავალფეროვნება – ეს ცვლადი მეტად მნიშვნელოვანია აღმოჩენებით დასწავლის გასაადვილებლად. მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას იღებს სრულიად განსხვავებულ პირობებში, უფრო სწრაფად აგებს კოდირების სისტემას და ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას. სწორედ ამიტომ ბრუნერი იძლევა რჩევას, რომ ერთიდაიგივე საგანი სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ისწავლებოდეს, მაგრამ განსხვავებული სიზუსტისა და აბსტრაჰირების ხარისხით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება მოსწავლეების ინტერესები, უნარები და საბაზო ცოდნა.

"სპირალური კურიკულუმი" უზრუნველყოფს სწავლებისადმი მზაობასა და მის მრავალფეროვნებას.

კონკრეტული შინაარსების ფლობა – ბრუნერის აზრით, აღმოჩენებს უფრო ხშირად ის ადამიანი აკეთებს, ვინც საამისოდ კარგადაა მომზადებული. თუ მოსწავლემ არ იცის ინფორმაციის საგანთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები, ის ვერ დააკავშირებს ინფორმაციის ელემენტებს ერთმანეთთან და ვერც განაზოგადებს მას.

კარლ როჯერსი

(1902-1987)

ჰუმანისტური ფსიქოლოგია და სწავლა გამოცდილებით

ამერიკელმა ფსიქოლოგმა და ფსიქოთერაპევტმა, კარლ რენსომ როჯერსმა, რომელიც ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი იყო, ფსიქოლოგიური განათლება მიიღო ვისკონსინისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში. როჯერსი სამედიცინო ფსიქოლოგიის პროფესორი იყო ოჰაიოს უნივერსიტეტში, 1945-46 წლებში – გამოყენებითი ფსიქოლოგიის ამერიკული ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო 1956-58 წლებში – ფსიქოთერაპევტთა აკადემიის პრეზიდენტი.

როჯერსის პიროვნების თეორიის ძირითადი ცნებებია: **„მე-კონცეფცია"**, **„ფენომენოლოგია"** და **„თვით-აქტუალიზაციის ტენდენცია"**.

როჯერსი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ქცევა გარეგან სტიმულზე – გარემო რეალობაზე, უფრო მეტად სუბიექტურ გამოცდილებაზე – სუბიექტურ რეალობაზეა დამოკიდებული. ორგანისმს, გარემოსთან ურთიერთქმედების საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, თანდათანობით უყალიბდება მე-ს ცნობიერება, **მე-კონცეფცია**, ანუ საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა. მე-კონცეფცია ადამიანის გრძნობებისა და შეხედულებების ერთობლიობაა საკუთარ თავზე, საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებსა და თვისებებზე, სხვა ადამიანებსა და მათ დამოკიდებულებებზე. მე-ს ცნობიერების ჩამოყალიბება ბავშვის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. მის საფუძველზე აფასებს პიროვნება საკუთარ თავს, გარემოს, სხვა ადამიანების მისდამი დამოკიდებულებას და ა. შ.

როჯერსი მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთმიმართებას ორგანიზმის აქტუალურ განცდასა და მე-კონცეფციას, თვით-აღქმას შორის. როდესაც ცნობიერებაში ასახული განცდები, ანუ მე-ს შესახებ წარმოდგენები რეალურად ასახავს ორგანიზმის მდგომარეობას (განცდები, შთაბეჭდილებები), პიროვნება კარგად ადაპტირებულია და სრულად ფუნქციონირებს. ასეთი ადამიანის აზროვნება რეალისტურია, ის გრძნობებსა და განცდებს შიშისა და შფოთვის გარეშე იღებს. თუ წინააღმდეგობაა მე-კონცეფციასა და ორგანიზმის განცდებს შორის, ასეთ შემთხვევაში პიროვნებას უჩნდება შფოთვა და შიში, მისი ქცევა თავდაცვითი ხასიათისაა, ხოლო აზროვნება – შეზღუდული და რიგიდული.

თვით-აქტუალიზაციის ტენდენცია ადამიანის მე-სა და ორგანიზმის თანდაყოლილი უნარია. ის გულისმობს ადამიანის განვითარებასა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას. პიროვნული ზრდა და განვითარება წინააღმდეგობების გადალახვის, პრობლემის გადაწყვეტის გამოცდილების შედეგია. მართალია, თვით-აქტუალიზაცია ადამიანის თანდაყოლილი უნარია, მაგრამ როჯერსის მიხედვით, ის აღზრდის შედეგად ყალიბდება. უფროსების ბავშვისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს მის თვით-აღქმას, შეხედულებას საკუთარ თავზე და თვით-აქტუალიზაციას. კერძოდ, როჯერსი თვლის, რომ **"უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება"** თვით-აქტუალიზაციის აუცილებელი პირობაა. ასეთი დამოკიდებულება ადამიანს თვით-პატივისცემისა და ღირსების გრძნობას უყალიბებს.

ბავშვს უნარების განვითარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის მოთხოვნილება უახლოეს სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში უყალიბდება. უფროსების შეფასებები და მის ქცევაზე რეაგირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მე-კონცეფციის ჩამოყალიბებასა და პიროვნების თვითშეფასებაზე. სწორედ უფროსის მხრიდან **უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება, გულწრფელობა, მიმღებლობა და გაგებაა** ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც **კონგრუენტული** პიროვნების ფორმირებასა და მისი თვით-აქტუალიზაციის მოთხოვნილების (ანუ განვითარებისა და საკუთარი თავის რეალიზების მოთხოვნილების) ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

როჯერსი მიიჩნევს, რომ სამყარო **ფენომენალური**, პირადულია თითოეული ადამიანისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი გარემოზე რეაგირებს საკუთარი ინდივიდუალური აღქმისა და შეგრძნებების საფუძველზე. მისი გარემოსთან ურთიერთობის გამოცდილება იმდენად უნიკალურია, რომ შეუძლებელია მის განცდებს ბოლომდე ჩაწვდეს მეორე ადამიანი. სწორედ ამიტომ როჯერსი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანურ ურთიერთობებში ემპათიის გამოვლენას.

როჯერსი სწავლების ჰუმანისტური მოდელის მიმდევარია. ის გამოყოფს ორი სახის სწავლას: კოგნიტურს (რაც მოკლებულია მნიშვნელობას, რადგან უპიროვნოა) და გამოცდილებაზე დაფუძნებულს (მიზნობრივს, მნიშვნელოვანს, პიროვნულს). პირველი სახისაა ისეთი ცოდნის ათვისება, როგორიცაა მაგ. ლექსიკონის გამოყენების, გამრავლების ტაბულის სწავლა. მეორეა ისეთი ცოდნის შეძენა, როგორიცაა მაგ. ძრავების შესწავლა მანქანის შეკეთების მიზნით. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ გამოცდილებით სწავლება მოსწავლის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს აკმაყოფილებს.

გამოცდილებით სწავლების მახასიათებლებია: პიროვნული ჩართულობა, მოსწავლის ინიციატივა, სწავლის შედეგების თვითშეფასება. შესაბამისად,

მასწავლებელი ინფორმაციის გადამცემი კი არ არის, არამედ სწავლის ფასილიტატორი, ხელის შემწყობია. მასწავლებელი მოსწავლეს უქმნის ისეთ გარემოს, რომელიც კომფორტულია და საფრთხეს არ უქმნის მის მე-ს, მის თვით-აღქმას და კარგი პირობაა თვით-აქტუალიზაციისთვის. მოსწავლე მოწადინებულია, გაიგოს ახალი, განვითარდეს, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს, რადგან მას პატივს სცემენ, აფასებენ, გულწრფელად მხარს უჭერენ, უპირობო დადებითი დამოკიდებულება აქვთ მისდამი. ამ სიტუაციაში მოსწავლეს არა აქვს ექსპერიმენტირების, შეცდომის დაშვების შიში და ადვილად შეძლებს ქცევის თვით-მართვის ჩვევების დაუფლებას.

გამოცდილებით სწავლების ძირითადი პრინციპებია:

1. სწავლა მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლისთვის, თუ ის მის პიროვნულ ინტერესებს შეესატყვისება.
2. სწავლების პროცესი მიუღებელი და საშიშია მოსწავლისათვის, როდესაც მის მე-კონცეფციას საფრთხე ექმნება (რთული მასალა, ახალი ტიპის დავალებები, ახალი მოთხოვნები). ამ შემთხვევაში აუცილებელია მოსწავლის შიშისა და შფოთვის მინიმუმამდე დაყვანა.
3. სწავლა სწრაფი და პროდუქტულია, თუ ის საშიში არ არის თვით-აღქმისა და მეᲮთვის.
4. სწავლაში მოსწავლის მხრიდან გამოვლენილ ინიციატივას ხანგრძლივი და მყარი ეფექტი აქვს.

„ხელის შემწყობი", ფასილიტატორი მასწავლებელი:

- მოქნილია თავის შეხედულებებსა და დამოკიდებულებებში;
- შეუძლია მოსწავლეთა მოსმენა და მათი განცდების გაგება;
- საგნის სწავლებასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა შორის დამოკიდებულებებს და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობას;
- ღიაა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მისაღებად, საკუთარი თავისა და ქცევის ღრმად გასააზრებლად.

გამოცდილებით სწავლების შემთხვევაში მოსწავლეები:

- პასუხისმგებლობას იღებენ დასწავლის პროცესზე და სწავლობენ დამოუკიდებლად სწავლას;
- თავიანთი წვლილი შეაქვთ სწავლების პროცესში ჰიპოთეზების ჩამოყალიბების, ცდისა და დასკვნების საშუალებით;
- ეჩვევიან საკუთარი მიღწევების, სწავლის შედეგების შეფასებას, მიზნების დასახვასა და ისეთი სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენებას, რომლებიც დაეხმარება მათ პრობლემის გადაჭრაში და ახალი მასალის უკეთ გაგებაში.

დიმიტრი უზნაძე

(1886-1950)

განწყობის თეორია

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და „განწყობის თეორიის" ავტორია. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას. მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ქცევის ფორმა ანიჭებს ყოველ ასაკობრივ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გარკვეულ ელფერს.

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ურთიერთობას. ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ საგანი უშუალოდ როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის აქტს. უზნაძე ქცევის პროცესს ასე აღწერს: ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს, ესენია: **ექსტეროგენური ქცევა** და **ინტროგენური ქცევა**.

ექსტეროგენურია ქცევა, როდესაც ის იმპულსს იღებს გარედან (საგნისგან) და წარიმართება გარედან განსაზღვრული განწყობით. მაგრამ როდესაც ორგანიზმს არა აქვს რაიმე საგნობრივი, პრაქტიკული მოთხოვნილება, ის პასიურ, უმოქმედო მდგომარეობაში კი არ არის, არამედ მას თავად **აქტივობის,** მოქმედების მოთხოვნილებაც აქვს. მოთხოვნილებას, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება მაშინ, როდესაც მისი ძალები უმოქმედოდ რჩება და ის აღარაა იძულებული გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდეს, უზნაძე **ფუნქციონალურ ტენდენციას** უწოდებს. ამ შემთხვევაში ქცევა (აქტივობა) გარედან კი არ არის განსაზღვრული, არამედ შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობს და იმ განწყობით წარიმართება, რომელიც გარკვეული სახით სუბიექტის გამოცდილებიდან

მომდინარეობს. ეს ქცევა თავისუფალია გარე იძულებისგან, **ის** ორგანიზმის შიგნიდან წარმოიშობა, ამიტომ მას უზნაძე **ინტროგენურ ქცევას** უწოდებს.

უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით,

ექსტეროგენური ქცევის ფორმებია:

- მოხმარება
- მომსახურება
- შრომა
- საქმე

ინტროგენური ქცევის ფორმებია:

- ესთეტური ტკბობა
- ხელოვნება, შემოქმედება
- თამაში
- სპორტი

თამაშს უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის სპეციფიკურ ფორმად. ადრეული ბავშვობის ასაკში თამაშის გარდა ქცევის სხვა ფორმები, განსაკუთრებით ექსტეროგენური, ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა თამაში დამახასიათებელია არა მხოლოდ ადრეული ბავშვობის ან სკოლამდელი ასაკისათვის, არამედ სასკოლო (8-10 წლის) და მოზრდილი ასაკისთვისაც. თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს **ფუნქციის სიამოვნება,** ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის არის თვით აქტივობისგან სიამოვნების მიღება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სწავლა**, როგორც ქცევის ფორმა.

უზნაძე მიიჩნევს, რომ ქცევის ფორმები ადამიანის ცხოვრებაში ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ ხშირად რთულია ესა თუ ის კონკრეტული ქცევა რომელიმე აღნიშნულ ფორმას მიაკუთვნო. სწორედ ასეთი ქცევის ფორმაა **სწავლა**. თუ ჩავთვლით, რომ სწავლა შრომის, კერძოდ კი გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეობაა, მაშინ ის ქცევის ექსტეროგენური ფორმა უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არაა. იმისათვის, რომ ვნახოთ, არის თუ არა მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც სწავლასა და შრომას შორის, ერთმანეთს უნდა შევადაროთ ამ ორი ქცევის პროდუქტი. როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, მხედველობაში ყოველთვის ის გარკვეული პროდუქტი გვაქვს, რომლის შესაქმნელადაც შრომითი ენერგია დავხარჯეთ. შრომის ცნება, გარდა ამ პროდუქტის შექმნისა, არანაირი სხვა ეფექტის მოცემას არ გულისხმობს. რაც შეეხება სწავლას, აქ საქმე სულ სხვაგვარადაა. მაგალითად, ბავშვს ვასწავლით წერას. მან უკვე ისწავლა ასოების წერა, შემდეგ ორი სიტყვის დაწერა შეძლო. ამ პროცესში ის სწავლობს არა მხოლოდ იმ კონკრეტული ასოების ან სიტყვების წერას, არამედ იძენს თავისი კუნთების განსაზღვრული მიმართულებით აქტიურად ამოქმედების უნარს, რაც ეხმარება სხვა ასოების, სხვა სიტყვების ადვილად

დაწერაში. ამიტომაა, რომ აღარ არის აუცილებელი ბავშვს ვასწავლოთ სათითაოდ ყველა სიტყვის დაწერა. წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეუძლია ისეთი სიტყვის დაწერაც, რომელიც არათუ არასოდეს დაუწერია, არამედ არც არასდროს გაუგია.

სწავლის ცნება ძალიან ფართოა. არ არსებობს არცერთი ექსტეროგენური ქცევის ფორმა, რომლის სწავლის საგნად გადაქცევაც არ შეიძლება. უფნაძე ამას სწავლის გენერალურ ხასიათს უწოდებს და იმით ხსნის, რომ სწავლის დროს მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმ ჩვევების, უნარებისა და ცოდნის შეძენა, რასაც ამ დროს ბავშვი იღებს, არამედ მოზარდის ძალების განვითარება განსაზღვრული მიმართულებით. სწორედ ამ თვისებით ჰგავს სწავლა თამაშს, ანუ მოზარდის ძალთა განვითარება ისეთივე სპეციფიკურია სწავლისთვის, როგორც თამაშისათვის. თამაშიც, თავის მხრივ, ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორიც სწავლა. აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ თამაში და სწავლა ქცევის ერთსა და იმავე ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ეს ასე არ არის. თამაშის დროს ქცევის იმპულსი *ფუნქციონალური ტენდენციაა,* ანუ ამ ასაკის ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტური იქნება, თუ თამაშს გამოვიყენებთ, ანუ თუ სწავლა წარიმართება თამაშით.

როდესაც სწავლის შესახებ ვსაუბრობთ, ძნელია იმის თქმა, რომ ქცევის იმპულსი აქაც *ფუნქციონალური ტენდენციაა.* სწავლა ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ისწავლება, ანუ მოსწავლეს ვაწვდით საგანს გარედან, გარედან ავამოქმედებთ მის ძალებს, ე. ი. სწავლა, როგორც ქცევა იგება გარეგან იმპულსზე. როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში მეტყველების ფუნქცია მოუმწიფდება, უჩნდება შინაგანი იმპულსი – მეტყველების ფუნქციის ამოქმედების ტენდენცია, მაგრამ თუ ჩვენ მას გარედან არ მივაწოდეთ გარკვეული ენობრივი მასალა, შეუძლებელია, დაკმაყოფილდეს მისი ფუნქციონალური ტენდენცია.

ამრიგად, სწავლა არის ქცევის სრულიად თავისებური ფორმა, რომელიც არ შეიძლება იყოს გაიგივებული თამაშთან, შრომასთან თუ ქცევის რომელიმე სხვა ფორმასთან. სწავლა შეიცავს როგორც ექსტეროგენური, ასევე ინტროგენური ქცევის ფორმების ელემენტებს და ამასთანავე განსხვავდება თითოეული მათგანისგან.



ბენჯამენ ბლუმი

(1913-1999)

განათლების მიზნების ტაქსონომია

ბენჯამენ ბლუმი, დოქტორი განათლების დარგში, 1940 წლიდან მოღვაწეობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. 1948 წლიდან ბლუმი ხელმძღვანელობდა განათლების ფსიქოლოგიის კომიტეტს, რომლის მიზანი იყო სასწავლო ქცევების კატეგორიების იდენტიფიკაციის სისტემის შემუშავება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ბლუმმა მუშაობა სწავლის მიზნებისა და სწავლების შედეგების კლასიფიკაციის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც გამოდგებოდა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ობიექტური შეფასებისათვის. ეს სისტემა ”ბლუმის ტაქსონომიის” სახელწოდებით არის ცნობილი და ჩამოყალიბებულია ბლუმის და მისის თანამოაზრეების ცნობილ სამტომეულ ნაშრომში: „განათლების მიზნების ტაქსონომია” (1956; 1964; 1970).

ტაქსონომია არის კლასიფიკაციის პრინციპების საფუძველზე ჯგუფების, კატეგორიების გამოყოფის სისტემა. ბლუმის ტაქსონომია გულისხმობს სწავლის მეთოდისა და შეფასების კლასიკურ სტრუქტურას: ცოდნას, განწყობას, ჩვევებს. ეს მოდელი სასწავლო მიზნების, სწავლებისა და სწავლების შედეგების გაზომვის ეფექტური საშუალებაა. ბლუმის ტაქსონომია იძლევა დეტალურ სტრუქტურას სწავლების დაგეგმვის, სასწავლო მეთოდებისა და ტრენინგის ეფექტურობის შეფასებისათვის. ბლუმის მიხედვით, განათლების მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ – მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება.

ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს:

- **კოგნიტურს (შემეცნებითს):** ინტელქტუალური შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნება.
- **აფექტურს (ემოციურს):** გრძნობები, ემოციები, განწყობები.
- **ფსიქომოტორულს**: ფიზიკური უნარები და ჩვევები.

სამივე სფეროში კატეგორიები იერარქიულადაა განლაგებული სირთულის მიხედვით. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ყოველ შემდეგ კატეგორიაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ წინა კატეგორიის შესაბამისი ჩვევების დაუფლების შემდეგ. ამგვარად, ყოველი სფეროს ფარგლებში გამოიყოფა განვითარების დონეები მარტივიდან რთულისკენ.

კეძოდ, ბლუმი თავისი ტაქსონომიის სფეროებს შემდეგნაირად აღწერს:

კოგნიტური	**აფექტური**	**ფსიქომოტორული**
ცოდნა	***განწყობა***	***ჩვევები***
1. ფაქტების გახსენება	1. მიღება (გაცნობიერება)	1. იმიტაცია
2. გაგება	2. რეაგირება	2. მანიპულაცია (მითითებების მიხედვით)
3. გამოყენება	3. ღირებულების გააზრება	3. ზუსტი შესრულება (მიღწევა)
4. ანალიზი	4. პიროვნების ღირებულე-ბათა სისტემის ორგანიზება	4. ჩვევების ინტეგრირება, კომბინირება
5. სინთეზი	5. ღირებულებათა სისტემის გათავისება	5. ნატურალიზაცია (ავტომატიზაცია, ექსპერტად „ჩამოყალიბება”)
6. შეფასება	–	–

ბლუმის ტაქსონომიის ***კოგნიტური, ანუ შემეცნებითი სფერო*** მოიცავს ექვს დონეს, რაც შეესაბამება აზროვნების, ინტელექტუალური მოქმედების განსხვავებულ დონეებს მარტივიდან რთულისკენ.

კოგნიტური, ანუ შემეცნებითი სფერო

დონე	**კატეგორია**	**ქცევის აღწერილობა**	**დასაოსტატებელი მოქმედების/ შესაფასებელი შედეგის აღწერა**	**სიტყვები, რომლებიც უკეთ აღწერენ სფეროს**
1.	***ცოდნა***	ინფორმაციის ცნობა ან გახსენება	ფაქტის, ცნების, განმარტების, წესის, შინაარსის გახსენება, პროცედურის ან წესის მოტანა	დაალაგე, აღწერე, განსაზღვრე, გაიხსენე, შეარჩიე, დააკავშირე.
2.	***გაგება***	აზრის გაგება, საკუთარი სიტყვებით ფაქტის გადმოცემა	მსჯელობის, ცნების ან კონცეფციის აზრის ახსნა და ინტერპრეტაცია, სამოქმედო გზის ან პრობლემის გადაწყვეტის დასახვა	ახსენი, შეაჯამე, განსაჯე, მოიყვანე მაგალითი, ილუსტრაცია, დააჯგუფე (გააკეთე კლასიფიკაცია), შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე.
3.	***გამოყენება***	ცოდნის, თეორიის პრაქტიკაში და რეალურ სიტუაციაში გამოყენება	თეორიის გამოყენება პრაქტიკული შედეგის მისაღებად, ამოცანის გადაწყვეტა, მოქმედების განხორციელება	გამოიყენე, გადაწყვიტე, განახორციელე, მოამზადე, შეცვალე, ააგე

4.	***ანალიზი***	ელემენტების, სტრუქტურის, აგებულების, ორგანიზაციული პრინციპების, შინაგანი მიმართებების ინტერპრეტაცია	პროცესის ან ცნების ნაწილების გამორჩევა, ფუნქციების, მეთოდოლოგიის ან პროცესის ფუნქციების ანალიზი, ელემენტების მიმართების, მათი ფუნქციონირების შედეგების თვისებრივი ანალიზი;	გააანალიზე, შეადარე, გაზომე, შეამოწმე, ჩაატარე ექსპერიმენტი, გამოსახე გრაფიკულად, ააგე დიაგრამა, შეაფასე.
5.	***სინთეზი***	ახალი, უნიკალური სტრუქტურის, სისტემის მოდელის შექმნა, ახალი იდეის, ახალი მიდგომის ჩამოყალიბება	გეგმისა და პროცედურების შემუშავება, გადაწყვეტის ალგორითმის შექმნა, იდეების, საშუალებებისა და მეთოდების ინტეგრირება; ახალი მიდგომების შემუშავება.	შეიმუშავე გეგმა, შექმენი, ააგე, გადაამოწმე, გარდაქმენი, ააწყვე, შეცვალე, შეიმუშავე ჰიპოთეზა და შეამოწმე.
6.	***შეფასება***	მოდელის, კონცეფციის ეფექტურობის შეფასება მისი შედეგიანობის, გამოყენების თვალსაზრისით, კრიტიკული ანალიზი	სტრატეგიული ვარიანტებისა და გეგმების, მათი შედეგიანობის შეფასება ხარჯთეფექტურობისა და პრაქტიკულობის თვალსაზრისით; გეგმის ან სტრატეგიის ეფექტურობის შეფასება, რისკების შეფასება.	შეაფასე, დაასაბუთე, გამოიკვლიე, მოიყვანე არგუმენტები.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ინფორმაციის შენახვა და გახსენება ინტელექტუალური აქტივობის ყველაზე დაბალი საფეხურია, რაც სწავლისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია განზოგადდეს და შემდგომში ადეკვატურად იქნეს გამოყენებული, აუცილებელია მისი გაგება და სათანადო ანალიზი; ახალი პროდუქტის შესაქმნელად, ახალი ცოდნის მისაღებად კი აუცილებელია სინთეზისა და შეფასების მოქმედებების, პროცესების განვითარება.

ბლუმის ტაქსონომიის კოგნიტური სფეროს დონეები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული კონკრეტული გაკვეთილის დაგეგმვისას როგორც თემის ახსნის, ასევე – დავალებისა და შეფასებისათვის ტესტური კითხვების შემუშავების დროს. მაგ., კონკრეტული თემის ახსნისას მასწავლებელი განმარტავს ახალ წესებს, ცნებას, ან მიაწვდის ახალ ფაქტებს მოსწავლეებს. ეს არის, ბლუმის მიხედვით, I – ***ცოდნის*** დონე.

II დონე – ***გაგება:*** ბლუმის კონცეფციის თანახმად, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა აითვისონ კონკრეტული თემა, ცოდნა არ არის საკმარისი.

მასწავლებელმა უნდა ახსნას ცნება, წესი ან ფაქტი, გაცნოს მათ შესაბამისი თვალსაჩინო მასალა და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით შეაჯამოს ახალი ინფორმაცია.

III დონე – **გამოყენება:** მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, მოიძიონ ის რეალური სიტუაციები, რომელთა დროს ისინი გამოიყენებენ გაკვეთილზე მიღებულ თეორიულ ცოდნას;

IV დონე – ***ანალიზი:*** მას შემდეგ, რაც მიწოდებულია ახალი ინფორმაცია, მასწავლებელმა კონკრეტულ თემაზე მსჯელობისას შეიძლება გამოყოს საკითხის სხვადასხვა მხარე და ერთმანეთს შეადაროს ისინი, ან პროცესი დაშალოს ელემენტებად, ან კიდევ – მოსწავლეებს ჩაატარებინოს ექსპერიმენტი. ასევე, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს მოიძიონ და შეადარონ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტი, შეხედულება, დააფიქსირონ მათ შორის განსხვავება, მსგავსება, გააანალიზონ მათი სუსტი და ძლიერი მხარეები.

V დონე – ***სინთეზი:*** მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს შესწავლილი ფაქტების, წესებისა თუ თეორიის საფუძველზე მოიფიქრონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გზები, შეიმუშავონ ჰიპოთეზები და დასახონ მათი შემოწმების გზები.

VI დონე – ***შეფასება:*** ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელი გეგმავს დისკუსიას, სადაც მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შესწავლილი თეორიის ან მიდგომის პრაქტიკულ და თეორიულ მხარეებს და სთხოვს მათ მოიყვანონ არგუმენტები ამ თეორიის თუ მიდგომის შედეგიანობის, პრაქტიკული გამოყენების, წინააღმდეგობრივი ფაქტების შესაფასებლად.

ბლუმმა ტაქსონომიის მეორე, ***აფექტური სფეროს*** დონეები შეიმუშავა კრათვოლსა და მასიასთან ერთად (1964). ბლუმის მოდელის მიხედვით განწყობის ჩამოყალიბების სტრუქტურის, ადამიანის ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებისა და ემოციური დამოკიდებულებების ცოდნა მნიშვნელოვანია გაკვეთილის, ტრენინგის დაგეგმვის, ჩატარებისა და შეფასებისათვის.

ბლუმის ტაქსონიმიის მესამე სფეროში (***ფსიქომოტორული***) გამოყოფილია ფიზიკური ჩვევების ჩამოყალიბების დონეები. ამ სფეროს დონეები ბლუმის იდეებზე დაყრდნობით აღწერა რ. დეივმა (1970).

ფსიქომოტორული სფერო

დონე	კატეგორია	ქცევის აღწერილობა	დასაოსტატებელი მოქმედების/ შესაფასებელი შედეგის აღწერა	სიტყვები, რომლებიც უკეთ აღწერენ სფეროს
1	***იმიტაცია***	სხვისი მოქმედების მიბაძვა და გამეორება.	მასწავლებლის მოქმედებაზე, დაკვირვება და გამეორება	თვალი მიადევნე, გაიმეორე
2	***მანიპულაცია***	მითითების მიხედვით ან მეხსიერებით მოქმედების აღდგენა	მოქმედების შესრულება წერილობითი ან ვერბალური მითითების მიხედვით	შეასრულე, განახორციელე, ააგე
3	***სიზუსტე***	ჩვევის დამოუკიდებლად განხორციელება	მოქმედების შესრულება მითითების და დახმარების გარეშე; სხვისთვის მოქმედების ჩვენება	აჩვენე, დაასრულე, შეამოწმე, ზუსტად შეასრულე
4	***ჩვევების კომბინირება***	ახალი, არასტანდარტული მიზნის მისაღწევად ჩვევის ინტეგრირება	სხვადასხვა მოქმედებების დაკავშირება ახალი მოთხოვნების შესაბამისი ახალი მეთოდის შესამუშავებლად	შეიმუშავე, შეაჯერე, გადაწყვიტე, გააერთიანე, შდეიტანე ცვლილება, ივარჯიშე
5	***ნატურალიზაცია***	ავტომატიზება, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე საჭიროებისამებრ მოქმედების განხორციელება	მიზნის, სტრატეგიისა და მიდგომის განსაზღვრა სტრატეგიული საჭიროების მიხედვით	გააკეთე, დააზუსტე, შექმენი

ზემოაღნიშნული საფეხურების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ჩვევის სწავლებისა და ავტომატიზაციისათვის. ეს ეხება არა მხოლოდ მოტორულ ჩვევებს, არამედ ისეთი კოგნიტური უნარების განვითარებასაც, რომლებიც ჩვევად ყალიბდება და ავტომატიზდება, კერძოდ, წერა-კითხვას. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ველოსიპედის ტარების ჩვევის ათვისების საფეხურები:

იმიტაცია: ბავშვი უყურებს სხვის მოქმედებას და ცდილობს გაიმეოროს ის – ველოსიპედზე დაჯდომა, საჭის სწორად დაჭერა, პედლების ტრიალი;

მანიპულაცია: ბავშვი იხსენებს, როგორ უნდა დაჯდეს ველოსიპედზე, როგორ უნდა მოჰკიდოს ხელები საჭეს, მასწავლებლის დახმარებით ცდილობს ველოსიპედის მართვას. შემდეგ მასწავლებელი სიტყვიერი მითითებით ეხმარება: “საჭე სწორად გეჭიროს, ფეხი ცოტა განზე გაწიე და ა.შ.”

სიზუსტე: ბავშვი უკვე დამოუკიდებლად, თუმცა მოუქნელად ატარებს ველოსიპედს, ხშირად ვარდება და ცდილობს გაავარჯიშოს ნასწავლი მოძრაობები.

ჩვევების კომბინაცია: ბავშვი ცდილობს ისწავლოს აღმართზე და დაღმართზე სიარული, როდესაც ხელების, ფეხების და ტანის კორპუსის შეთანხმებული მოძრაობები სხვაგვარ კოორდინაციას საჭიროებს, ვიდრე სწორ გზაზე მოძრაობა;

ნატურალიზაცია: ბავშვი ველოსიპედს ატარებს ავტომატურად, ისე, რომ არ ფიქრობს საკუთარი სხეულის მოძრაობებზე და პარალელურად სხვა მოქმედებების განხორციელებაც კი შეუძლია, მაგ., შეუძლია ხელები დაკავებული ჰქონდეს და ისე ატაროს ველოსიპედი.

ბლუმის ტაქსონომიას წარმატებით იყენებენ განათლების სისტემაში სასწავლო გეგმების შექმნის, სასწავლო პროგრამების შემუშავების და მათი შედეგების შეფასების, გაკვეთილის დაგეგმვისა და ტესტური დავალებების შედგენისას. ამავე დროს, ბლუმის ტაქსონომიას იყენებენ ორგანიზაციებში თანამშრომლების ტრენინგის დაგეგმვის, ტრენინგის პროგრამის შემუშავებისა და ტრენინგის შედეგების შეფასებაში.

მარია მონტესორი

(1870-1952)

მონტესორის სკოლა

მარია მონტესორი, იტალიელი ჰუმანისტი, პედაგოგი, პირველი ექიმი ქალი მე-19 საუკუნის იტალიაში, ცნობილია, როგორც ახალი პედაგოგიური მეთოდიკის ავტორი.. 1898 წლიდან მონტესორი გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვების სკოლის დირექტორი იყო. ამ პერიოდში დაიწყო მან თავისი თეორიის პრაქტიკაში დანერგვა და სწავლების მეთოდების შემუშავება, რომელიც დღეს ცნობილია მონტესორის თეორიის სახელით. ამ პერიოდის მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე 8 წლის მოსწავლეებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები წერა-კითხვაში და საშუალოზე მაღალი ქულებიც მიიღეს. მაშინ "მონტესორის სასწაულზე" მთელი იტალია ალაპარაკდა. 1907 წელს მონტესორიმ რომში დააარსა სკოლა "ბავშვების სახლი" ყველა ტიპის ბავშვისათვის. მონტესორის სამჯერ მიანიჭეს ნობელის პრემია პედაგოგიკაში განსაკუთრებული წვლილისა და მსოფლიოში ბავშვთა უფლებების დაცვის გამო. დღეს მონტესორის სკოლა და მისი მეთოდი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული.

მონტესორის მიაჩნდა, რომ სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის "სპონტანურ თვითგანვითარებას". ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ ბავშვის ფსიქიკური განვითარების ე.წ. სენზიტიურ პერიოდებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამა თუ იმ უნარის ჩამოყალიბებისათვის. მაგ.: მეტყველების განვითარების სენზიტიური პერიოდია 1-3 წელი, როდესაც ბავშვი იწყებს ცალკეული სიტყვების წარმოთქმას, შემდეგ კი სიტყვების ფრაზაში გაერთიანებას. მონტესორის მიხედვით, პედაგოგმა უნდა იცოდეს ბავშვის ბუნებრივი განვითარების სენზიტიური პერიოდების თავისებურებანი. ეს აუცილებელია სწავლისათვის ბავშვის მოტივირებისა და მისი განვითარების სტიმულირებისათვის. 3-დან 6 წლამდე ასაკი კი განსაკუთრებული პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში. ამ დროს ბავშვი სწავლობს დამოუკიდებლობას და შეიცნობს მის გარშემო არსებულ სამყაროს.

სწავლების პრინციპია ბავშვის პოტენციური შესაძლებლობების გაგება, მისი განვითარების სტიმულირება და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა – ბავშვის ცნობისმოყვარეობის, ინტერესისა და დამოუკიდებლობის წახალისება.

ბავშვებს ბუნებრივი სწრაფვა აქვთ ახლის სწავლისა და გარემოს შემეცნებისადმი. მასწავლებლის დანიშნულებაა ისეთი საკლასო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს ბავშვის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას და სწავლას ხალისიანს გახდის.

მონტესორის სასწავლო პროგრამა "ბავშვების სახლი" განკუთვნილია 3-დან 6 წლამდე ბავშვების ადრეული განვითარების სტიმულირებისათვის. სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთ საკლასო სივრცეში იმყოფებიან, რომლის მოწყობასაც მონტესორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი შეხედულებით, თავისთავად არ არსებობს ზარმაცი, ინტერესების არმქონე, მიუღებელი და გამომწვევი ქცევის მქონე ბავშვი. ეს პრობლემები ჩნდება მაშინ, როცა გარემო არ ითვალისწინებს ბავშვის საჭიროებებს.

მონტესორის სწავლების მეთოდი გულისხმობს:

- ბავშვზე დაკვირვებას წინასწარ მოწყობილ გარემოში; წინასწარ მოწყობილ სასწავლო გარემოში იგულისხმება სასწავლო ოთახი, რომლის სივრცის რეორგანიზაცია ადვილადაა შესაძლებელი სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე. ასევე მოწესრიგებულადაა განლაგებული მრავალფეროვანი სამუშაო მასალები სხვადასხვა სირთულის დავალებების შესასრულებლად.
- დაკვირვების საფუძველზე ბავშვისათვის სასწავლო გეგმის შემუშავებას განვითარების სენზიტიური პერიოდის გათვალსიწინებით.
- სწავლებაში შეგრძნების ყველა არხის გამოყენებას: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება, კინესთეტიკური შეგრძნებები.
- ბავშვისათვის მისაწვდომი სწავლების ტემპის შერჩევასა და პორტფოლიოს გამოყენებას მიღწევების შეფასებისათვის.
- სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ერთ კლასში სწავლებას მაგ. 3-6 წლის, 7-9 წლის და ა.შ.

მონტესორის სწავლების პრინციპებია:

- **მოსწავლის დამოუკიდებლობა და ინიციატივა**. მონტესორის პროგრამა ისეა აგებული, რომ ცენტრალურია მოსწავლის ინტერესი და პოტენციური შესაძლებლობა. სასწავლო გეგმის მიხედვით წინასწარ მომზადებული სხვადასხვა სირთულის დავალებებიდან და განსხვავებული მასალებიდან მოსწავლე თვითონ, თავისი ინიციატივით ირჩევს დავალებას. დავალებები ისეა აგებული, რომ აუცილებლად ახლავს თან ვიზუალური ან სიტყვიერი

მინიშნებები, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს, თვითონ შეამოწმოს გადაწყვეტის სისწორე, იპოვოს შეცდომა და გაასწოროს. ამას მონტესორი თვითმაკორეგირებელ მასალებს უწოდებს. მასწავლებლის როლი კლასში არის არა მზა ცოდნის გადაცემა, არამედ ბავშვების წარმართვა, მათი ინტერესების სტიმულირება და დახმარება დავალების შესრულების პროცესში.

- **პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული სწავლება.** სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ისეთი დავალებები, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტის გზის პოვნას ან სხვა მასალის გამოყენებას პრობლემის გადასაწყვეტად.
- **სენსორული სწავლება** გულისხმობს სასწავლო პროცესში ისეთი მასალების გამოყენებას, რომლებსაც სჭირდება მოსწავლის მხრიდან არა მხოლოდ მხედველობითი და სმენითი შეგრძნებებისა და აღქმის გამოყენება, არამედ შეხების, კუნთების და მყესების, ყნოსვის შეგრძენებებისაც. დავალებები ისეა აწყობილი, რომ საჭიროებს სხვადასხვა შეგრძნების მონაწილეობას, ხოლო მასალები განსხვავებული ფერის, ფორმის, სიდიდისა და ფაქტურისაა. შეგრძნებების ერთდროული მონაწილეობა პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია გარემოს შესამეცნებლად, განსაკუთრებით 3-დან 6 წლამდე ასაკში.
- **მოძრაობის თავისუფლება.** მონტესორის კლასის სივრცე ისეა ორგანიზებული, რომ ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა დავალების არჩევისას, დავალებისათვის საჭირო მასალების შესარჩევად, ჯგუფური აქტივობებისათვის. კლასში ადვილად გადასაადგილებელი მაგიდები და სკამებია, კედლებთან კი მაგიდები და დაბალი, ღია კარადებია, სადაც აწყვია ყველა საჭირო მასალა. კლასი ისეა მოწყობილი, რომ ბავშვებისათვის შესაძლებელია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა. 3-6 წლის ბავშვებისათვის საკლასო სივრცე უფრო ღიაა და ძირითადი აქტივობები ხალიჩაზე ხორციელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1 დიმიტრი უზნაძე. *ბავშვის ფსიქოლოგია.* თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1947წ. გვ. 405 – ადამიანის ქცევის ფორმები

2 შალვა ჩხარტიშვილი. *ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები*, გამ-ბა „განათლება“, თბილისი 1980წ., გვ59 სწავლების ძირითადი მოტივაციური ფორმები

3

4 განათლება – განსხვავებული საჭიროების პირთა განათლება, შესავალი კურსი. ბერიტ ჰ. იონსენისა და მირიამ დ. შტერნის რედაქციით; გამ-ბა „საქართველოს მაცნე“, 2007წ.

5 [illegible]

6 [illegible]

7 [illegible]

8 [illegible]

9 [illegible]

10. Daniel Muijs and David Reynolds, Effective Teaching; Sage Publications, 2005

11 About Carl Rogers; http://www.mythosandlogos.com

12 Ausabel, David; http://www.coe.ufl.edu

13 Ausabel. *Meaningful Reception Learning Theory;* http://inst.usu.edu

14 Biography of Howard Gardner; http://www.howardganrdner.com

15 *Bloom's taxonomy-learning domains*. http://www.businessballs.com

16 *Bruner Jerome and the process of education*; http://www.infed.org.thinkers/bruner.htm

17 Bruner, Jerome. *A Web Overview*;http://geocities.com/vanunoo/Humannature/bruner.html

18 *Bruner's Educational Theory* Analyst: Nicole Flores http://www.newfoundations.com

19 Citation: Huitt (W); *Motivation to Learn: An Overview.* (2001). Education Psychology Interactive. Valdotain, GA. http://wwwchiron.valdosta.edu

20 Dewey, John: *Philosophy of Education*; http://wilderdom.com

21 Dewey, John: *The Modern Father of Experimental Education*: http://wilderdom.com/experiential/ExperientalDewey.html

22 Gallagher, Cristina. *Lev Semyonovich Vygots.* (May 1999) http://www.muskingum.edu

23 Gardner's Multiple Intelligence; http://www.businessballs.com

24 Ivie, Stanley D. Ausubel's Learning theory: *An Approach to Teaching Higher Order Thinking Skills*. High School Journal 82.1 (Oct 1998);P35(1

25 Kohlberg Lawrence: *Stages of Moral Development* ; http://www.xenodochy.org

26 Kohlberg's Moral Stages;http://www.haverford.edu

27 Maslow's hierarchy of needs:http://www.businessballs_Space

28 Miller M. Suzanne: *Vygotsky and education*: *The sociocultural genesis of dialogic thinking in classroom contexts for open-forum* , State University of New York at Buffalo, Graduate School of Education, 368 Baldy Hall, Buffalo, New York 14260 USAhttp://psych.hanover.edu

29 Montessori, Maria. Notes From the Work of Maria Montessori. http://eqi.org/maria.htm http://www.montessorilive. http://en.wikipedia.org/wiki/Maria_Montessori

30 Perkins, David: *Teaching for Understanding*.
The professional Journal of the American Federation of Teachers; v17 n3,pp.8,28-35, Fall 1993 http://www.pz.harvard.edu/Pls.DP.htm

31 Perkins, David: *Making Thinking Visible* http://www.ewhorizons.org

32 Pescitelli Dagmar; *An Analysis of Carl Rogers' Theory of Personality*.
Online books, journals for academic research plus bibliography tools. www.Questia.com/Carl_Rogers

33 Ratner, Carl. *Historical and Contemporary Significance of Vygotsky's Sociohistorical Psychology* http://www.humboldt1.com

34 Rogers, Carl. *Experimental Learning* http://tip.psychology.org

35 Skinner: *Theories of learning: Sensory Stimulation Theory*. http://www.brookes.ac.uk

36 Subbotsky Eugene: *Vygosty's Distinction Between Lower and Higher Mental Functions and Recent Studies on Infant Cognitive Development* ; Psychology Department, University of Lancaster http://psych.hanover.edu

37 *The Educational Theory of David Perkins* http://www.newfoundations.com/GALLERY/Perkins.html.

38 *The Educational Theory of Jerome Bruner* http://www.newfoundations.com/GALLERY/Bruner.html

39 *The Educational Theory of John Dewey*
Analyst: N.I. Emarnd; Analyst: Sarah Fraser (DE2) http://www.newfoundations.com

40 *The Humanistic Theories of Carl Rogers* http://www.facultyfp.salisbury.edu

41 *Theories of Development*. Prentice-Hall.pp.118- Kohlberg's Stages of Moral Development http://faculty.plts.edu

42 Vygotsky: *Social Development Theory* http://i-psy.ru

43 Wikipedia - the free encyclopedia: *John Dewey* http://en.wikipedia.org/wiki/John_Dewey

ჩანაწერებისათვის